ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

17 აპრილიდან!
„ახალი თაობა“
+
ლეონარდო და ვინჩი
8 ლარი



ორშაბათი, 22 აპრილი, 2013 №94 (6095) ფასი: 30 თეთრი

ემზარ კვიციანი: „კოდორის ხეობაზე შოკისმომგვრელ ინფორმაციას გავავრცელებ!“

რატომ არ აძლევენ კოდორის ხეობაში პრეზიდენტის ყოფილ რწმუნებულს პოლიტდევნილის სტატუსს

გვ.4

გიგი უგულავას მეუღლეს სიმთვრალის გამო მანქანის მართვის უფლება ერთი წლით ჩამოართვეს

გვ.5

გვ.3

ალეკო შალამბერიძე: „გაარკვიოს ივანიშვილმა, რატომ არ მცირდება საწვავის ფასი“

გვ.2

მამუკა გიორგაძე: „ნაციონალებს ხალხი ეროვნულ მოძრაობად არასდროს აღიარებს!“

გვ.2

ზურაბ ჯაფარიძე: „საქართველო ოკუპანტებს არასდროს დაელაპარაკება!“

ლია სტურუა: „როგორ მინდა, ელგუჯა ხედავდეს!“

„მაგთიკომის“ ქართული საქმეები ელგუჯა ამაშუკელის ალბომით გაგრძელდა გვ.7

მაგთი MAGTI
ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ

ქართველი სამხედროები ავღანეთიდან დაბრუნდნენ

გვ.6

19 აპრილის აქცია სექსის ტოლფასი იყო

გვ.6

გვ.5

სანდრო ბრეგაძე: „მიხეილ სააკაშვილსა და ვანო მერაბიშვილს შორის სერიოზული განხეთქილებაა“

ISSN 1987-9385

2 ილია II: „ყველაზე დიდი სასწაული თვით ადამიანია“

6 ლაზარეს შაბათსა და ბზობას თევზით ხსნილი იქნება

3 ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის 42 000-მდე აბიტურიენტი დარეგისტრირდა

6 დღეს ევროპის იმუნიზაციის კვირეული იწყება

ზურაბ ჯაფარიძე: „საქართველო ოკუპანტებს არასდროს დაელაპარაკება!“

„ნაციონალური მოძრაობის“ წევრები იმ მოლოდინებზე საუბრობენ, რომელიც ვანო მერაბიშვილის მიერ დაანონსებულ და ჩატარებულ აქციას ახლდა თან.

გაამართლა თუ არა მათი მოლოდინები 19 აპრილის აქციამ? ამ კითხვებზე, როგორც პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა თქვა, განახლებული „ნაციონალური მოძრაობის“ წევრები გვპასუხობენ:

ნათია ხურცილავა

ზურაბ ჯაფარიძე, საპარლამენტო უმცირესობის წევრი:

– 19 აპრილის აქციის ერთ-ერთი მიზანი იყო: რუსეთმა, ოკუპანტმა სახელმწიფომ უნდა გაიგოს, რომ საქართველო რუსეთს არასდროს არ დაელაპარაკება ენის მოჩლექით. მეორე, ამ ხელისუფლებამ უნდა გაიგოს, რომ საქართველოში არსებობს ხალხი, მოსახლეობის საკმაოდ დიდი ნაწილი, რომელიც ფიქრობს, დეოკუპაციის პოლიტიკა უნდა გაგრძელდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ეროზია საბოლოო ჯამში მიგვიყვანს აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დაკარგვამდე. მესამე, ჩვენს დასავლელ პარტნიორებს უნდა ვუთხრათ, რომ ჩვენი მისწრაფებები, ჩვენი პოლიტიკური კურსი უცვლელია. დასავლელ მეგობრებს უნდა გავაგებინოთ გარკვევით, რომ საქართველო აუცილებლად აპირებს ევროატლანტიკურ სტრუქტურებში გაწევრიანებას.

ანდრო ბარნოვი, შიდა ქართლის გუბერნატორი:

– მოლოდინებთან დაკავშირებით მინდა გკითხოთ, გამართლდა თქვენი მოლოდინები?

– მოლოდინი რაც გვქონდა, გამართლდა. ხალხი მოვიდა აქციაზე და ეს არის მთავარი. ძირითადი მოლოდინი სწორედ ეს იყო. ადამიანები ძალიან ლოგიკურ მოწოდებებს და რაციონალურ მოწოდებებს გამოეხმაურნენ. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ხალხის ერთიანობა დავინახე, რაც იყო აქციაზე არა მაინცდამაინც კონკრეტული პოლიტიკური ძალის მხარდასაჭერად, არამედ სწორედ იმ იდეების, იმ მოწოდებების მხარდასაჭერად, რაც გახდა 19 აპრილის აქციის მიზანი.

– თქვენი აზრით, რა იდეის მხარდასაჭერად მივიდა აქციაზე ხალხი?

– ეს არის: ქვეყნის განვითარება, ეს არის ქვეყნის ევროპული მომავალი. ეს არის ის, რომ ჩვენ საბოლოოდ „არა“ უნდა ვუთხრათ ძალადობას. ბევრი იყო იმედგაცრუებაც, ბევრი იყო იმედიც, მაგრამ დღეს არის განსხვავებული რეალობა. ხალხი გამოვიდა არა რამის წინააღმდეგ, არა ვინმეს წინააღმდეგ ან კონკრეტულად ვინმეს მხარდასაჭერად, არამედ იმისთვის, რომ მხარი დაუჭიროს ქვეყნის განვითარების კონკრეტულ ხედვებს, კონკრეტულ იდეებს.

ნიკა მელია, ძველი თბილისის გამგებელი:

– 19 აპრილს საზოგადოება შეიკრიბა იმისთვის, რომ ახალი ხელისუფლების

ბოლოდროინდელი განცხადებები, მიღებული გადაწყვეტილებები, რომლებიც, ჩვენი აზრით, საფრთხეს უქმნის ქვეყნის საგარეო პოლიტიკურ კურსს, გავაპროტესტოთ. უნდა დავრწმუნდეთ, რომ ამ მიმართულებით არავითარ ცვლილებას არ გეგმავს ხელისუფლება. ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსი უნდა გავამყაროთ, რომელიც ბოლო 10 წლის განმავლობაში აქვს ჩვენს საზოგადოებას, სახელმწიფოს აღებული.

– შეკრებილი ხალხის რაოდენობაზე რას იტყვით?

– საკმაოდ ნორმალური რაოდენობა მოვიდა. 10-12 ათასი იყო შეკრებილი. ჩვენ გვინდა დავრწმუნდეთ, რომ პრემიერ-მინისტრი ქვეყნის საგარეო კურსს არ გადაუხვევს.

გიორგი ვაშაძე, საპარლამენტო უმცირესობის წევრი:

– ჩვენი მიზანია, საქართველოს განვითარების თანამონაწილე გავხადოთ ყველა, ვინც საქართველოში ცხოვრობს. თითოეულ ადამიანს უნდა დავანახვოთ თავისი ფუნქცია, თავისი ადგილი ამ ახალ საქართველოში, ეს არის ილიას გზა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ცოდნაზე და ცოდნის განვითარებაზე გადის. პროფესიონალიზმის, საქმის კეთების დრო უნდა დადგეს საქართველოში. დარწმუნებული ვარ, ეს არ არის ვიწროპარტიული მოძრაობა, ეს არის ზეპარტიული მოძრაობა. ეს არის მოძრაობა, რომელმაც მთელი საქართველო უნდა გააერთიანოს. მიუხედავად განსხვავებული პოლიტიკური დამოკიდებულებისა, განსხვავებული დამოკიდებულებისა საკითხებისადმი ჩვენ ერთიანები უნდა ვიყოთ საერთო მიზნის მიმართ. ჩვენ რუსეთი კი არ უნდა გვძულდეს, რუსეთთან პრინციპული პოლიტიკა უნდა გვქონდეს, რომ ქვეყანა გავაერთიანოთ. ჩვენ რომელიმე ქვეყნის ინტერესებს კი არ უნდა ვემსახურებოდეთ, ჩვენი ადგილი უნდა ვიპოვოთ გლობალურ სამყაროში; მოძრაობაში, რომელსაც ვიწყებთ, მთელი საქართველო ჩაერთვება.

დავით საყვარელიძე, საპარლამენტო უმცირესობის წევრი:

– ნახეთ, რა ხდება ქვეყანაში, რას ჰგავს ქვეყნის ეკონომიკა, რა ხდება ქუჩაში დანაშაულთან მიმართებით, ხალხი ნელ-ნელა უკმაყოფილო ხდება. თუ ვინმე ფიქრობს, რომ ადამიანები დაბრმავდებიან, დაყრუვდებიან და ამ ხელისუფლებას რეიტინგი ძალიან დიდხანს გაჰყვება, ძალიან ცდება.

– ბრძოლის გაგრძელებაზე საუბრობდით, კონკრეტულად რა სტილის ბრძოლას აპირებთ?

– პოლიტიკურ ბრძოლას. ნებისმიერი კანონიერი ხერხით, რაც კი შეიძლება დაშვებული იყოს პოლიტიკურ ბრძოლაში.

ილია II: „ყველაზე დიდი სასწაული თვით ადამიანია“



ადამიანი მუდამ ეძებს და ელოდება რაღაც არაჩვეულებრივსა და სასწაულს, მაგრამ ავიწყდება, რომ ყველაზე დიდი სასწაული თვით ადამიანია. – ბრძანა გუშინდელ ქადაგებაზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია II.

მისი თქმით, ადამიანი არის ყველაზე დიდი ქმნილება ღვითსა, რომელსაც გააჩნია უკვდავი სული.

მან ქადაგებისას მარიამ ეგვიპტელის ცხოვრება გაიხსენა და აღნიშნა, რომ მისი ცხოვრება გვასწავლის, თუ რას ნიშნავს, სულიერი ცხოვრება.

,,ჩვენ ვიმყოფებით დიდ მარხვაში და ადამიანი გრძნობს, როგორი ვერაგია ბოროტი სული და როგორ უმძიმს ადამიანს, განსაკუთრებით მარხვაში მასთან გამკლავება. მაგრამ ღმერთი გვაძლევს მადლს და ძალას, რომ დავამარცხოთ ბოროტი“, – ბრძანა უწმინდესმა.

როგორც მან აღნიშნა, სიკეთე და ბოროტება მუდმივი თანამგზავრია ადამიანისა და ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ სიკეთე ყოველთვის ამარცხებს ბოროტებას.

,,მინდა გისურვოთ, რომ ბედნიერი აღდგომა გაგითენოთ უფალმა. მინდა გისურვოთ, რომ ბოროტება, რომელიც თქვენში არის, თუ არის და ბოროტება, რომლეიც ქვეყანაში არის, შეიცვალოს სიკეთით. თუ ჩვენ გვექნება რწმენა, სიკეთე, სიყვარული, სათნოება და თავმდაბლობა ღმერთი მოგვცემს ძალას, რომ სიკეთემ სძლიოს ბოროტს“, – აღნიშნა უწმინდესმა.

ქადაგების დასრულების შემდეგ უწმინდესმა დეკანოზი ლაზარე დოლუზაური გამშვენებული ჯვრით დააჯილდოვა, ხოლო მონაზონი პარასკევა ფაჩუაშვილი, მღვიმევის მონასტრის წინამძღოლი, იღუმენიას ხარისხში აიყვანა. **მედიანიუსი**

ციხისძირის ინციდენტში მონაწილე ორ სამხედრო პირს გირაო, მიმალვაში მყოფს პატიმრობა შეეფარდა

14 აპრილს ქობულეთის რაიონის სოფელ ციხისძირში მომხდარ ინციდენტში მონაწილე სამხედრო პოლიციის ორ თანამშრომელს – მალხაზ მამფორიას და პაატა გვილიას 15-ათასლარიანი გირაო, ხოლო მიმალვაში მყოფ ონისე ხუბულავას პატიმრობა შეეფარდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ დაკავებულებს გირაოს გადახდა 15 დღის ვადაში დააკისრა. სასამართლოს სხდომას დაკავებული მამფორია და გვილიაც ესწრებოდნენ.

მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, პროკურატურის სამხედრო დეპარტამენტის თანამშრომლებმა საჯარო ადგილას ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით უხეშად დაარღვიეს საზოგადოებრივი წესრიგი და გამოხატეს საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობა.

ქობულეთის რაიონის სოფელ ციხისძირში სტუმრად მყოფმა პაატა გვილიამ, მალხაზ მამფორიამ და ონისე ხუბულავამ რამდენიმე ავტომაქნანა გააჩერეს . მოითხოვეს საბუთები და გაჩხრიკეს. შეამოწმეს საბარგულები. მოქალაქეებს კი სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. მათ უწოდეს „თათრები“ და ჯვრის ჩვენება მოთხოვეს. ხუბულავამ ერთერთ მოქალაქეს კისერთან პისტოლეტი მიადო და შუბლის გახვრეტით დაემუქრა.

მედიანიუსი

საქართველოს დელეგაციამ საფრანგეთში ლევილის შატოს გადმოცემის საკითხი განიხილა

ლევილის კომისიის დელეგაცია დიასპორის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის, კონსტანტინე სურგულაძის, მინისტრის მოადგილის, მუხრან გულაღაშვილის, საქართველოს კულტურის მინისტრის პირველი მოადგილის, მანანა ბერიკაშვილისა და კულტურის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის თამარ ჩიხლაძის შემადგენლობით საფრანგეთში იმყოფებოდა.

როგორც „მედიანიუსს“ დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატიდან აცნობეს, ვიზიტის განმავლობაში კომისიის წევრები შეხვდნენ საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთ ევროპის დეპარტამენტის დირექტორს ერიკ ფურნიეს და განიხილეს ლევილის მამულის გადმოცემის საკითხთან დაკავშირებული თემა.

როგორც დიასპორის საკითხებში სახემწიფო მინისტრმა კონსტანტინე სურგულაძემ განაცხადა, ლევილის შატოს გადმოცემასთან დაკავშირებულმა შეხვედრებმა მეტად პოზიტიურად და კეთილგანწყობილ ატმოსფეროში ჩაიარა, სადაც კიდევ ერთხელ დაფიქსირდა, რომ საფრანგეთის მხარე ყოველმხრივ დახმარებას გაუწევს საქართველოს აღნიშნული საკითხის გადაწყვეტაში. აღინიშნა, რომ სამუშაო შეხვედრები საკითხის საბოლოო გადაწყვეტამდე კიდევ გაიმართება. საქართველოს დელეგაციის წევრები ვიზიტის პერიოდში ეწვივნენ ლევილს, იმყოფებოდნენ ქართულ ეკლესიაში, მოინახულეს ქართული კულტურის კერა ,,ლაზი“,სადაც ფუნქციონირებს ქართული სკოლა და დაესწრნენ ქართული ფოლკლორული ანსამბლის კონცერტს. **მედიანიუსი**

მამუკა გიორგაძე: „ნაციონალებს ხალხი ეროვნულ მოძრაობად არასდროს აღიარებს!“

„რა საქართველოს გადასახდელია ამათი ქმრების, შვილებისა და საყვარლების ხარჯების გასტუმრება“

შორენა კოწოწაშვილი

ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, მამუკა გიორგაძე, მიიჩნევს, რომ ნაციონალები „ქართულმა ოცნებამ“ გაათამამა იმით, რომ მან პოლიტიკაში დატოვა მონოპოლიზებული გარემო. რადგან არის ორსუბიექტიანი მონოპოლიზებული გარემო. ე.ი. ნაციონალებზე ხელის მოკიდება – ეს არის ოპოზიციაზე ხელის მოკიდება. გიორგაძის თქმით, ასეთ შემთხვევაში ნაციონალებს აუცილებლად გამოუჩნდებათ დამცველები დასავლეთში.

რატომ დაუპირისპირდა მარიკა ვერულაშვილი ვანო მერაბიშვილს, რა შეცდომას უშვებს „ქართული ოცნება“ და რამდენად მისაღებია გია ხუხაშვილისა და დათო უსუფაშვილის პოზიცია სააკაშვილის უმცირესობასთან მიმართებით? – ამ საკითხების ირგვლივ გთავაზობთ ინტერვიუს „სახალხო პარტიის“ თავმჯდომარე მამუკა გიორგაძესთან.

– პატონო მამუკა, როგორ შეაფასებდით ნაციონალების 19 აპრილის აქციას და ახალი ხელისუფლების ექვსი თვის თავზე მერაბიშვილის თაოსნობით ახალი ეროვნული მოძრაობის დაწყების დაანონსებას?

– რაც რუსთაველის გამზირზე მოხდა, ეს არის პირდაპირი შედეგი ხელისუფლების საქმიანობისა. ეს არის პირდაპირი შედეგი იმ არათანმიმდევრული პოლიტიკისა, რომელსაც ახორციელებს დღევანდელი ხელისუფლება. ხელისუფლება პოლიტიკური სივრცეში შესაძლებლობას მხოლოდ და მხოლოდ ნაციონალური მოძრაობისთვის, რომ მან ახალი ენერგიით მოძრაობა დაიწყოს. ამ ყოველივეზე პასუხისმგებელია ხელისუფლების პოლიტიკა, რომელსაც სურს, ისე შეცვალოს ტელევიზორში გამოსაჩენი ელიტის სახეები, რომ მონოპოლისტური გარემო არ შეიცვალოს ქვეყანაში. ასეთი პოლიტიკის შედეგად, ბუნებრივია, ნაცმოძრაობას უჩნდება შანსი იმისა, რომ განახორციელოს მსგავსი აქციები.

– აქცია გასაგებია, ვანო მერაბიშვილს აქვს მორალური უფლება, ეროვნულ მოძრაობაზე ილაპარაკოს და მის ლიდერად წარმოჩნდეს?

– ჩვენ ვსაუბრობთ მორალურ უფლებაზე, აქვს თუ არა მერაბიშვილს ეს უფლება, მაგრამ არ ვსაუბრობთ იმაზე, თუ რამ მისცა ეს უფლება მათ. ქართველ ხალხს ნაცმოძრაობისთვის ეს უფლება არ მიუცია. ქართველ ხალხს არ მიუცია ხმა ნაციონალური მოძრაობისთვის და ამ მოძრაობას ხალხი ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა. ეს უფლება მას მისცა ხელისუფლების მოქმედებებმა. პრაქტიკულად, როგორც კი ხელისუფლებამ აღიარა ერთადერთ პოლიტიკურ ძალად ნაცმოძრაობა, ავტომატურად ნაცმოძრაობა სარგებლობს ამ შემთხვევით, ცდილობს, განიცა-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ალეკო შალამბერიძე: „გააარკვიოს ივანიშვილმა, რატომ არ მცირდება საწვავის ფასი“

ნაციონალებთან სიამტკბილობა „ქართულ ოცნებას“, შესაძლოა, გულზე დაადგეს

შორენა მარსაგიშვილი

დიდი მოლოდინებისა და ალიაქოთის მიუხედავად, ნაციონალების აქციამ წინა კვირაში მშვიდად ჩაიარა. ნაციონალებმა გვამცნეს, საქართველოში ახალ ეროვნულ მოძრაობას ვიწყებთო. საპარლამენტო ოპოზიციის ახალი ინიციატივა სასაცილოდ მიაჩნია პარტია „თავისუფალი საქართველოს“ ერთ-ერთ ლიდერ ალეკო შალამბერიძეს.

რატომ ვერ დაიწყება საქართველოში ახალი ეროვნული მოძრაობა, რა მიზანს ემსახურებოდა სინამდვილეში 19 აპრილის აქცია, რა უნდა გაარკვიოს ბიძინა ივანიშვილმა, რა დაადგებათ მეოცნებეებს გულზე — ამ თემებზე ალეკო შალამბერიძე ახალ თაობას“ ესაუბრება.

— ნაციონალებმა 19 აპრილს საზეიმოდ გვაუწყეს ახალი ეროვნული მოძრაობა დავიწყეთო. ხალხმა მათი ინიციატივა მთლად კარგად ვერ გაიგო. თქვენი აზრით, რა სურთ ნაციონალებს?

— ნაციონალები ახლა შავ დღეში არიან. იდეებიც კი აღარ აქვთ. იდეა არც არასდროს ჰქონიათ. 2003 წელს შევარდნაძის თარგზე შეძღლეს მოსახლეობის მოტყუება. მათ იდეები რომ ჰქონოდათ ახალი ეროვნული მოძრაობის დაწყებას არ დაანონსებდნენ. საქართველოში ეროვნული მოძრაობა 1991 წლის 9 აპრილს დამთავრდა. ეს იმ დღეს მოხდა, როცა საქართველოს პარლამენტმა ქვეყნის დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

— და ამის გამო საქართველოს ახალი ეროვნული მოძრაობა აღარ სჭირდება?

— საქართველო დღეს არის დამოუკიდებელი ქვეყანა და ასეც რომ არ იყოს, ქვეყანას ნაციონალების მიერ დაფუძნებული ახალი ეროვნული მოძრაობა არაფერში სჭირდება. სხვა თუ არაფერი, მათგან ეროვნული მოძრაობა არ გამოვა. საქართველოს დღეს უამრავი პრობლემა აქვს. დაკარგულია ტერიტორიები, ქვეყანაში უმუშევრობა და სიღატაკე მძვინვარებს. ხალხს სახლკარი არ გააჩნია. ეს თავიდან ბოლომდე არის ნაციონალების დამსახურება. ამიტომაც ვამბობ, მათი მხრიდან ეროვნული მოძრაობის დაწყებაზე საუბარიც კი სირცხვილია. მათ სიტყვა ეროვნულის თქმის უფლებაც კი არ უნდა ჰქონდეთ. მათი ადგილი არის ციხეში. იმის მაგივრად, რომ საკაშვილმა და მისმა გუნდმა ცოდვები მოინანიონ, დადიან და აქციებს გვიტარებენ. 19 აპრილის აქციის ჩატარებაში ლომის წვლილი „ქართულ ოცნებას“ მიუძღვის.

— რანაირად?

— გამოაცხადეს კოჰაბიტაცია და დამნაშავეები პასუხისგებიდან გაათავისუფლეს. ისინი გრძნობენ, რომ მათ ხელს ვერავინ მოჰკიდებს და აქციების მოწყობა დაიწყეს. მეოცნებეებს სამართლიანობის აღდგენა რომ დაეწყოთ, ნაციონალები ასე აღარ გავიდოდნენ თავს. მე პირადად ამ ნაციონალებს პოლიტიკურ მაგიდასთანაც კი არ დავისვამდი. მათი ადგილი არის ციხეში!

— პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი კი მიიჩნევს, რომ ნაციონალური მოძრაობის გადარჩენა ქართულ დემოკრატიას სჭირდება.

— დავით უსუფაშვილს დიდ პატივს ვცემ. მან ბოლო დროს ბევრი კარგი განცხადება გააკეთა და ბევრი დადებითი გადაწყვეტილება მიიღო. ამ შეფასებაში კი ნამდვილად ვერ დავეთანხმები. ნაციონალების დაუსჯელობა იქნება ძალიან დიდი შეცდომა. ისინი უნდა დაისაჯონ. მხედველობაში ის ხალხი მყავს, ვინც დანაშაულს სჩადიოდა.

— დემოკრატიას რომ ეწყინოს?

— არ ეწყინება. დემოკრატიას ის უფრო ეწყინება, ნაციონალებს თუ ავკიდებთ. დამნაშავის ადგილი არის ციხეში. ნაციონალების ხელშეუხებლობით, ისედაც სავალალო დღეში მყოფ დემოკრატიას კიდევ უფრო დავასუსტებთ. მეოცნებეებს ერთ რჩევას მივცემდი, კარგი იქნება, თუ ნაციონალებს თავს დაანებებენ და საქართველოს მოსახლეობასთან დაიწყებენ კოჰაბიტაციას. ხალხს ისინი იმიტომ არ აურჩევია, ნაციონალებს ენის მოჩლექით ელაპარაკონ. სააკაშვილის გარემოცვის უსაფრთხოების აუცილებლობაზე საუბრით ჩვენც დაგვღალეს და თავადაც დაიღალნენ. მოსახლეობის პრობლემებზე სასაუბროდ კი ჯერ ვერ მოიცალეს.

— მხედველობაში რა გაქვთ?

— პარლამენტის სხდომებს ყველა ვადევნებთ თვალს. ვერ დამისახელებთ ვერც ერთ დეპუტატს, რომელიც გამოვიდა და ხალხის წინაშე არსებულ პრობლემებზე ისაუბრა. არადა, ამ ქვეყანაში უამრავი პრობლემაა, რომელიც სასწრაფოდ მოითხოვს მოგვარებას. ამ დროს პარლამენტის თავმჯდომარე გამოდის და გვეუბნება, დემოკრატიის ხათრით ნაციონალები უნდა გადავარჩინოთო. დღეს საქართველოს სჭირდება გადარჩენა და არა ნაციონალების კრიმინალურ ბანდას.

— თქვენი აზრით, რა უნდა ვუყოთ ნაციონალურ მოძრაობას, გავანადგუროთ? ყველა ნაციონალი დამნაშავე ნამდვილად არ არის.

— ის ხალხი, ვინც დანაშაული ჩაიდინა, ციხეში უნდა წავიდეს. ამას მოითხოვს კანონი და ამას მოითხოვს დემოკრატია. ნაციონალებმა უამრავი დანაშაული ჩაიდინეს, დემოკრატია წიხლქვეშ გაიფინეს და ახლა გვეუბნებიან, მათი გადარჩენა დემოკრატიისთვის აუცილებელიაო. მათი დაუსჯელობა იქნება დიდი უსამართლობა. ხალხმა კი 41 ნომერი იმიტომ აირჩია, რომ სამართალს ეზეიმა. ეს იყო მათი დაპირებაც. დაპირებები უნდა შესრულდეს. დემოკრატიის სახელით მოლაპარაკეებმა იქნებ ამიხსნან, რატომ იხარჯებოდა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ფული სააკაშვილი-უგულავას გასახდომ მასაჟებზე და ვიღაცებისთვის ყელსაბამ-სამაჯურების ჩუქებაზე. ეს ტუტუცი ნაციონალები კიდე გამოდიან და გვეუბნებიან, თქვენც ასე უნდა დახვდეთ სტუმრებსო.

— სტუმარს საქართველოში ყოველთვის პატივს სცემდნენ.

— პატივს სცემდნენ, ოღონდ არა ბიუჯეტის ხარჯზე. ბიუჯეტი სააკაშვილმა და მისმა გარემოცვამ ჯიბის ფულად ჩათვალეს. სადაც უნდოდათ და რაშიც უნდოდათ, იმაში ხარჯავდნენ ფულს. ამ დროს ხალხი სიღატაკეში იყო. მოგეხსენებათ, რომ ბოლო 9 წლის განმავლობაში არც ერთი უწყება არ შემოწმებულა ფინანსურად. არ მომხდარა ბიუჯეტის ხარჯვის კონტროლი, სადაც არ ხდება ბიუჯეტის კონტროლი, იქ არის კორუფცია. მაინტერესებს, რა მოხდებოდა, ასეთი რამე ევროპაში ან ამერიკაში რომ გაეკეთებინათ ხელისუფლების წარმომადგენლებს. იქ მათ მაშინვე ციხეში გაუშვებდნენ. ჩვენ კი თავზე ხელს ვუსვამთ ნაციონალებს, არიქა, დემოკრატიას არ ეწყინოსო. დემოკრატიის წყენა და გინება მათი დაუსჯელობა იქნება.

— ნაციონალების შიგნით მიმდინარე პროცესებზეც ვისაუბროთ. მათ შიდა რიგებში დაპირისპირებამ უკვე ღია სახე მიიღო. ამბობენ, ერთმანეთზე ისეთ კომპრომატებს დადებენ, ბევრი ვინმე წავა ციხეშიო. თქვენ რას ფიქრობთ ამის თაობაზე?

— მათ შორის ყოველთვის იყო დაპირისპირება. სააკაშვილის კარზე ყოველთვის არსებობდა რამდენიმე კლანი. ისინი ერთმანეთს ფარულად ებრძოდნენ. ფარულად აგროვებდნენ ერთმანეთზე კომპრომატებს. ერთმანეთის ჩასაძირად ბევრი დოკუმენტი უკავიათ ხელში. აქამდე ერთმანეთს ღიად არ მტრობდნენ, ხალხს აჩვენებდნენ, ერთი გუნდი ვართო. ახლა ერთიანობის შენარჩუნებამ მეორე პლანზე გადაიწია. აწი საკუთარი ტყავის გადარჩენაზე უნდა იფიქრონ. ამისთვის კი ისინი ერთმანეთის ჩაძირვა-დასამარებას არ მოერიდებიან, როგორც უკვე გითხარით, მათ ერთმანეთზე სერიოზული კომპრომატები აქვთ. კარგი იქნება, თუ ეს კომპრომატები მალე გამოქვეყნდება. ეს სამართლიანობის აღდგენის პროცესს მხოლოდ დააჩქარებს. მე არ ვიცი, რომელი კლანი წავა ციხეში, მაგრამ ბევრს მოუწევს ჩადენილი ცოდვებისთვის ციხეში ნარზე წამოწოლა.

— ამ ეტაპზე ისე ჩანს, რომ ნაციონალებმა ახალაიები გაწირეს.

— გაწირეს თუ არა ახალაიები, ვერ გეტყვით. მე იმას ვხედავ, რომ მხოლოდ ბაჩო ახალაიაა დაჭერილი. ახალაიას ბევრი დანაშაული აქვს ჩადენილი, მაგრამ ნაციონალებში მასზე უარესებიც არიან. კარგად ვიცით, რომ ახალაია სხვების დავალებებს ასრულებდა. ამიტომ ის სხვებიც უნდა დაისაჯონ. ნაციონალებს შეიძლება ჰგონიათ, რომ ბაჩოს თუ გაწირავენ, გადარჩებიან. არ გამოუვათ. ახალაია ნებისმიერ მომენტში შეიძლება ალაპარაკდეს. მას მთელი ნაციონალების ჩაძირცა ხელეწიფება.



— თქვენი აზრით, ამაზე ნაციონალები არ ფიქრობენ?

— ეგენი ახლა მხოლოდ თავის გადარჩენაზე ფიქრობენ. ათასგვარ გეგმებს ადგენენ, ალბათ. ახლა მათთვის მთავარია, მერაბიშვილი არ დაიჭირონ. ახალაიას დარდი ამ ეტაპზე არა აქვთ. სწორედ ვანოს გადასარჩენად ჩაატარეს 19 აპრილს ის აქცია. ამით უცხოეთს აჩვენეს, რომ მათ ხალხი კიდევ უჭერს მხარს.

— ხო, მაგრამ რა ისეთი აქცია ეგ იყო, რომ უცხოეთი გაკვირვებულიყო.

— მართლა არაფერი აქცია არ ყოფილა, მით უმეტეს, ჩვენთვის. მაგნაირი აქციები საქართველოს ყველა სოფელში ეწყობოდა ლამის. ეს იყო უცხოელებზე გათვლილი. მათ უნდა დაენახათ, რომ ნაციონალებს, რომლებსაც ხელისუფლება დევნის, კიდევ უჭერენ მხარს.

— ხო, მაგრამ ვინ დევნის ნაციონალებს. აქციაც ლამის პოლიციამ ჩაუტარა.

— უცხოელებს სხვანაირ სურათს დაუხატავენ. სააკაშვილი და მისი კრიმინალური დაჯგუფება ასეთ რამეებში კარგად არის გაწაფული.

— გიორგი ვაშაძე გვიმტკიცებდა, აქციაზე 100 ათასი ადამიანი იყო მოსულიო.

— მარტო 100 ათასი? მე 200 ათასი დავითვალე. რაკი ამბობდა, ბარემ მილიონი ეთქვა. ენას ძვალი არა აქვს და ლაპარაკობენ. სამწუხაროდ, დასავლეთში ჩვენს შიდა საქმეებს არ უღრმავდებიან და ისევ სჯერა სააკაშვილის.

— მოდით, ნაციონალებს თავი დავანებოთ და ცოტა ოცნებაზეც ვისაუბროთ. ზემოთ თქვით, რომ არც ერთი მეოცნებე დეპუტატი არ საუბრობს ხალხის პრობლემებზეო. რა არის ამ დუმილის მიზეზი?

— მაგაზე რომ გიპასუხოთ, ოცნება უნდა დავიწყო. მე მათი დუმილი მართლა არ მესმის. ისევე როგორც იმ თემების წამოწევა, რომლებიც დღეს ქვეყანას არაფერში არ სჭირდება. თითქოს ულვაშიანი და ბლანუიანი პრეზერვატივები არ გვეყოფოდა, ცოტა ხნის წინ რეგიონული ენების თემა წამოსწიეს. რა დროს რეგიონული ენებია, ხალხო. დღეს ქართულ ენას სჭირდება დაცვა. ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი, თუ დამოუკიდებელ საქართველოში ქართული ენის დასაცავად აქციების ჩატარება დაგვჭირდებოდა. ჩვენმა პარტიამ „თავისუფალი საქართველო“ რამდენიმე აქცია გავმართეთ. ჩვენ მოვითხოვთ, რომ სხვადასხვა ობიექტებზე არ იყოს მხოლოდ ინგლისური წარწერები. ჯერ ქართული წარწერები იყოს და მერე ნებისმიერ ენაზე მიაწერონ, არ არის პრობლემა. რა დროს რეგიონული ენებია, ხალხო, როცა ქართული ენა გაგვიხდა გადასარჩენი.

— ისე, რატომ შეუღიტინათ რეგიონული ენების იდეამ?

— მაგათ სხვა რამემ შეუღიტინა. რეგიონულ ენებთან დაკავშირებით 1999 წელს ავიღეთ ვალდებულება. საქართველო სწორედ მაშინ გახდა ევროსაბჭოს წევრი. ახალი ხელისუფლება ნაციონალების მსგავსად ცდილობს, დასავლეთს ერთგულება დაუმტკიცოს. იმათ მსგავსად, ესეც სკამის შესანარჩუნებლად ყველაფერს აკეთებენ. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა დავით უსუფაშვილის განცხადება, ნაციონალების გადარჩენასთან დაკავშირებით.

— თქვენ ფიქრობთ, რომ უსუფაშვილს სკამის დაკარგვის საფრთხე ემუქრება?

— ამ ეტაპზე არა. მაგრამ წინ იხედება და არ სურს მისი სკამი შეირყეს. სკამის სიმყარე თუ გინდა, მაშინ დასავლეთს უნდა დაუხარო თავი. სააკაშვილმა დაამკვიდრა ასეთი სტანდარტები. სამწუხაროა, რომ „ქართული ოცნებაც“ ამ სტრატეგიას ირჩევს. ხელისუფლება დიდ შეცდომას უშვებს, როცა დასავლეთს უფრო დიდად უწევს ანგარიშს, ვიდრე საკუთარ მოსახლეობას.

— ამით რის თქმა გინდათ?

— იმის, რომ ის ძალა აუცილებლად წაადგებს, ვინც საკუთარ ხალხს ანგარიშს არ უწევს. ასე დაემართა ნაციონალებს. ნაციონალებმა ხელისუფლებაში ყოფნისას ქვეყანა თავზე დაგვამხეს. ოპოზიციაში მყოფები კი კიდევ უარესს გაგვიკეთებენ. ამას კარგად უნდა აცნობიერებდეს „ქართული ოცნება“. მათ ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისთვის, რომ პარლამენტში რეალურად შეიქმნას ოპოზიცია. სწორედ ახლა არის ამის შესაძლებლობა. 27 აპრილს ქვეყანაში 3 რაიონში შუალედური არჩევნები ტარდება. მეოცნებეებმა საკუთარი კანდიდატურები უნდა მოხსნან და რეალურ ოპოზიციას უნდა დაუთმონ გზა. პარლამენტს ჰაერივით სჭირდება რეალური ოპოზიციური ძალა. მხოლოდ ასე დაიწყება პარლამენტში ნამდვილი პოლიტიკური ცხოვრება. დღეს საპარლამენტო უმრავლესობას ოპონენტები არ ჰყავს.

— ნაციონალებს ოპონენტებში არ ათვლით?

— რა ოპონირება უნდა გაუწიონ ნაციონალებმა? მოსიარულე კომპრომატები არიან. როგორც კი რამეს იტყვიან, ეგრევე წამოაძახებენ წარსულს. ეტყობა მეოცნებეებს აწყობთ ასეთი ოპოზიცია. სამაგიეროდ, ეს არ აწყობს ქვეყანას. „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნებზე ძალიან დიდი გამარჯვება მოიპოვა და ეს გამარჯვება შესაძლოა გულზე დაადგეთ, ისევე როგორც ნაციონალებთან სიამტკბილობა. თავშიც გითხარით და გაგიმეორებთ, რომ მეოცნებეებს ნაციონალებთან კოჰაბიტაციას ხალხთან კოჰაბიტაცია უჯობთ. ხალხი სამართლიანობის აღდგენას ითხოვს და ხელისუფლება ვალდებულია, ეს გააკეთოს. წინააღმდეგ შემთხვევაში ამას ხალხი გააკეთებს და ნაციონალებს შესაძლოა ზედ მეოცნებეებიც მიაყოლონ.

— ქვეყანაში პოლიტიკური ვითარება ნელ-ნელა ჩიხში შედის. უკვე ხშირად ისმის საუბრები ვადამდელ საპარლამენტო არჩევნების აუცილებლობაზე. თქვენც ემხრობით ვადამდელ არჩევნებს?

— ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები აუცილებელია. შარშანდელი არჩევნები იყო დიდი მიღწევა. დიდი მიღწევა იყო იმიტომ, რომ სააკაშვილს ჩამოართვეს ძალაუფლება. ამისთვის დიდი მადლობა ბიძინა ივანიშვილს. ამის მიუხედავად არჩევნები 1 ოქტომბერს ნორმალურ ვითარებაში არ ჩატარებულა. ახლა გაჩნდა დემოკრატიული არჩევნების შანსი. ახლა მართლა ნამდვილი ოპოზიცია შევა პარლამენტში, რომელიც ნაციონალებს ხმის ამოღების საშუალებას არ მისცემს. სამწუხაროა, რომ ხალხისთვის საძულველი ნაციონალები მეოცნებეებს აკმაყოფილებს. მწყინს ისიც, რომ დაპირებები არ სრულდება.

— რა დაპირება არ სრულდება?

— არჩევნების წინ მეოცნებეები ერთი ლარით აპირებდნენ საწვავის გაიაფებას. პირობა არ შესრულდება. იმიტომ, რომ კეზერაშვილის ნაცვლად ახლა „პიქსელის“ შენობაში ხუხაშვილი ზის. მოხდა ბიზნესების გადაფორმება. და ახლა ახალი მონოპოლისტი არ აიაფებს საწვავს. კორუფციის ნიშნები უკვე სახეზეა. მოვუწოდებ ივანიშვილს, გადახედოს საკუთარ გარემოცვას და გაარკვიოს, რატომ ვერ ხერხდება საწვავის გაიაფება.

ერთიანი ეროვნული გამოცდებისათვის 42 000-მდე აბიტურიენტი დარეგისტრირდა

2013 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობისათვის რეგისტრაცია 42 000-მდე აბიტურიენტმა გაიარა.

როგორც „მედიანიუსს“ ცენტრში განუცხადეს, ეს ერთიანი ეროვნული გამოცდების არსებობის ისტორიაში რეკორდული მაჩვენებელია. აბიტურიენტთა უმეტესობამ — 30 000-მდე ახალგაზრდამ უცხო ენად ინგლისური აირჩია. რაც შეეხება არჩევით საგნებს, ყველაზე მეტ — 11 158 აბიტურიენტს გეოგრაფია აქვს მითითებული.

აბიტურიენტთა რეგისტრაციის ვადა 20 აპრილს ამოიწურა. გუშინვე დასრულდა საგრანტო კონკურში მონაწილეთა რეგისტრაციაც. იმ სტუდენტების რაოდენობა, რომლებიც საგრანტო კონკურსში მონაწილეობასა და დაფინანსების გაუმჯობესებას აპირებენ, 8 221-ს შეადგენს. საერთო სამაგისტრო გამოცდებში მონაწილეთა რეგისტრაცია კი 25 აპრილს დასრულდება.

მედიანიუსი

დიტერ ბოდენი ალექსანდრე ანქვაბს შეხვდა

აფხაზეთის დე-ფაქტო პრეზიდენტი ალექსანდრე ანქვაბი ,,რობერტ ბოშის ფონდის“ კონსულტანს, საქართველოში გაეროს გენერალური მდივნის ყოფილ სპეციალურ წარმომადგენელს, დიტერ ბოდენს შეხვდა.

,,აპსნი პრესის“ ცნობით, ბოდენმა ანქვაბს მიღებისათვის მადლობა გადაუხადა და განაცხადა, რომ აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებს თვალყურს ადევნებს.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო საქართველოსა და ოკუპირებული აფხაზეთის ურთიერთობას.

ანქვაბმა განაცხადა, რომ აფხაზეთში საქართველოს ახალი ხელისუფლებისგან საკვანძო საკითხებზე პოზიციის შეცვლას არ ელოდებიან.

,,პირველ რიგში, მშვიდობის შესახებ შეთანხმებას უნდა მოეწეროს ხელი, მაგრამ ჯერჯერობით ვერანაირ პერსპექტივას ვერ ვხედავ“, – აღნიშნა ანქვაბმა.

ბოდენის თქმით, მისი აფხაზეთში მუშაობის შემდეგ იქ ბევრი რამ შეიცვალა, რის გამოც მას აფხაზეთში ჩასვლის სურვილი გაუჩნდა.

ალექსანდრე ანქვაბმა დიტერ ბოდენი აფაზეთში დასასვენებლადაც დაპატიჟა.

მედიანიუსი

ემზარ კვიციანი: „კოდორის ხეობაზე შოკისმომგვრელ ინფორმაციას გავავრცელებ!“

რატომ არ აძლევენ კოდორის ხეობაში პრეზიდენტის ყოფილ რწმუნებულს პოლიტდევნილის სტატუსს

შორენა მარსაგიშვილი

კოდორის ხეობაში პრეზიდენტის ყოფილი რწმუნებული ემზარ კვიციანი საქართველოში დაბრუნებას მოუმზენლად ელოდება. ის კოდორის ხეობასთან დაკავშირებულ სკანდალურ მასალებს მხოლოდ საქართველოში გაახმაურებს. დღეს კვიციანი საქართველოდან გაქცეულია და პოლიტდევნილის სტატუსს ელოდება.

კვიციანმა სამშობლო 2006 წლის ივლისში დატოვა. ამ ყველაფერს წინ უძღოდა კოდორის ხეობაში დადგმული სპექტაკლი. გვამცნეს, რომ კვიციანმა ამბოხი მოაწყო და საქართველოს ხელისუფლებას დაუმორჩილებლობა გამოუცხადა.

ამას ნაციონალები როგორ შეეგუებოდნენ და ხეობაში „სპეცოპერაცია“ ჩაატარეს. სპეცოპერაციის მაშინდელი თავდაცვის და შს მინისტრები ირაკლი ოქრუაშვილი და ვანო მერაბიშვილი მეთაურობდნენ.

ალბათ, გახსოვთ, რა განცხადებები კეთდებოდა მაშინ. ცენტრალური ხელისუფლება გვაუწყებდა, რომ ემზარ კვიციანი ალყაში ჰყავდათ. მერე გაირკვა, რომ იქ არანაირი ალყა არ ყოფილა და არც კვიციანს გაუწევია რამენაირი წინააღმდეგობა. იქ წინააღმდეგობა რომ ყოფილიყო, საეჭვოა, მერაბიშვილსა და ოქრუაშვილს აღლუმი ჩაეტარებინათ.

ისიც გემახსოვრებათ, სააკაშვილმა ბედნიერმა რომ გვამცნო, კოდორის ხეობაში საქართველოს იურისდიქცია აღდგაო. არადა, იქ საქართველოს იურისდიქცია არასდროს არ ყოფილა დაკარგული. ხეობის მოსახლეობამ 15 წლის მანძილზე, ფაქტობრივად, შიშველი ხელებით შეინარჩუნა იქაურობა. 2008 წლის 9 აგვისტოს კი ხეობა მოწინააღმდეგეს ერთ საათში ჩააბარეს. არადა, რა ზარ-ზეიმით დაარქვეს ნაციონალებმა ხეობას ზემო აფხაზეთი.

ხეობას გასამხედროებული ფორმირება „მონადირე“ იცავდა. მის შემადგენლობაში სულ ადგილობრივები იყვნენ. ნაციონალებმა მოსვლისთანავე ცუდი თვალით შეხედეს „მონადირეს“. ჯერ გივი თარგამაძემ მოითხოვა მისი გაუქმება, შემდეგ ირაკლი ოქრუაშვილმა გამოიდო თავი. „მონადირე“ თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში იყო.

ოქრუაშვილის გადაწყვეტილებას მაშინ კატეგორიულად შეეწინააღმდეგა ირაკლი ალასანია. მას აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პოსტი ეკავა. ალასანია მზად იყო, „მონადირე“ თავის დაქვემდებარებაში შეეყვანა. ამის გაკეთება არ აცალეს. ის გაეროში გაამწესეს საქართველოს დესპანად.

ხეობის „დაბრუნების“ შემდეგ ნაციონალებმა მოსახლეობაში არსებული იარაღი მთლიანად ამოიღეს. იქ სპეცდანიშნულების რაზმი შეიყვანეს, რომელსაც საკმაოდ დიდი შეიარაღება ჰქონდა თან. ამ იარაღით ხეობის დაცვა კარგა ხნის განმავლობაში შეიძლებოდა, მაგრამ აგვისტოს ომის დროს ვანო მერაბიშვილის მითითებით ხეობა ერთ საათში დატოვეს. შეიარაღება იქ დარჩა. აფხაზები და რუსები თითქმის ერთი წელი ეზიდებოდნენ იქიდან შეიარაღებას. განსაკუთრებით საინტერესო იყო, რაში სჭირდებოდათ ხეობაში სკუტერები.

ყველაზე საინტერესო ისაა, რატომ დატოვეს შეიარაღებულმა ძალებმა ხეობა ერთ საათში. იმედია, ამას გამოძიება დაადგენს. ახალი ხელისუფლება აგვისტოს ომის გამოძიებას აპირებს.

საინტერესო ცნობებს ფლობს ემზარ კვიციანი, რომელიც სამშობლოში დაბრუნებას გეგმავს, თუმცა მანამდე პოლიტდევნილის სტატუსი უნდა მიიღოს.

– 109 კაცს გვაქვს შეტანილი განაცხადი პარლამენტში. ჩვენ პოლიტდევნილის სტატუსს ვითხოვთ. მე ვერ გეტყვით, რატომ აგვიანებს პარლამენტი ჩვენი საქმეების განხილვას. ეს თქვენ, ჟურნალისტებმა უნდა გაარკვიოთ, – განაცხადა „ახალ თაობასთან“ საუბარში ემზარ კვიციანმა.

ის მზად არის, კოდორის ხეობასთან დაკავშირებით ყველა კითხვას გასცეს პასუხი. ის პასუხებს ძველი ხელისუფლებისგანაც ელოდება.

– კოდორზე ბევრი რამე მაქვს სათქმელი. ამას მაშინ ვიტყვი, როცა საქართველოში ჩამოვალ. ჩემი განცხადება იქნება დიდი სკანდალი. ეს ამბავი ძველი ხელისუფლების წარმომადგენლებს არ მოეწონებათ. ბევრ რამეს მოეფინება ნათელი და ისიც გაირკვევა, რატომ ჩააბარეს მოწინააღმდეგეს კოდორის ხეობა, – ამბობს ემზარ კვიციანი.

მას მართლა ბევრი და საინტერესო ინფორმაცია აქვს. იმედი ვიქონიოთ, პარლამენტი მალე დაიწყებს პოლიტდევნილების საკითხის განხილვას. კვიციანის გარდა, სამშობლოში კიდევ ბევრ ადამიანს სურს დაბრუნება. სხვების რა მოგახსენოთ, მაგრამ კოდორის ხეობაში პრეზიდენტის ყოფილ რწმუნებულს ბევრი შოკისმომგვრელი ინფორმაციის გაჟღერება შეუძლია. პირველ რიგში უნდა გავარკვიოთ, რა მოხდა 2006 წლის ივლისში ხეობაში.

„112“-ის დირექტორმა საერთაშორისო კონფერენციაში მიიღო მონაწილეობა

შინაგან საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტის „112“-ის დირექტორი გიორგი ბიჭაშვილი სამდღიანი სამუშაო ვიზიტით ლატვიაში იმყოფებოდა. იგი რიგაში გამართულ ევროკავშირის საგანგებო სიტუაციების სამსახურების კონფერენცია 2013-ს დაესწრო.

როგორც „მედიანიუსს“ შსს დეპარტამენტის „112“-დან აცნობეს, ვიზიტის მიზანი იყო ევროპის მასშტაბით, საგანგებო სიტუაციების მართვის სფეროში გამოცდილების გაზიარება, სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკასა და იქ მოქმედი საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრების სპეციფიკის გაცნობა.

ყოველწლიურ კონფერენციაზე საქართველოს წარმომადგენლები პირველად იყვნენ მიწვეულნი. მასში 30 ქვეყნის 400-მდე წარმომადგენელი მონაწილეობდა. მონაწილეობას იღებდნენ როგორც საერთაშორისო დონის ექსპერტები, ისე გადაუდებელი დახმარების სფეროს წარმომადგენლები, საჯარო პირები თუ კერძო წარმომადგენლები.

ვიზიტის ფარგლებში „112“-ის დირექტორმა პირადად დაათვალიერა რიგაში არსებული საგანგებო სიტუაციების მართვის ცენტრები და კოლეგებისგან მიიღო ინფორმაცია ერთიანი გადაუდებელი დახმარების ნომრის – „112“-ის მუშაობის სპეციფიკის შესახებ. გარდა ამისა, დაათვალიერა გამოფენა, სადაც გაეცნო უახლეს ტექნოლოგიებსა და მიღწევებს გადაუდებელი დახმარების მართვის სფეროში.

ასევე გიორგი ბიჭაშვილი დაესწრო 112-ის დაჯილდოების ცერემონიას, სადაც კონკრეტულ პირებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი ერთიანი ევროპული ნომრის 112-ის მომსახურების გაუმჯობესებისა და ცნობადობის გაზრდაზე, სპეციალური ჯილდოები გადაეცათ.

როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს დეპარტამენტის „112“-ში აცხადებენ, ამ ღონისძიებაში ქართული მხარის მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან კონფერენციაზე მიღებული გამოცდილება, მათ შორის სხვადასხვა ქვეყნის პრაქტიკის გაზიარება, საერთაშორისო აღიარებულ ექსპერტთა მოსაზრებების გაცნობა და მათგან მიღებული რეკომენდაციები. 112-ს დაეხმარება სწრაფად და ეფექტურად აღმოუჩინოს დახმარება როგორც საქართველოს მოქალაქეებს, ასევე საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ ტურისტებს.

მედიანიუსი

დასაწყისი მე-2 გვერდზე

მამუკა გიორგაძე: „ნაციონალებს ხალხი ეროვნულ მოძრაობად არასდროს აღიარებს“

დოს რებრედინგი და ეროვნული მოძრაობის დროშით გამოვიდეს პოლიტიკურ სივრცეში. ეროვნული ღირებულებები, პროდასავლური კურსი, მსგავსი ცნებებისათვის დატოვა ოცნებამ ადგილი ქართულ პოლიტიკურ სპექტრში და, აი, ამ ადგილის დაკავებისთვის ყველანაირად უწყობს ხელს ნაცმოძრაობას. ხელისუფლება ძირითადად გადასულია იმაზე, რომ ნაცმოძრაობის შიგნით არსებული ჯგუფების თავის მხარეზე გადმობირება მოახერხოს და ის, რომ ჯანსაღი პოლიტიკური ვითარება დაინერგოს საქართველოში და მიეცეთ შესაძლებლობა რეალურად პოლიტიკურ ჯგუფებს, თავიანთი რეალური სახე აჩვენონ. დღეს, ფაქტობრივად, ოცნებამ თავისი რუსული ნაბიჯებით ეროვნული ღირებულებების დაცვის არგამოკვეთითა და სხვა ქმედებებით ეს სივრცე დატოვა, სადაც ბლოკირებას უკეთებს ჯანსაღ ეროვნულ ძალებს და პირდაპირ აძლევს საშუალებას ნაცმოძრაობას, ამ სივრცეში შევიდეს. აი, ეს ჩანს დღევანდელ პოლიტიკურ სიტუაციაში. თქვენ ამბობთ, აქვს თუ არა ვანო მერაბიშვილს მორალური უფლება – მე მაინტერესებს, როდესაც პარლამენტის თავმჯდომარე აკეთებს განცხადებას, რომ ქართული დემოკრატიის გამარჯვება იქნება ნაცმოძრაობის ჯანსაღი ნაწილის გადარჩენა, გულისხმობს თუ არა ის მათ შორის ვანო მერაბიშვილსაც. თუ მერაბიშვილს არ გულისხმობს, მაშ, ვის გულისხმობს – გიგა ბოკერიას, ახალაიას, უგულავას?! ვის გულისხმობს უსუფაშვილი ნაცმოძრაობის ჯანსაღ ნაწილში? ვის აძლევს მორალურ უფლებას, რომ იწოდებოდეს დემოკრატიის შემადგენელ ჯანსაღ ნაწილად. აი, ეს ყველაფერი განმარტებული არ არის. განმარტებული არ არის იგივე, როდესაც გია ხუხაშვილი ლამის ინდულგენციებს არიგებს, ვინ არის რეჟიმის მსხვერპლი და ვინ არა. აი, ეს პოლიტიკა ტოვებს იმის შესაძლებლობას, რომ, დავუშვათ, ნაცმოძრაობამ განახლებული სახით გააგრძელოს ფუნქციონირება. შემდეგ რატომღაც „ქართულ ოცნებას“ უნდა, რომ ჩვენ, ხალხმა, შევასრულოთ მაყეფარი ძაღლის ფუნქცია, რომ ნაცმოძრაობის ეს ჯგუფები მივდენოთ მონადირესთან. ეს მონადირე ოცნება იქნება და შემდეგ, შერჩევით, რომელიც მოეწონება ოცნებას, იმას მოინადირებს? რატომ აყენებს ხელისუფლება ამ შეურაცხყოფას ქართველ ხალხს? პირადად ჩემთვის უფრო მეტად შეურაცხმყოფელია ოცნების დამოკიდებულება. ე.ი. ჩვენ ყველა უნდა გამოვიდეთ და ვამტკიცოთ, რომ ნაცმოძრაობა არის დანაშაულებრივი ორგანიზაცია; რომ ვანო მერაბიშვილს, უგულავას, ბოკერიას, სააკაშვილს არა აქვთ მორალური უფლება, რუსთაველზე გაიარონ. ამ დროს სადღაც ისხდებიან გია ხუხაშვილი და უსუფაშვილი და გადაწყვეტენ, რომელია ამ მიდევნილებს, მორალურად განადგურებულებს შორის ჯანსაღი და რომელთა გადარჩენაც ხვალ ქართული დემოკრატიის გადარჩენად გასაღდება., ამასთან გვაქვს დღეს საქმე, რომ შევასრულოთ შავი სამუშაო, შემდეგ კი თეთრი ხელებით ჭკუას დაგვარიგებენ ოცნების ის უფუნქციო წარმომადგენლები, რომლებიც ბიძინა ივანიშვილმა საკუთარი რეიტინგით შეყარა პარლამენტში?! ეს ხომ იგივეა, რასაც სააკაშვილი აკეთებდა მოქალაქეთა კავშირის წარმომადგენლებთან მიმართებით, რომ ჩვენ უნდა აღვშფოთებულიყავით შევარდნაძის მოქკავშირით და ნაცმოძრაობისთვის მიგვეცა ფუფუნების საშუალება, რომ შეერჩია ყოფილი მოქალაქეთა კავშირის წარმომადგენლები, ვინ გაეგდო საქართველოდან, ვინ დაეჭირა, ვისთვის წაერთმია ფული და ვინ ყოფილიყო ხელშეუხებელი. ეს პოლიტიკა საქართველოში უნდა დამთავრდეს. ამ შემთხვევაში ამაზე პასუხისმგებლობა სწორედ დღევანდელ ხელისუფლებას ეკისრება. ის უფრო მეტად აყენებს შეურაცხყოფას ქართველი საზოგადოების ჯანსაღ ნაწილს, ვიდრე ნაცმოძრაობის გამოსვლა თუნდაც რუსთაველზე, ან მომეცი იმის საშუალება და მე გავცემ პასუხს, ან შექმენი ისეთი გარემო, რომ ტელეეთერით ან ნებისმიერი სხვა ფორმატით ჩვენ გავცემთ ნაცმოძრაობას პასუხს, თუ ეს ოცნებას არ შეუძლია; ანდა, კეთილი ინებოს და გამოაცხადოს თავისუფალი გარემო. შემდეგ, მუშტი-კრივზე თუ მიდგება საქმე, ჩვენ ავიღებთ ჩვენს თავზე ამ საქმის განხორციელებას. ე.ი. ერთი მხრივ, ის მაქსიმალურად ეხმარება ნაცმოძრაობას, მეორე მხრივ – პრაქტიკულად, იცავს და კარგ გარემოში ამყოფებს მას; მესამე მხრივ, მე უნდა ვიძახო და პატიოსანმა ადამიანებმა, რომ ნაციონალებს მორალური უფლება არა აქვთ, რუსთაველზე იდგნენ ეროვნული მოძრაობის სახელით. ეს ამაზრზენია. ოაზისში ამყოფებს ხელისუფლება ნაცმოძრაობას და ჩვენ უნდა შევასრულოთ მაყეფარი ძაღლის ფუნქცია. შეუძლებელია, ასე გაგრძელდეს. შეუძლებელია, სადღაც ამან პრობლემა არ შექმნას და ეს უკვე სახელმწიფოებრივი კრიზისი იქნება.

– მართლაც, მერაბიშვილმა ამ აქციით თავი საპრეზიდენტო კანდიდატად გამოკვეთა? ამასთან, რას იტყვით დათა ახალაიასა და მარიკა ვერულაშვილის მიერ მერაბიშვილის წინააღმდეგ გაკეთებულ განცხადებებზე?

– საქმე ასე ცალსახად არ არის. აქციის მსვლელობის დროს გამოჩნდა, რომ ნაცმოძრაობის შიგნით არ არის გადაწყვეტილი, ვინ იქნება ლიდერი. ბუნებრივია, ნაცმოძრაობის შიგნითაც მიმდინარეობს სერიოზული შიდა პროცესი. იქაც სერიოზულ დაპირისპირებებს აქვს ადგილი. იქაც იკვეთება გარკვეული ჯგუფები, კლანები, რომლებიც პრეტენზიას აცხადებენ, ერთი მხრივ, ნაცმოძრაობის მატერიალურ ქონებასა თუ პოლიტიკურ მემკვიდრეობაზე და სერიოზული პროცესი იქაც მიმდინარეობს. ასე რომ, მერაბიშვილი იქნება, ბოკერია თუ უგულავა – ყველას ჯერ კიდევ თავის შიდა წრეში აქვს ადგილი დასამკვიდრებელი და ბევრი რამ დასამტკიცებელი. დასამტკიცებელი აქვთ, რომ ისინი არიან რეალური ლიდერები და ეს აშკარად გამოიკვეთა აქციის მსვლელობის დროსაც.

– მარიკა ვერულაშვილი დღეს ამბობს, რომ მერაბიშვილის გვერდით დგომა სამარცხვინო იყო.

– ბუნებრივი პროცესია. ვერულაშვილი ახალ პატრონს ეძებს. სააკაშვილი ყოველთვის ვერ იქნება ვერულაშვილის კეთილდღეობის გარანტი. ჩვეულებრივი მომენტია, ყელში ამოუვიდა, ანდა საერთო წერტილები ვერ მოძებნა და ახლა ცდილობს ახალ პალოზე გადაბმას. ახლა უნდა, ივანიშვილის ხელისუფლებაში იპოვოს კეთილდღეობა. სწორედ ვერულაშვილისა და ახალაიასნაირები, ბევრი სხვა დეპუტატი, რომლებიც ნაცმოძრაობის სიით გავიდნენ პარლამენტში და შემდეგ მეორე დღეს, საკუთარი ოჯახისა თუ პირადი კეთილდღეობის გამო, საპარლამენტო უმრავლესობაში აღმოჩნდნენ. აი, ამ ადამიანების მხილება უნდა მოხდეს. სწორედ ეს მედროვეები არიან, რომლებიც პოლიტიკურ ვითარებას კიდევ უფრო მეტად ამძიმებენ. რატომ უკვირთ მერე, რომ თვითონაც გამოყენებადები ხდებიან ამა თუ იმ კლანის ხელში. თუ მარიკა ვერულაშვილი დამნაშავედ თვლიდა ვანო მერაბიშვილს, კეთილი ინებოს და დაბრუნოს ის ყველაფერი, რაც მან მერაბიშვილის გვერდში დგომით მიიღო. კეთილი ინებოს, ამაზე შესაბამისი ჩვენება მისცეს და წავიდეს იქ, სადაც დამნაშავეების ადგილია. ჩვენ მივეჩვიეთ ასეთ გადახტომას ერთი ნავიდან მეორეში.

– რატომ იღებენ ივანიშვილის თანაგუნდელები ნაციონალებს ასე უპრობლემოდ საპარლამენტო უმრავლესობის რიგებში, ვერ ხვდებიან, რომ ეს ამომრჩეველს ძალიან აღიზიანებს?

– ეს ტრადიცია კომუნისტებიდან მოდის. შევარდნაძის ხალხი ნაცმოძრაობაში აღმოჩნდა, ეს პროცესი უნდა დამთავრდეს. ასეთი პოლიტიკური სისტემა უნდა დაინგრეს.

– სამართლიანობის აღდგენის პროცესისა და სუსტი პოლიტიკური ნების ბრალია ის, რაც 19 აპრილს რუსთაველზე ვიხილეთ – დანაშაულებრივი რეჟიმის წარმომადგენელთა ეროვნულ ინტერესებზე საუბარი და დაქადნება? სააკაშვილის გუნდი ამბობს, ამ ხელისუფლებას 4 წელი ვერ დაველოდებითო.

– ეს არის ინდულგენციების დარიგების, მათთვის კომფორტული ადამიანების ამორჩევისა და ა.შ. პროცესი. ეს არის პროცესი იმისა, რომ ქვეყანაში პოლიტიკური მონოპოლიზება გაგრძელდეს, არ მოხდეს ჯანსაღი კონკურენტული გარემოს დაფუძნება. შესაბამისად, ასეთი ერთჯერადი გამოყენების ადამიანების მიღება ნიშნავს იმას, რომ ოცნებასაც უნდა, პოლიტიკაში ისეთივე ხაზი გააგრძელოს, რასაც ნაცმოძრაობა აკეთებდა. აბა, ამაზე მოთხოვნილება რატომაა. რატომაა ეს ხალხი დეპუტატი. თუ ვიღაცას შვილი დაუჭირეს ან ქმარი დაუპატიმრეს, რა საქართველოს გადასახდელია ამათი ქმრებისა და შვილების, ამათი საყვარლების ხარჯების გასტუმრება მათ მიერ ჩადენილი ძველი დანაშაულების მიტევების გზით?! ეს ხომ უნდა დამთავრდეს. თუ ოცნებას უნდა, რომ ჰქონდეს რეალური პერსპექტივა, ეს უნდა დაამთავროს, მსგავსი პროცესების განვითარებას ხელი არ უნდა შეუწყოს.

გიგი უგულავას მეუღლეს სიმთვრალის გამო მანქანის მართვის უფლება ერთი წლით ჩამოართვეს

გიგი უგულავას ცოლი, ლელა კილაძე, სკანდალში გაეხვია. 17 აპრილს, ვანოს გაეროვნულებამდე ორი დღით ადრე და იმ დროს, როცა გიგი უგულავა სამიტინგო ტექსტს იზუთხავდა, დილით, უთენია, 7 საათზე, ლელა კილაძე პოლიციამ გააჩერა. გიგი უგულავა ამ ფაქტსაც პოლიტიკურ დატვირთვას მისცემდა, რომ არა ერთი „უბრალო“ მიზეზი: თბილისის მერის ცოლი საჭესთან გატიალებული მთვრალი იჯდა. პოლიციას ალკოტესტი არც დაჭირვებია, კილაძემ ისეთი ამღვრეული თვალებით გადმოხედა. კანონი კანონია და „ნომერ პირველი თბილისელის“ ნომერ მეორე ცოლს მაინც ჩააბერინეს. კილაძეს ეყო ჭკუა და წინააღმდეგობა არ გაუწევია, ჩაბერა. ჩაბერა და დადგინდა ის, რაც ისედაც ცხადი იყო. პატრულმა კილაძე-უგულავასას შესთავაზა, გამოეძახებინა ფხიზელი ახლობელი. კილაძემ უარი თქვა, მანქანიდან გადმოვიდა და პირდაფჩენილი საპატრულო ეკიპაჟი კარღია მანქანასთან მიატოვა.

ამბავი ასე გაგრძელდა: პოლიციამ გადაამოწმა მონაცემები და აღმოჩნდა, რომ თურმე ლელა კილაძე 30 მარტს ასევე არაფხიზელ მდგომარეობაში მანქანის მართვის გამო უკვე დაჯარიმებული ჰყავდათ. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ასეთ შემთხვევაში მკაცრია – ლელა კილაძეს ავტომობილის მართვის უფლება ერთი წლით ჩამოერთვა!

„პრაიმერინფო“ კომენტარისათვის დაუკავშირდა შს სამინისტროს პრესსამსახურს. ნინო გიორგობიანმა ინფორმაცია დაადასტურა: „ქალბატონი ლელა კილაძეს ჩამოერთვა მართვის უფლება ერთი წლით, რადგან ის განმეორებით მართავდა ავტომობილს არაფხიზელ მდგომარეობაში“.

პრაიმერი

ბიძინა ივანიშვილი სტრასბურგში გაემგზავრა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი სტრასბურგში გაემგზავრა. იგი ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის საგაზაფხულო სესიას დაესწრება და სიტყვით გამოვა. ევროსაბჭოს დეპუტატები საქართველოს პრემიერ-მინისტრს 23 აპრილს, ადგილობრივი დროით 12 საათზე მოუსმენენ. მიმართვის შემდეგ ბიძინა ივანიშვილი ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წევრების შეკითხვებს უპასუხებს, – აცნობეს „მედიანიუსს“ საქართველოს მთავრობიდან.

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე სიტყვით გამოსვლის გარდა, ვიზიტის ფარგლებში ბიძინა ივანიშვილი ორმხრივ შეხვედრებსაც გამართავს. დაგეგმილია შეხვედრა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტთან ჟან კლოდ მინიონთან.

სამდღიანი ვიზიტის ფარგლებში ბიძინა ივანიშვილი შეხვედრებს გამართავს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეზიდენტთან დინ შპილმანთან, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის გენერალურ მდივანთან ვოიცეკ სავიცკისთან, ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის კომისართან ნილს მუჟნიეკსთან, ევროპის საბჭოს ვენეციის კომისიის პრეზიდენტთან ჟანი ბუკიკიოსთან და ვენეციის კომისიის მდივან ტომას მარკერტთან, ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან ტორბიორნ იაგლანდთან, ევროპის საბჭოს კონგრესის ადგილობრივი და რეგიონული წარმომადგენლების გენერალურ მდივანთან ანდრეას კოფერთან, ევროპის ლიბერალ დემოკრატების ალიანსის პოლიტიკური ჯგუფის თავმჯდომარესთან ანე ბრასორთან, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სოციალისტთა ჯგუფის თავმჯდომარის მოადგილესთან ნატაშა ვუკოვიჩთან, რუმინეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთან ვიქტორ პონტასთან.

სტრასბურგში ვიზიტის დროს დაგეგმილია საქართველოს პრემიერ-მინისტრის შეხვედრა საერთაშორისო მედიის წარმომადგენლებთან.

ბიძინა ივანიშვილი სტრასბურგს 24 აპრილს დატოვებს.

მედიანიუსი

ფინანსთა სამინისტროში ლეიკემიით დაავადებულ ბავშვთა დასახმარებლად აქცია გაიმართება

დღეს ფინანსთა სამინისტროში ლეიკემიით დაავადებული ბავშვების დასახმარებლად მორიგი აქცია გაიმართება.

ფინანსთა მინისტრის მოადგილე დავით ებრალიძე და ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლები ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის სისხლს გაიღებენ. აქცია ფინანსთა სამინისტროსა და სისხლის ბანკს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში ეწყობა. ის 12.00 საათზე დაიწყება.

მედიანიუსი

სანდრო ბრეგაძე: „მიხეილ სააკაშვილსა და ვანო მერაბიშვილს შორის სერიოზული განხეთქილებაა“

რა გეგმები ჩაუშალეს 19 აპრილს ხერხემალს

ნონა ცაბაძე

ინტერვიუ სანდრო ბრეგაძესთან

– ბატონო სანდრო, როგორია თქვენი შეფასებები 19 აპრილის აქციასთან დაკავშირებით? ნაციონალები აცხადებენ, რომ ახალ ეროვნულ მოძრაობას ვაყალიბებთო და ცოტა ცინიკური ხომ არ არის მათი მხრიდან მსგავსი განცხადება?

– მე ვიტყოდი, რომ ცინიკური – ეს არ არის ის სიტყვა, რომელიც ამ სიტუაციაში უნდა გამოიყენო. ეს არის უბრალოდ შეურაცხმყოფელი თითოეული ჩვენგანისთვის და თითოეული იმ ადამიანისთვის, რომელიც თავის დროზე ეროვნულ მოძრაობაში იღებდა მონაწილეობას. ეს კიდევ არაფერი, ეს არის შეურაცხმყოფელი იმ დიდი მამულიშვილებისთვის, რომელმა მამულიშვილებმაც, წინა საუკუნის პირველ ნახევარში ილია ჭავჭავაძის, ხოლო წინა საუკუნის მეორე ნახევარში ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ხელმძღვანელობით დაიწყეს ეროვნული მოძრაობა. როდესაც ასეთი ისტორიის მქონე მოძრაობის სახელს ირქმევენ მერაბიშვილი და მაზმანიანი, ეს არის შეურაცხმყოფელი თითოეული ჩვენგანისთვის. მე ვფიქრობ, რომ ეს გაკეთებულია სპეციალურად იმისთვის, რომ მოხდეს ეროვნული ღირებულებების საბოლოო დევალვაცია. რა თქმა უნდა, ნაციონალურ მოძრაობას აქვს თავისი გათვლა ამასთან დაკავშირებით, მათ სურთ, რომ ერთგვარი პიარული ხერხით მოიზიდონ კვლავ ადამიანები, იმიტომ, რომ ყველამ კარგად იცის, რომ სწორედ ეროვნული საკითხი, ეროვნული იდეოლოგია არის ყველაზე მიმზიდველი იდეოლოგია საქართველოში, საბედნიეროდ. მე ძალიან მიკვირს, როგორ შეიძლება ასეთ ტრადიციასთან მებრძოლი ხალხი, ადამიანები, რომლებიც ყოველგვარს ქართულს, ეროვნულს ებრძვიან, იმდენი სითავხედე ყოფნით ამ ადამიანებს, რომ საუბრობენ ეროვნულ მოძრაობაზე. მე ვფიქრობ, რომ ეს არის შეურაცხმყოფელი თითოეული ჩვენგანისთვის. ეს არის შეურაცხყოფა ილია ჭავჭავაძისა, ეს არის შეურაცხყოფა ზვიადისა და მერაბის ნათელი ხსოვნისა და მე ვფიქრობ, რომ ამასთან დაკავშირებით ნაციონალურმა მოძრაობამ პასუხი უნდა აგოს. ჩვენი შეცდომა, ჩვენდა სამწუხაროდ, ის არის, რომ მერაბიშვილი არა ეროვნულ მოძრაობაზე უნდა გველაპარაკებოდეს, არამედ ის საბრალდებო სკამზე უნდა იჯდეს და პასუხებს უნდა სცემდეს იმ კითხვებს, რომელი კითხვებიც მისი დანაშაულებრივი ქმედებებიდან გამომდინარე დაგროვდა. ჩვენი შეცდომა, რომელიც დანაშაულში გადადის, არის ის, რომ დღეს ჩვენ ვაკვირდებით ისეთ მოვლენებს, რომელი მოვლენებიც შემდგომში შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს ქართული სახელმწიფოებრიობისთვის.

– რას გულისხმობთ, ბატონო სანდრო?

– თუკი დამნაშავემ არ აგო პასუხი თავის დანაშაულზე, ჩვენ ყოველთვის ვიქნებით ასეთი მოვლენების მომსწრეები. დღეს ჩვენ ვართ საკმაოდ სახიფათო მოვლენის მომსწრეები. ეს ყველაფერი არის აბსოლუტურად იმ ხელოვნური კოჰაბიტაციის ბრალი, რომელი ხელოვნური კოჰაბიტაციაც ზოგიერთმა უცხოელმა ჩვენმა მეგობარმა, ზოგიერთმა შინაურმა ჩვენმა მეგობარმა მოგვახვია თავზე. ერთი რამ მიკვირს, ხშირად გამიმეორებია და კიდევ ერთხელ მინდა გავიმეორო, ხშირად დამისვია ეს კითხვა ჩვენი უცხოელი მეგობრებისთვის და ახლაც ვეკითხები, რატომ ვერ მოახერხეს მათ კოჰაბიტაცია კადაფის რეჟიმთან?! რატომ ვერ მოახერხეს კოჰაბიტაცია სადამ ჰუსეინის რეჟიმთან? თავის დროზე რატომ ვერ მოხდა კოჰაბიტაცია ჰიტლერის ფაშისტურ რეჟიმთან და ასე შემდეგ. ვერ მოხდა იმიტომ, რომ ეს იყო დამნაშავე რეჟიმები. მე პირდაპირ გეუბნებით, ნაციონალური მოძრაობას მეტი თუ არა, არანაკლები დანაშაული მიუძღვის ქართველი ერის წინაშე, ვიდრე კადაფის რეჟიმს თავისი ხალხის წინაშე, ან ჰიტლერს თავისი ხალხის წინაშე. როდესაც ხელოვნურ კოჰაბიტაციაზე და კიდევ ვიღაც-ვიღაცები ნაციონალური მოძრაობის გადარჩენაზე საუბრობენ, უკვე სახელმწიფო მბრძანებლის პოზიციიდან, ეს მე ვფიქრობ, არის საკმაოდ ცუდი შედეგის მომტანი მოვლენა, რომელიც აუცილებლად უახლოეს ხანებში შედეგებს გამოიღებს.

– ვხედავთ, როგორ გათამამდნენ ნაციონალური მოძრაობის ლიდერები და როგორ განცხადებებს აკეთებენ მიტინგებიდან. თქვენ ბრძანეთ, რომ განსასჯელის სკამზე უნდა ისხდნენო და რა ხდება, რატომ იწელება ეს პროცესი? სწორედ ეს ხომ არ არის მი ზე ზი იმისა, რომ ისინი ასე თამამად საუბრობენ? ცდილობენ ჩამოირეცხონ ძველი ცოდვები და ახალი სახით მოგვევლინონ... აქვთ ამის უფლება?

– ყველაზე ცუდი არის ის, რომ ნაციონალურ მოძრაობას ჰყავს ხელის შემწყობები და ესენი, ჩემდა სამწუხაროდ, არიან ადამიანთა გარკვეული ჯგუფები, რომლებიც პირველი ოქტომბრის შემდგომ სხვადასხვა დოზით მოვიდნენ ხელისუფლებაში. არიან ხელისშემწყობები იმისა, რომ ნაციონალური მოძრაობა გადარჩეს და მათ აქვთ შემდეგი არგუმენტაცია, რომ სჯობს ნაციონალური მოძრაობა იყოს დღეს ოპოზიცია, რადგან ნაციონალური მოძრაობა არის დისკრედიტებული, მას არა აქვს არანაირი რესურსი, ვიდრე გამოჩნდეს სხვა ოპოზიციური ძალა, რომელი ოპოზიციური ძალაც პრობლემებს შეუქმნის მათ. თუმცა, მე ერთი რამ მინდა მოგახსენოთ, სწორედაც რომ სუფთა ოპოზიცია ჯობია ქართული სახელმწიფოებრიობისთვის, ვიდრე დამნაშავე კონგლომერანტი, რომელი დამნაშავე კონგლომერანტიც ნაციონალური მოძრაობის სახით არის თავმოყრილი. მე პირდაპირ ვაცხადებ, დღეს ბრძოლა ხელისუფლებისთვის კი არ მიმდინარეობს, არამედ ბრძოლა მიმდინარეობს იმისთვის, ოპოზიციურ ფლანგზე თუ ვინ დაიკავებს რეალურად ოპოზიციის როლს და ბევრი ადამიანი, ჩემდა სამწუხაროდ, დაკავებულია იმით, რომ როგორმე ნაციონალურ მოძრაობას დაკავებინოს ეს ფლანგი და ნაციონალური მოძრაობა გახადოს ერთადერთ ოპოზიციად, რაც, ჩემი ღრმა რწმენით, ისეთივე დანაშაულის ხელშეწყობაა, როგორ დანაშაულში ხელშეწყობაც იყო ნაციონალების ხელისუფლებაში მოყვანა. არ შეიძლება, რომ ნაციონალური მოძრაობა იყოს ოპოზიციაში. მე იმას კი არ ვითხოვ, რომ ვიღაცები პარლამენტიდან ძალით გამოყარონ. მე არაერთხელ განმიცხადებია, რომ რეჟიმი და სისტემა უნდა გასამართლდეს, ეს 19 აპრილმაც ნათლად დაგვანახვა. რეჟიმი უნდა გასამართლდეს და მეორე, აუცილებლად უნდა დაინიშნოს ახალი საპარლამენტო არჩევნები, რომელი საპარლამენტო არჩევნებიც ნაციონალურ მოძრაობას ერთხელ და სამუდამოდ თავის ადგილს მიუჩენს ქართულ პოლიტიკურ სივრცეში. ჩემი ღრმა რწმენით ეს ადგილი იქნება პარლამენტს გარეთ დატოვება და დაახლოებით 2-3%-ის აღება არჩევნებში. როდესაც ნაციონალურ მოძრაობას 1%-იანი მხარდაჭერაც არა აქვს და ამ დროს ხელოვნურად ცდილობ გარკვეული პოლიტიკური ძალა, რომელსაც არანაირი რეიტინგი არ გაგაჩნია და ბიძინა ივანიშვილის სახელით ხარ ხელისუფლებაში გარკვეული დოზით წარმოდგენილი და ამ დროს შენ ცდილობ ნაციონალური მოძრაობა აქციო ოპოზიციურ ძალად და ნაციონალურ მოძრაობას არსებობა გაუხანგრძლივო, ეს არ არის მაინცდამაინც სანაქებო საქციელი. ეს არც სტრატეგიულად გათვლილი ნაბიჯია. ნაციონალური მოძრაობა ყოველთვის იფიქრებს რევანშზე, ამ რევანშის საშუალებას ისინი გამოიყენებენ ნებისმიერ მომენტში და ამის განსახორციელებლად ყველაფერს გააკეთებენ. ჩვენს ქვეყანაში სანამ არის იმის საფრთხე, რომ აქ რაღაც გადატრიალება ან მსგავსი საზიზღრობა მოხდეს, რა თქმა უნდა, ქვეყნის წინსვლა გარკვეულწილად შეფერხებული იქნება. ახლა ამას თუ ვინმე ვერ ხვდება, მაშინ საერთოდ რა უნდა ასეთ ხალხს პოლიტიკაში!

– ბატონო სანდრო, თქვენ ბრძანეთ, რომ გარკვეული ძალები ცდილობენ, რომ ნაციონალებმა დაიკაონ ოპოზიციის ადგილიო. ალბათ, რესპუბლიკური პარტია გყავდათ მხედველობაში. პარლამენტის თავმჯდომარემაც გააკეთა მსგავსი განცხადება, რომ ნაციონალური მოძრაობის გადარჩენა მათი ვალი ყოფილა...

– მეც ზუსტად ამაზე მაქვს საუბარი და ბატონ დავითს ამაში ვერ დავეთანხმები. მიუხედავად ჩემი მისადმი პიროვნული პატივისცემისა, მე ვფიქრობ, რომ ხელოვნურად ნაციონალური მოძრაობის გადარჩენა არ უნდა მოხდეს. ბუნებრივად თუ გადარჩება ნაციონალური მოძრაობა, კი ბატონო, გადარჩეს. ბუნებრივი გადარჩენა კი ის იქნება, რომ მათ ჰქონდეთ თუნდაც მცირეოდენი მხარდაჭერა საქართველოს მოსახლეობაში და ხელოვნურად ახლა ჩვენ ვიზრუნოთ ნაციონალური მოძრაობის გადარჩენაზე, მე არ ვიცი, ამას რა შეიძლება ვუწოდოთ. ხელოვნურად არც კოჰაბიტაცია შეიძლება და არც ნაციონალური მოძრაობის გადარჩენა არ შეიძლება. არც ერთი პარტიის გადარჩენა არ შეიძლება ხელოვნურად. ყველაფერს წყვეტს საქართველოს მოსახლეობა და ქართველი ერი. ახლა თუ ვიღაცა უცხოელი იქიდან დირექტივებს იძლევა, რომ ნაციონალური მოძრაობა უნდა გადარჩესო, სწორედ ასეთი უცხოელების რჩევებით მივედით ჩვენ იქამდე, რომ ჩვენ დავკარგეთ საბოლოოდ ცხინვალის რეგიონი, სწორედ მათი რჩევებით მივედით იქამდე, რომ ჩვენ ვხედავდით საშინელებებს ქართულ ციხეებში. მე ვფიქრობ, რომ ყველაფერი არის ქართველი ერის გადასაწყვეტი, არც ერთ სხვა ადამიანს არა აქვს იმისი უფლება, რომ ხელოვნურად გადაარჩინოს რომელიმე პოლიტიკური ძალა, ნაციონალური მოძრაობა იქნება ეს თუ ნებისმიერი სხვა ძალა. მე ვფიქრობ, რომ ეს არის თავიდანვე მცდარი მოსაზრება და მე ვფიქრობ, რომ ეს მოსაზრება კორექტირება საჭიროებს.

– ბატონო სანდრო, 19 აპრილი, ეს არის თუ არა იმის მცდელობა, რომ მოხდეს ნაციონალური მოძრაობის გადარჩენა? საუბარი იყო, რომ ამ დღეს დასამარდება ნაცმოძრაობაო მაგრამ როგორც ვნახეთ, ასე არ მოხდა... ცოტა სხვაგვარად გამოიყურებოდნენ.

– ამ აქციაზე გამოიკვეთა ერთი რამ, რომ მიხეილ სააკაშვილსა და ვანო მერაბიშვილს შორის სერიოზული დაპირისპირება არსებობს. 19 აპრილი უნდა ყოფილიყო ვანო მერაბიშვილის ბენეფისი და ვანო მერაბიშვილს და მაზმანიანს უნდა გამოეცხადებინათ ეროვნული მოძრაობის დაწყების შესახებ. ჩვენ ეს სასაცილოდ გვეჩვენება, მაგრამ ვიმეორებ, ეს შეურაცხმყოფელი რამ არის პირადად ჩემთვის და ნებისმიერი ქართველისთვის და მათ ამაზე პასუხისგება მოუწევთ. თუმცა, სააკაშვილის მოულოდნელმა გამოჩენამ ამ მიტინგზე ვანოს ეს გეგმა ჩაშალა. როგორც ჩანს, მიხეილ სააკაშვილი კვლავ ცხოვრობს იმ ილუზიებით, რომ მას აქვს რაიმე მხარდაჭერა საქართველოს მოსახლეობაში. ამ აქციამ აჩვენა, რომ ნაციონალური მოძრაობის შიგნით არის დაპირისპირება და მეორე მხრივ, ეს იყო არა რეანიმაციის მცდელობა, არამედ ეს იყო ერთი საკმაოდ ცუდი ფაქტი. ესენი არა – რენიმირებას, ესენი ცდილობენ, რომ ახალი მოძრაობის სახელით, კვლავ მოვიდნენ და დაბრუნდნენ ხელისუფლებაში და ამისთვის იყენებენ ყველაზე მზაკვრულ მეთოდს. რაც არ არის, იმას იბრალებენ, რათა მოსახლეობა შეიყვანონ შეცდომაში და ამით კვლავ მოახერხონ ხელისუფლებაში დაბრუნება. ამისთვის კი ისინი ეროვნული მოძრაობის სახელს იყენებენ. მე ვფიქრობ, რომ სიტუაციიდან გამომდინარე აუცილებელია ბევრად უფრო ქმედითი ნაბიჯების გადადგმა. 26 მაისის მერე ვინ იფიქრებდა, რომ ხელისუფლება შეიცვლებოდა და ვანო მერაბიშვილს, რომელმაც სისხლის გუბეები დააყენა რუსთაველის გამზირზე, მიეცემოდა იმის საშუალება, რომ მიტინგზე გამოვიდოდა და ეროვნული მოძრაობის სახელით ისაუბრებდა. ალბათ, ყველანი ვიყავით დარწმუნებული იმაში, რომ 7 ნოემბრის შემდგომ, 26 მაისის შემდგომ, რომ თუკი ხელისუფლება შეიცვლებოდა და თუკი ნაციონალური მოძრაობა დამარცხდებოდა, ვანო მერაბიშვილი რუსთაველის გამზირიდან და ტრიბუნიდან კი არ მიმართავდა საქართველოს მოსახლეობას, ასევე მიხეილ სააკაშვილი, არამედ ისინი სასამართლო დარბაზიდან დაელაპარაკებოდნენ ქართველ ხალხს. ჩემდა სამწუხაროდ, ასე მოხდა, მაგრამ ეს არ არის გამოუსწორებელი შეცდომა, გამოსწორებადი მოვლენაა და შესაძლებელია, რომ ეს მოვლენა გამოსწორდეს. ამისათვის საჭიროა ბევრად უფრო ხისტი პოლიტიკის გატარება იმ დამნაშავეების მიმართ, რომლებმაც საქართველოს წინაშე უდიდესი დანაშაული ჩაიდინეს. თქვენ წარმოიდგინეთ, ილია ჭავჭავაძის მკვლელებს რომ ესაუბრათ თავის დროზე ეროვნულ მოძრაობის აღდგენაზე და ილიას გზის გაგრძელებაზე. დღესაც ზუსტად იგივე ბოროტებასთან გვაქვს ჩვენ საქმე, თანამედროვე ფილიპე მახარაძეები და სერგო ორჯონიკიძეები არიან ეს ადამიანები. ეს არის სირცხვილი და შეურაცხყოფა ქართველი ერისა. ჩვენ არავის არ უნდა მივცეთ იმის საშუალება, რომ დამნაშავე ძალას ხელოვნურად გაუხანგრძლივოს არსებობა.

19 აპრილის აქცია სექსის ტოლფასი იყო

როლანდ ხოჯანაშვილი
„ახალი თაობის“ იმერეთის ბიურო

მკითხველი ამ მყვირალა სათაურს სასაფლაოს შინაარსით ნუ გაიგებს. ბერძნული წარმოშობის ეს სიტყვა ითარგმნება, როგორც „ყველა ღმერთი“. როცა 19 აპრილის აქციის ანალიზს ვიწყებთ, სწორედ რუსთაველის პროსპექტზე აღმართული სცენა იყო პანთეონი ნაციონალებისა. ყველა ადამიანი, ვინც იმ დღეს მიკროფონთან იდგა, განღმრთობილი ჰყავს მათ ამომრჩეველს: პრეზიდენტი, ყოფილი პრემიერი, პარლამენტარები. აურჩეველი ტრიბუნები სამომავლოდ ელოდებიან განღმრთობას (სავარაუდოდ და სამაგალითოდ — მაზმანიანი).

ქოცებიო, – გაისმოდა კონტექსტურად რუსთაველზე, – მტრები და მტრისანი არიან! საერთოდ, მტერში, რასაკვირველია, რუსეთს გულისხმობდნენ, მაგრამ თამამად ვეკითხები ოპონენტებს: როდის იყო იმპერიალისტური სახელმწიფო მოყვარე?! მიუხედავად იმისა, რომ ბიძინას რუსეთუმეობა არავის სჯერა, მით უფრო მისი ხელისუფლების შემადგენელი ნაწილების: რესპუბლიკელებისა და ალასანიას გუნდისა, მაგრამ რა ქნან ,,ნაციონალური მოძრაობის“ იდეოლოგებმა, იმას ხომ ვერ იტყვიან, დასავლური კურსი აქვს ივანიშვილის ხელისუფლებას და ჩვენ, ჩვენდა უნებლიედ, გამოვდივართ დასავლური კურსის ხელისუფლების მოწინააღმდეგეებიო. ქართველები ნელ-ნელა შევეჩვიეთ ფილოსოფიური აზრების მოსმენასა და დამახსოვრებას. პოლიტიკოსების უმეტესობა ხალხურობით გამორჩეულ მეტყველებას იყენებს, მაგრამ ვიცეპრემიერი მარგველაშვილი მნიშვნელოვანი პრეცედენტია: თავიდან მის ნათქვამს პერიფრაზირება სჭირდებოდა, ახლა ყველას შესანიშნავად(ან თითქმის შესანიშნავად) გვესმის ფილოსოფოსი მინისტრის ნათქვამი. მოაზროვნე მერაბ მამარდაშვილის ციტატა უნდა მოვიხმო, რომელიც ზუსტად გადმოგვცემს ,,ნაციონალური მოძრაობის“ ბოლოდროინდელ რიტორიკას, რომელიც ,,ოცნებისაგან“ მტრის ხატის შექმნას ემსახურება: „მტრის ხატი – ესაა დამანგრეველი ფსიქიკური ძალა, იმიტომ რომ მტერი კი არ იწვევს ეჭვს, ეჭვი შობს მტერს. ეჭვი ჯერ უსაგნოდ არსებობს. ეჭვი ჩემი უძლურებაა – მე მეშინია ყველაფრის, როცა უძლური ვარ. მტერი არის განსხეულება იმისა, რაც ჩემშივეა ფესვგადგმული, როგორც უძლურება“.

მტრის ხატის შექმნა ადვილი არაა ბიძინასაგან (ამჯერად ბიძინა კოალიციის სახეა), მაგრამ მერაბიშვილმა განაცხადა, რომ ტრანსფორმირებული თუ რებრენდინგებული ,,ნაციონალური მოძრაობა“ ყველგან და ყოველთვის ეცდება პოლიტიკურ რესტავრაციას. საამისოდ უკვე დაიწყეს ყველა საარჩევნო უბანზე იმ ადამიანების მოძიება, რომლებიც ,,ქართულმა ოცნებამ“ ოცნება ვერ აუხდინა–ანუ ადმინისტრაციულ თანამდებობებზე ვერ ან არ დანიშნა. თითქმის ყველა მოძალადე და კანონდამრღვევი ,,ნაციონალი“ ინარჩუნებს თანამდებობას, ან სულაც პრეზიდენტმა გადანიშნა უკეთეს პოსტებზე, მათ შორის საგუბერნატორო თბილს სავარძლებში. იმედ და ოცნებაგაცრუებულები, ბიძინას აქციებზე ძირითადად ,,ჯოოს“, ,,ჯოს“ ძახილით ან დროშის ტარის დაჭერით რომ იყვნენ დაკავებულნი, უკვე ღიად გამოხატავენ სინანულს ,,რა მინდოდა აქციებზე“ და ,,ვყოფილიყავი ნაციონალების აქტივისტი, 240 ლარს მაინც ავიღებდი“-ს წამოძახებებით. კოჰაბიტაციური ხელისუფლება კი ამ დროს ნაკლებად ფიქრობს იმაზე, თუ რა შეიძლება გამოიწვიოს გულგატეხილი ადამიანების რაზმების შექმნამ. თვალნათლივ აჩვენა 19 აპრილის აქციამ, რომ ნაცმოძრაობა არ მომკვდარა და ჯერ კიდევ საკმაო ადამიანური რესურსი აქვს პარტაქტივის სახით. მოკლედ, ჯერ პოლიტიკური პანაშვიდების და სამძიმრების გამოცხადება ადრეა. არავის დაავიწყდეს, რომ ნაცმოძრაობის მმართველი ბირთვი რჩება იგივე და ლაპარაკი განახლებაზე არის მხოლოდ რიტორიკა. ეს ბირთვი კიდევ შევარდნაძის დროიდან მშვენივრად ვარირებს და სკამიდან სკამზე გადადიოდა 10 წელი მაინც(თან კარიერულად პროგრესულად), თუ მეტი არა. თავს ნურავინ ინუგეშებს იმით, რომ ახალაიები გაირიყნენ (არადა ახალაიებმა შექმნეს სამეგრელოში უზარმაზარი ,,ნაცმოძრაული“ მორჩილი მასები) და ამით კიდევ ერთხელ დასრულდა 9 წლიანი ვარდოსნული ხელისუფლება. ახალაიები პარტიის ელიტარულ ნაწილად არც არასდროს მოიაზრებოდნენ. ისინი ძირითადად შემსრულებლები იყვნენ და არა იდეოლოგები. იდეოლოგი ბევრად უფრო საშიშია, ვიდრე შემსრულებლები, რადგან იდეოლოგია თავისთავად გამოძებნის შემსრულებელს. ხოლო შემსრულებელი ვერასდრის შექმნის იდეოლოგიას. ჩემი აზრით, მიხეილ სააკაშვილი როლანდ ახალაიას ოჯახს უფრო სხვა ელიტარების გავლენათა დასაბალანსებლად იყენებდა.

რამდენად გამოუვა 19 აპრილის აქციის ორგანიზატორებს ჩანაფიქრი, ამაზე ბევრი დაფიქრება არ ღირს. ამ დღეს აქცია აქციისთვის მოაწყვეს და განწირული ხმით (განსაკუთრებით, გიგი უგულავას ეტყობოდა) ამტკიცებდნენ, რომ სხვა ხსნა, სხვა გზა არ არსებობს გარდა ახლად შეფუთული ,,ნაციონალური მოძრაობისა“. რატომ ავიწყდება ნაციონალებს, რომ საქართველოში ერთადერთი დასავლური პარტია ნამდვილად არ არის ,,ნაცმო?“ ბუნებრივია, არ ავიწყდებათ, მაგრამ მტრის ხატის ხატვას ყალბი საღებავებიც ხომ სჭირდება?!

ყველამ ვიცოდით, რომ 19 აპრილის სულისჩამდგმელი იყო მერაბიშვილი, მაგრამ აქციამ დაამტკიცა, რომ მთავარი და გაუხუბარი სახე ნაცმოძრაობაში არის მაინც მიშა და მისი რეალური შემცვლელი არ ჩანს, რადგან მის შეცვლას კიდეც მოჰყვება ,,ნაცმოს“ გაქრობა ისე, როგორც თან ნაჰყვა პოლიტიკურ მოუსავლეთში ასლანს ,,აღორძინება“ და და ედუარდს ,,მოქკავშირი.“

ერთი პარტიული მუშაკი სიამოვნებით სავსე ხმით ამბობდა: ,,ეს აქცია ნამდვილად პროგრესი იყო ქართული პოლიტიკისთვის. არ ისმოდა აგრესია, იყო საკუთარი სურვილით და არა ანგარებით ან სიძულვილით მოსული ადამიანები, სუფთად საზოგადოება, რომელსაც არ ასდიოდა ოფლის და ნაფტალინის სუნი. ჩვენ, არჩევნებ წაგებულებიც კი ღირსეულად ვიქცევით, ჩვენი სამშობლოს სიყვარული გვაერთიანებს და არა დაპირებები. ეს ოპოზიცია არ არის ჯაჭვმოხვეული, სახეზე ნიღაბაფარებული, ჯოხებმომარჯვებული, გულზე მჯიღის მცემელი და გაბოროტებული ბრბო. გუშინ თავისუფლების მოედანზე იდგა სამოქალაქო შეგნების მქონე ერი. ასეთები მიყვარხართ!“

ამ პარტმუშაკს ნამდვილად ექნებოდა ინფორმაცია იმაზე, თუ რა ამბავი იყო წინასააქციო სამზადისისთვის. დავთრები სატელეფონო ნომრებით და გადარეკვებით, დაამატეთ კიდევ დამუნათება იმ ადამიანებისა, ცხვარ-ღვინო რომ მიირთვეს 1 ოქტომბრამდე გამართულ ,,ნაციონალურ“ ღრეობებსა თუ პიკანტურ შეკრებებზე. საშიში არაფერია, არავინ არ ,,მოგიდუბინკებთ“ გვერდებს, ეგ მარტო ჩვენ გვეხელიწიფებოდაო, –ალბათ ამას ეუბნებოდნენ მოჭოჭმანე ადამიანებს, რომელთა მობილიზება იმ დროიდან დაიწყეს, როგორც კი ანონსი გამოაცხადეს ,,ნაციონალურმა მამებმა.“

,,ქართული ოცნების“ და ახალი ხელისუფლების კოჰაბიტაციურმა ბუნებამაც არ დააყოვნა და ნასიამოვნები დარჩნენ იმით, რომ ყველაფერი დამთავრდა იმით, რითაც დამთავრდა. 40%-იანი ხმების მფლობელმა ,,ნაცმოძრაობამ“ ვერ წარადგინა იმდენი ადამიანი აქციაზე, რამდენიც, წესით, უნდა გამოცხადებულიყო, მაგრამ რამდენიც იხილა თუალმა სათავისოდ მომზირალმან, ეგეც სასიამოვნო გაოცებას აღბეჭდავდა ყოფილ მძლავრთა სახეზე. არავინ დაბეგვილა, არავინ დასისხლულა და მით უმეტეს, ჯიხურების თავზე არ უხილავთ მიცვლილნი. წინა ხელისუფლებისაგან განსხვავებით ეს ხელისუფლება ბევრად უფრო დემოკრატიულია ჩვენსა და მსოფლიოს თვალში–ეს ერთი პლუსი ახალ ხელისუფლებას. ძველი ხელისუფლებისათვისაც სასიამოვნო იყო 19 აპრილი, იმედგაცრუების ნაცვლად იმედის ნაპირწკლები გამოჩნდა. მათთვისაც ყველაზე გვიან კვდება იმედი. სიღრმისეული ანალიზი არ სჭირდება იმას, რომ ზოგს ერთბაშად სიკვდილი ურჩევნია, ზოგს კი – ნელ-ნელა, პანაცია იქნებ მომწვდესო...

დასკვნისათვის ერთი ენამწარის ნათქვამი უნდა გამოვიყენო: ეს აქცია სექსის ტოლფასი იყო, ორივე მხარე მხარე მხოლოდ სექსის მერე რჩება კმაყოფილიო.

რაულ ქირიამ სასჯელაღსრულების დაწესებულება 15 ათას ლარიანი გირაოს სანაცვლოდ დატოვა

აფხაზეთის ავტონომური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მრჩეველი რაულ ქირია პატიმრობიდან 15– ათასლარიანი გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლეს.

როგორც „მედიანიუსს“ ქირიას ადვოკატმა შოთა მანელიძემ განუცხადა, მთავარი პროკურატურა წინასასამართლო სხდომის გამართვამდე ბრალდებულის პატიმრობას ითხოვდა, თუმცა მოსამართლემ ყველა არგუმენტი გაითვალისწინა და 15-ათასლარიანი გირაოს გადახდა დააკისრა.

დაცვის მხარემ გირაოს თანხა გუშინვე გადაიხადა და რაულ ქირიამ სასჯელაღსრულების დაწესებულება დატოვა.

მანელიძის ინფორმაციით, ქირიას საქმეზე სასამართლო პროცესი 7 ივნისს გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მრჩეველი რაულ ქირია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლებმა ქრთამის აღების ფაქტზე მიმდინარე წლის 18 აპრილს დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ რაულ ქირიამ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის დეპარტამენტში დასაქმების სანაცვლოდ, ერთ-ერთ მოქალაქეს ქრთამის სახით 3 000 აშშ დოლარი გამოართვა.

მედიანიუსი

დღეს „სამართლიანი არჩევნები“ ანგარიშის პრეზენტაციას გამართავს

დღეს „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“ გამართავს წარდგინებას მესამე ანგარიშისა, სახელწოდებით– „არჩევნების შემდგომ განვითარებული მოვლენების მონიტორინგი – პოლიტიკური პროცესები, საკადრო ცვლილებები, საპროტესტო აქციები, სამართლებრივი დევნის ფაქტები ადგილობრივ თვითმმართველობებში“.

ანგარიშის პრეზენტაციის შემდგომ ხელისუფლებისა და ოპოზიციის, ასევე, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენელთა მონაწილეობით გაიმართება დისკუსია თვითმმართველობაში შექმნილი სიტუაციის აღკვეთის გზებსა და უფლებადარღვეული მოქალაქეების ინტერესების დაკმაყოფილების კუთხით გასატარებელ კონკრეტულ ღონისძიებებზე.

მედიანიუსი

ქართველი სამხედროები ავღანეთიდან დაბრუნდნენ

ქართველი სამშვიდობოების კიდევ ერთი ნაკადი სამშობლოში დაბრუნდა. III ქვეითი ბრიგადის 32-ე ბატალიონის სამხედროები ავღანეთში 6 თვის განმავლობაში აისაფის მისიის ფარგლებში წარმატებით ასრულებდნენ დაკისრებულ მოვალეობას. დღეს ისინი უკვე ოჯახებს დაუბრუნდნენ, – აცნობეს „მედიანიუსს“ თავდაცვის სამინისტროდან.

სამშვიდობოებს აეროპორტში საქართველოს შეიარაღებული ძალების გაერთიანებული შტაბის ხელმძღვანელი პირები და III ქვეითი ბრიგადის მეთაური ვიცე-პოლკოვნიკი მალხაზ მერლანი დახვდნენ.

სამინისტროს ცნობით, ავღანეთის საერთაშორისო მისიიდან დაბრუნებული უმცროსი სერჟანტი ალექსანდრე თეთვაძე ოჯახში მოულოდნელად მივიდა. სამშობლოში დაბრუნების სიხარულთან ერთად, ქართველ სამხედროს ოჯახში ახალი წევრი დახვდა. პატარა ნინი მამის ავღანეთში ყოფნისას დაიბადა და დღეს პირველად შეხვდა მას. უმცროს სერჟანტ ალექსანდრე თეთვაძის მსგავსად, ოჯახის წევრებს სიურპრიზი გაუკეთა ასევე, რიგითმა ხვიჩა ქოქოშვილმა.

ბატალიონის სამშობლოში დაბრუნება ეტაპობრივად მოხდება. 23 აპრილამდე ბატალიონი სრულად დაბრუნდება სამშობლოში. ისინი ავღანეთში როტაციის წესით IV ქვეითი ბრიგადის 42-ე ბატალიონმა ჩაანაცვლა.

მედიანიუსი

დღეს ევროპის იმუნიზაციის კვირეული იწყება

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი დღეს აწყობს ევროპის იმუნიზაციის კვირეულისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციას ლოზუნგით: აცერი და დაიცავი.

იმუნიზაციის კვირეულის მიზანია რეგიონში ვაქცინაციით მაჩვენებლის გაუმჯობესება და იმუნიზაციის მნიშვნელობის შესახებ მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდა.

საქართველოში აცრები შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცებული პროფილაქტიკური აცრების კალენდრის შესაბამისად ტარდება. ბავშვთა პროფილაქტიკური აცრების კალენდრის მიხედვით სახელმწიფო უზრუნველყოფს 11 დაავადების: ტუბერკულოზის, დიფთერიის, ყივანახველის, ტეტანუსის, პოლიომიელიტის, წითელას, წითურის, ყბაყურის, ბ ჰეპატიტის, ბ ტიპის ჰემოფილუს ინფლუენცასა და როტა ვირუსული ინფექციის საწინააღმდეგო უფასო ვაქცინაციას.

იმუნიზაციის კვირეული ფოკუსირებულია დაავადებებზე, რომელთა თავიდან აცილება ვაქცინაციით არის შესაძლებელი.

კვირეულის განმავლობაში კიდევ ერთხელ მოხდება იმუნიზაციის აქტუალობის შეხსენება და ინფორმაციის მიწოდება მოსახლეობის, მედიის, ჯანდაცვის სისტემის სპეციალისტების, პოლიტიკოსების და სხვადასხვა დაინტერესებული მხარეებისათვის.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოწყვლად და დაუცველ ჯგუფებზე გამიზნულ ღონისძიებებს.

მთავარი საინფორმაციო გზავნილი მდგომარეობს იმაში, რომ დაავადებების თავიდან აცილების და სიცოცხლის გადარჩენის მიზნით თითოეული ბავშვის აცრას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს.

ოფიციალური ინფორმაციით, ამ დროისთვის ქვეყანაში 1711 წითელას შემთხვევაა დაფიქსირებული.

მედიანიუსი

ჩვილების ზიარება ამიერიდან წმინდა ანდრია პირველწოდებულის ტაძარში მოხდება

ამიერიდან ჩვილების ზიარება სამების საპატრიარქო ტაძრის ნაცვლად, წმინდა ანდრია პირველწოდებულის ტაძარში მოხდება.

ამის შესახებ გუშინდელ წირვაზე მარტყოფისა და გარდაბნის ეპისკოპოსმა, პატრიარქის ქორეპისკოპოსმა მეუფე იაკობმა ბრძანა.

მან მოუწოდა მშობლებს, რომ ამიერიდან ბავშვები ზიარების მისაღებად წმინდა ანდრია პირველწოდებულის ტაძარში მიიყვანონ.

მედიანიუსი

ლაზარეს შაბათსა და ბზობას თევზით ხსნილი იქნება

მარხვაზე მყოფთათვის ლაზარეს შაბათსა და ბზობას თევზით ხსნილი იქნება. – ამის შესახებ გუშინდელ საკვირაო ქადაგებაზე სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსმა, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ ბრძანა.

მან მრევლს დამდეგი დღესასწაულები წინასწარ მიულოცა.

,,ლაზარეს შაბათს, ბზობას და აღდგომას წინასწარ გილოცავთ. ლაზარეს შაბათს და ბზობას თევზით ხსნილი იქნება“, – ბრძანა უწმინდესმა.

შეგახსენებთ, ლაზარეს შაბათი და ბზობა მოძრავი დღესასწაულებია და მას მართლმადიდებლური ეკლესია აღდგომამდე ერთი კვირით ადრე ზეიმობს.

მედიანიუსი

დღეს თბილისში უნალექო ამინდი იქნება

დღეს სინოპტიკოსები საქართველოს უმეტეს რეგიონში კვლავ წვიმას ვარაუდობენ, თუმცა დედაქალაქში დღე უნალექოდ ჩაივლის.

როგორც გარემოს ეროვნულ სააგენტოში აცხადებენ, დასავლეთ საქართველოს უმეტეს რეგიონში ხვალ ხანმოკლე წვიმაა მოსალოდნელი ელჭექით. დაუბერავს დასავლეთის ქარი 10-15 მეტრი წამში. დაბლობში ჰაერი 9-14 გრადუსამდე გათბება, მთაში 6-11, ხოლო მაღალ მთაში 3-8 გრადუსამდე.

სინოპტიკოსები ხანმოკლე წვიმას და ელჭექს აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რეგიონშიც ვარაუდობენ, ზოგან შესაძლებელია სეტყვაც. აქაც იქროლებს დასავლეთის ქარი 10-15, ზოგან კი უფრო ძლიერი 17-22 მეტრი წამში. ბარში ჰაერის ტემპერატურა 13-18 გრადუსს მიაღწევს, მთაში 9-14, ხოლო მაღალ მთაში 5-10 გრადუსს.

დღეს თბილისში სინოპტიკოსები უნალექო ამინდს გვპირდებიან, თუმცა დროგამოშვებით მოიღრუბლება. იქროლებს ჩრდილო-დასავლეთის ქარი 10-15 მეტრი წამში, რომელიც დროგამოშვებით 17-22 მეტრ/წამამდე გაძლიერდება. ჰაერი კი 16 გრადუსამდე გათბება.

მედიანიუსი

ევროსაბჭოში რუსეთი საქართველოს საგარეო პოლიტიკის ცვლილებით დაინტერესდება

ევროსაბჭოში რუსეთის დელეგაცია საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის სიტყვით გამოსვლისას რუსეთთან მიმართებაში საქართველოს ხელისუფლების საგარეო პოლიტიკის ცვლილების საკითხს დასვამს. ამის შესახებ ჟურნალისტებს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს საერთაშორისო საქმეების კომიტეტის თავმჯდომარემ, ალექსეი ლუშკოვმა განუცხადა.

,,ჩვენ ვაპირებთ, ივანიშვილს დავუსვათ კითხვები, თუ რამდენად აპირებს ის რუსეთთან მიმართებაში საქართველოს საგარეო პოლიტიკის შეცვლას, რადგან საქართველოს ხელისუფლების ყველა ოფიციალური განცხადება იმ საგარეო პოლიტიკის ჩარჩოშია მოქცეული, რომელსაც სააკაშვილი ატარებდა,“– აცხადებს ლუშკოვი. მისი თქმით, რუსეთს სურს გაგება, როგორი იქნება ცვლილებები, რომელიც მათ იმის ფიქრის საფუძველს მისცემს, რომ საქართველოსთან ურთიერთობის გაუმჯობესების შესაძლებლობა არსებობს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ევროსაბჭოს საბარლამენტო ასამბლეის წინაშე სიტყვით 23 აპრილს წარდგება.

მედიანიუსი

ლია სტურუა: „როგორ მინდა, ელგუჯა ხედავდეს!“

„მაგთიკომის“ ქართული საქმეები ელგუჯა ამაშუკელის ალბომით გაგრძელდა

კომპანია „მაგთიკომი“ კვლავ სლოგანის „ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ“ ერთგული რჩება. რაც მთავარია, უკვე მერამდენედ ვრწმუნდებით, რომ ეს სიტყვები არაა მხოლოდ დაპირება, საიმიჯო კეკლუცობა თუ საპიარო ცარიელი ლოზუნგი. საქმე ნამდვილად კეთდება და კეთდება ნამდვილი ქართული საქმე, რომელსაც ეროვნული საგანძურის აწმყოში თავმოყრა და მომავლისთვის გადაცემა ჰქვია. როგორც ცნობილია, „ხელნაწერები (წიგნები, ალბომები) არ იწვიან“ და „მაგთი“ შესაძლებლობას აძლევს საზოგადოებას, მათი მეშვეობით საკუთარი საგანძურები, ბიბლიოთეკები, კოლექციები შეავსოს.

საუბარია კომპანიის საქმიანობის ერთერთ „გარე“ ხაზზე, რომელიც თანამედროვე ქართველი მხატვრების შემოქმედების ალბომების მომზადებასა და გამოცემას გულისხმობს და რომელიც რამდენიმე წელია, აქტიურად და მთელი დატვირთვით მოქმედებს.

კიდევ ერთი ასეთი განხორციელებული ქართული საქმის მომსწრე შეიქნა „მაგთი კლუბში“ (სადაც უმთავრესად აღინიშნება ხოლმე ყოველი ახალი ალბომისა თუ წიგნის გამოსვლა) მიწვეული საზოგადოება, რომელიც „მაგთიკომმა“ მე-11 ალბომის წარდგინებაზე მიიწვიეს.

მაღალპოლიგრაფიულ (როგორც ყოველთვის) დონეზე გამოცემული (გამომცემლობა „სეზანი“) ორენოვანი (ქართულ და ინგლისურ ენებზე) ალბომი დიდი ქართველი მოქანდაკის ელგუჯა ამაშუკელის შემოქმედებას ეძღვნება და მასში შესულია, როგორც მონუმენტური (განხორციელებული) ძეგლები, ასევე მცირე პლასტიკის ნიმუშების, პორტრეტების, კომპოზიციების, ფერწერული ქმნილებების ამსახველი მასალა, ფოტოები საოჯახო ალბომიდან და მუშაობის პროცესის აღბეჭდილი კადრები.

ტექსტების ავტორები არიან – ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი დავით ანდრიაძე, ახალგაზრდა ხელოვნებათმცოდნე თამარ-თამთა შავგულიძე და ხუროთმოძღვარი, ელგუჯა ამაშუკელის მრავალგზის თანაავტორი ვახტანგ დავითაია. წიგნის რედაქტორია ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ნანა შერვაშიძე, ფოტოგრაფი – გია ჩხატარაშვილი, დიზაინერები – ქეთევან ალიხანაშვილი, პაატა ედილაშვილი და ზურაბ მიმინოშვილი, ტექსტის ინგლისურად მთარგმნელები – ციცო ხოცუაშვილი და ნინო ტორაძე.



როგორც ყოველთვის, „მაგთიკლუბში“ ამჯერადაც ხალხმრავლობა იყო. როდესაც „მაგთი“ იქ თავის პრეზენტაციებსა თუ საღამოებს მართავს, საზოგადოებამ იცის, რომ ღონისძიება საინტერესო და სასიამოვნო იქნება, რომ კლუბში გატარებული რამდენიმე საათი ფუჭად დაკარგული არ აღმოჩნდება და ნაცნობებთან, მეგობრებთან, კოლეგებთან, საზოგადოებისთვის ცნობილ და ქვეყნისთვის მნიშვნელოვან პირებთან შეხვედრა აუცილებლად დასრულდება საჩუქრებით „მაგთიკომისგან“ – საყვარელი ავტორების წიგნებითა თუ შემოქმედთა ალბომებით. ასეთი საღამოები ყოველთვის მშვენიერი მუსიკით, მსუბუქი ვახშმითა და გამაგრილებელ-ალკოჰოლური სასმელებით გამასპინძლებითა და ორატორების გამოსვლების თანხლებით მიმდინარეობს, ადამიანებს ცოტა ხნით მაინც ავიწყდებათ ყოველდღიური პრობლემები, ყოფა, პოლიტიკა და ა.შ. და განტვირთვას სრული ძალითა და მონდომებით ეძლევიან.

– რას წარუდგენთ დღეს მოწვეულ საზოგადოებას?

„მაგთიკომის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი თათული ღვინიაშვილი: ეს მეთერთმეტე ალბომი, რომლებიც „მაგთიკომის“ ინიციატივითა და მხარდაჭერით გამოიცა. მათგან 10 მხატვრებს ეძღვნებოდათ და ეს პირველია, რომელიც მოქანდაკის – ელგუჯა ამაშუკელის შემოქმედებას ასახავს, რომელშიც შესულია მისი ფერწერული ნამუშევრებიც. ესაა იმ გზის გაგრძელება, რომელსაც „მაგთიკომისთვის“ ქართული საქმის კეთება ჰქვია. ქართული საქმის კეთებაა, როდესაც მომავალ თაობებს უტოვებ საგანძურს, აძლევ საშუალებას, გაეცნოს ჭეშმარიტ ხელოვნებას და ეროვნულ ღირებულბზე აღიზარდოს.

„მაგთიკლუბში“ ზოგიალბომის წარდგინების დროს გამოფენებიც მოეწყო. პროექტის გაგრძელებას და ალბომების გამოცემას მომავალშიც ვაპირებთ.

– რატომ აირჩია კომპანიამ ქართული საქმის კეთება მაინცდამაინც მხატვრების ალბომების გამოცემით?

– თანამედროვე ქართველი მხატვრების შემოქმედება ჩვენთვის, ჩვენი ქვეყნისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მართალია, ჩვენ ყველა სფეროს ვგულშემატკივრობთ, მაგრამ განსაკუთრებით ძვირფასი სახვითი ხელოვნებაა და ისევ გავიმეორებ, ალბომების გამოცემა ადასტურებს დევიზს – რომ ჩვენ ქართულ საქმეს ვაკეთებთ.

– ვისი ალბომის ჯერია უახლოეს მომავალში?

– მუშაობა რამდენიმე ალბომზე ერთდროულად მიდის, კიდევ რამდენიმე ახალი გამოცემა მზადდება, მაგრამ რომელი მხატვრების შემოქმედებას ეძღვნება ისინი – ჯერჯერობით საიდუმლოდ დავტოვებთ.

სანამ საზოგადოება შეგროვდებოდა, სანამ საღამოს ოფიციალური და შემდეგ „არაოფიციალური“ ნაწილები დაიწყებოდა, ვესაუბრეთ ალბომის ტექსტების ავტორებს – ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორ დავით ანდრიაძეს, ხუროთმოძღვარს, ელგუჯა ამაშუკელის თანაავტორ ვახტანგ დავითაიას და ელგუჯა ამაშუკელის მეუღლეს, პოეტ ლია სტურუას.

– თქვენ და ელგუჯა ამაშუკელს არაერთ ძეგლზე გიმუშავიათ. ალბომის ერთ-ერთი ავტორიც ბრძანდებით. სათქმელი და მოსაგონარი ბევრი გაქვთ.

ხუროთმოძღვარი ვახტანგ დავითაია: სხვათა შორის, არაერთხელ მითქვამს ელგუჯასთვის, ალბომი თვითონ გაეკეთებინა, მერე სხვებს გაუჭირდება-მეთქი. მაგრამ ამისთვის ვერა და ვერ მოიცალა. და აი, ახლა, ძალიან დიდი საქმე გააკეთა „მაგთიმ“. საერთოდ დიდ საქმეებს აკეთებს.

ჩვენი ურთიერთობა 40 წლის წინ დაიწყო, 1965 წელს, პირველი ერთობლივი ნამუშევრით, ფოთში, სადაც „კოლხეთის დედაზე“ ვიმუშავეთ. სოცრად გახარებული და ამაყი ვიყავი, როდესაც ელგუჯამ სრულიად ახალგაზრდა არქიტექტორს შემომთავაზა თანამშრომლობა, ვყოფილიყავი ამ მონუმენტის არტქიტექტორი. თვითონაც ძალიან ახალგაზრდა, მაგრამ უკვე რუსთაველის პრემიის ლაურეატი იყო. ძალიან კარგად მახსოვს ეს დღე, ეს პერიოდი. აი, იქიდან დაიწყო და დაიწყო.

– საინტერესო იყო მასთან ურთიერთობა, მუშაობა?

– ძალიან. ჯერ ერთი, ყოველთვის ძალიან კარგად და ზუსტად იცოდა, რა უნდოდა, რაც თანამშრომლობას აადვილებს. შემოქმედებით პროცესს წარმატებულს ხდის.

ელგუჯა ძალიან კომუნიკაბელური იყო, საერთოდ ყველას მიმართ და არა მხოლოდ კოლეგებთან ურთიერთობისას. დისტანციის არანაირ გარსს არ ქმნიდა, რომ ხაზი გაესვა სიდიდისთვის, უპირატესობისთვის. ძალიან უბრალო ადამიანი იყო. ხასიათის დიდოსტატი.

ჩვენ ხშირად გვიწევდა მივლინებებში სიარული. ბუნებრივია, ეს პურ-მარილის გარეშე არ მთავრდებოდა და როდესაც უკან ვბრუნდებოდით, ელგუჯა თავის პროგრამას იწყებდა. ყველა ადამიანის პორტრეტს ქმნიდა, მათსაც კი, რომლებიც ხმას არ იღებდნენ. იმეორებდა არამარტო საუბრის მანერასა და ინტონაციებს, არამედ ჟესტებს, მიმკებს, წარმოიდგენდა, ვინ, რას და როგორ იტყოდა.

– რამდენი ძეგლი შექმენით ერთად?

– ერთად დაახლოებით 20-ამდე ნამუშევარი გვაქვს შესრულებული. გამოვყოფდი მოუმენტებს – „ვეფხი და მოყმე“ – თბილისში, „დავით აღმაშენებელი“ – ქუთაისში, მალთაყვაში „ტალღები“ და „ცოტნე დადიანი“, „კოლხეთის დედა“, ილია ჭავჭავაძე – ბათუმში და ბევრი სხვა. ბიუსტებზე ხომ ლაპარაკი აღარაა...

ძალიან სამწუხაროა, რომ რასაც ხელოვანი ვერ მოასწრებს, მთავრდება მის წასვლასთან ერთად. ყველა სამეცნიერო პროგნოზი უსათუოდ აღსრულდება, დღეს თუ არა ხვალ. ყველა გზას გაიყვანენ. ყველა ავადმყოფობის გასაღები მოიძებნება, მაგრამ იმას, რასაც ხელოვანი თვითონ ვერ გააკეთებს, აღარაფერი ეშველება. ელგუჯამაც ბევრი წაიღო, ახალგაზრდა წავიდა და ბევრი რამ წაიღო, დიდად სამწუხაროდ.

– ალბათ თქვენთვის, აქ მყოფთაგან, ყველაზე მნიშვნელოვანია, რაც დღეს „მაგთიკლუბში“ ხდება.

ელგუჯა ამაშუკელის მეუღლე, პოეტი ლია სტურუა: ელგუჯა, მე მგონი, ერთადერთი კაცია საქართველოში, რომლის ალბომი პირველად გამოვიდა. ადრე, საბჭოთა ეპოქაში, ეს ყველაფერი იოლად ხდებოდა, სახელმწიფო დაფინანსებისა და ხელშეწყობის ხარჯზე. მაგრამ ელგუჯას ეზარებოდა და ამბობდა – მე მოქანდაკე ვარ და ეს ჩემი საქმე არაა. შემდეგ კი ძალიან ნანობდა და ძალიან უნდოდა, ალმომი ჰქონოდა, მაგრამ დრო შეიცვალა, უკვე ფული სჭირდებიდა ყველაფერს და აღარაფერი გამოვიდა.

ამიტომ, რა თქმა უნდა, უდიდესი მადლობა მინდა ვუთხრა გია ჯოხთაბერიძეს, რომელმაც მართლა შესანიშნავი ალბომი გამოსცა. ძალიან კარგი ხარისხით. ძალიან კარგი დიზაინერების ჯგუფი ჰყავს, რომლებიც ბრწყინვალედ მუშაობენ. სტამბაც, „სეზანი“, რომელმაც ალბომი დაბეჭდა, მე მგონი, საუკეთესოა.

ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია. სენტიმენტალური და ბანალური გამოდის, ნათქვამი – ელგუჯა რომ ხედავდეს, მაგრამ ხშირად გამიელვებს ხოლმე – ნეტავ, ხედავდეს! ბოლო პერიოდში ბევრი წყენა შეხვდა, ბევრი ნერვიულობა. მეც სულ მეშინოდა – ან ამ ქანდაკებას გადადგამენ, ან მოხსნიან და ძალიან ვღელავდი. დღევანდელი საღამო თითქოს ამ წლებისა და განცდების კომპენსაციაა. როგორ მინდა, ელგუჯა ხედავდეს!

– რას იტყვით თქვენ, როგორც ტექსტის ავტორი და ელგუჯა ამაშუკელის შემოქმედების მკვლევარი?

ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი დავით ანდრიაძე: ეს მეორე ალბომია, „მაგთიკომის“ სერიიდან, რომლის ტექსტის ავტორობა მომიხდა – პირველი იყო თემო გოცაძე და ახლა – ელგუჯა ამაშუკელი.

ელგუჯა ამაშუკელი იყო პიროვნება და შემოქმედი, რომელმაც გარკვეული გაგებით გაუძლო დროს. ჩემს ტექსტს ასეც ჰქვია – „მოქანდაკის ხელისუფლება“ და აქ მეორე პლანიც იგულისხმება – ხელისუფლების მოქანდაკე. ამ ორ კატეგორიას შორის იყო საჭირო ბალანსის დადგენა.

მას ყველაზე რთულ პერიოდში მოუწია მოღვაწეობა. მაშინ, როდესაც დასრულებული იყო ავტორიტარული დისკურსი და უნდა მოსულიყო ახალი ქანდაკება, ახალი იდეოლოგიები, ახალი კულტურული ემბლემა და რაშიც, მე მგონია, ელგუჯა ამაშუკელს ბადალი არ ჰყავდა.

მინდა ვთქვა, რომ ელგუჯა ამაშუკელმა შექმნა თბილისის, საქართველოს ახალი მონუმენტური ტოპოგრაფია, ხელახლა მოახდინა საქართველოს დასახლებული პუნქტებიდან მათი მონუმენტური ქალაქებად დასახელება. შეიძლება დღევანდელი გადასახედიდან ბევრი რამ სადაო იყოს, მაგრამ ფაქტია, მისი ნამუშევრები რჩებიან ამ ქალაქების ემბლემატურ გამომხატველებად და რაც უნდა დრო გავიდეს (ესთეტიკა იცვლება, პოლიტიკა იცვლება), საბოლოო ჯამში, ამ ქანდაკებების საბოლო საზრისი, მონუმენტური საზრისო უცვლელი იქნება.

შეიძლება ვიდავოთ როგორია ესა თუ ის ქმნილება, როგორც ქანდაკება, როგორია ის, როგორც მონუმენტი, მაგრამ მათ 40-50 წელს გაუძლეს და კვლავ გაუძლებენ დროს.

ელგუჯა ამაშუკელის მოგონების, მასზე, მის შემოქმედებაზე რაღაცის თქმის სურვილი ბევრს ჰქონდა. საღამო თათული ღვინიაშვილს მიჰყავდა. მიკროფონთან ერთმანეთს ცვლიდნენ – თემო გოცაძე (რომელმაც მშვენიერი ესსე წაიკითხა, მოქანდაკისადმი მიძღვნილი), ვალერი ასათიანი, ვახტანგ დავითაია, თამთა-თამარ შავგულიძე, დავით ანდრიაძე, დიმიტრი ერისთავი, როინ მეტრეველი, ლია სტურუა. ყველა სიყვარულითა და თბილად იხსენებდა ელგუჯა ამაშუკელს, საუბრობდნენ მასზე, როგორც მრავალმხრივ ნიჭიერ ადამიანსა და ხელოვანზე და რა თქმა უნდა, ყველა მადლობას უხდიდა „მაგთიკომსა“ და პირველ რიგში, გია ჯოხთაბერიძეს, რომელიც თავის გუნდთან ერთად მართლა აკეთებს ქართულ საქმეს და ქართველი ხელოვანების ცხოვრების გაგრძელებას უწყობს ხელს, მაშინაც კი, როდესაც ისინი ამქვეყნად აღარ არიან.

რუსთაველის თეატრში შექსპირის სონეტებს აჩვენებენ

ეკა ირემაშვილი

23 აპრილს რუსთაველის თეატრის ვიაიპი დარბაზში ამერიკელი რეჟისორისა და დრამატურგის რობერტ ვილსონის „სონეტების“ სრული ვერსიის ჩვენება გაიმართება. 23 აპრილი მსოფლიოში სახელგანთქმული მწერლის უილიამ შექსპირის დაბადებისა და გარდაცვალების დღეა. ამერიკელი რეჟისორისა და დრამატურგის რობერტ ვილსონის წარმოდგენა აგებულია შექსპირის სონეტებზე. მუსიკის ავტორია რუფუს ვეინვრაითსი.

როგორც რუსთაველის თეატრის წარმომადგენელი მაკო ყანჩელაშვილი აღნიშნავს, ერთდღიანი პროექტი ხორციელდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის შექსპირის შემსწავლელი ცენტრის ინიციატივითა და რუსთაველის თეატრის მხარდაჭერით.

– ამერიკელი რეჟისორისა და დრამატურგის რობერტ ვილსონის „სონეტების“ სრული ვერსიის ჩვენება დაიწყება ინსტიტუტის დირექტორის პროფესორ ლევან ხეთაგურის შესავალი სიტყვით და მასზე დასწრება თავისუფალია

უილიამ შექსპირი 52 წლის ასაკში გარდაიცვალა. ის ინგლისელი დრამატურგი და პოეტია და მიჩნეულია მსოფლიო დრამატურგიის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ წარმომადგენლად. უილიამ შექსპირის ნაწარმოებებიდან თითქმის არ დარჩა არც სონეტა, არც პიესა, არც კომედია და არც ტრაგედია, რომელიც რეჟისორთა მიერ დადგმული არ არის. მისი სონეტებია „ვენერა და ადონისე“, კომედიებია „ქარიშხალი“, „შეცდომათა კომედია“, „ამაო გარჯა სიყვარულისას“, „ზაფხულის ღამის სიზმარი“, „ვენეციელი ვაჭარი“, „ზამთრის ზღაპარი“, „პერიკლე“, „უინძორელი მხიარული ქალები“ და „ჭირვეულის მორჯულება“, მისი ტრაგედიებია „რომეო და ჯულიეტა“, „კორიოლანუსი“, „ტიტუს ანდრიკუსი“, „იულიუს კეისარი“, „მაკბეტი“, „ჰამლეტი“, „ტროილე და კრესიდა“, „მეფე ლირი“, „ოტელო“, „ანტონიუსი და კლეოპატრა“, ისტორიული ნაწარმოებებია „მეფე ჯონი“, „რიჩარდ II“, „რიჩარდ III“, „ჰენრი IV“, „ჰენრი V“, „ჰენრი VI“ და „ჰენრი VIII“.

18 წლის ასაკში უილიამ შექსპირმა ცოლად შეირთო რვა წლით უფროსი ქალი ენ ჰეთუეი, რომელიც ამ დროს უკვე ორსულად იყო. უილიამსა და მის ცოლს ჰყავდათ სამი შვილი სუზანა და ტყუპები ჯუდითი და ჰამნეტი, რომელიც 11 წლის ასაკში გარდაიცვალა.

– შექსპირის ლიტერატურული კარიერა დაახლოებით 20 წელიწადს გრძელდებოდა და დაემთხვა ორი მონარქის – ელიზაბეთ პირველისა და ჯეიმზ პირველის ხანას. ამ პერიოდში მან შექმნა ორი ეპიკური პოემა, უამრავი სონეტა და 37 პიესა. ცნობილია, რომ შექსპირი მოღვაწეობდა ლონდონის თეატრის დასში. სწორედ ამ პერიოდში დაუპირისპირდა მას მისი მეგობარი დრამატურგი რობერტ გრინი, რომელიც დევნიდა შექსპირს იმის გამო, რომ მას არ ჰქონდა მიღებული უმაღლესი განათლება. ჰენრი ჩეტლის მიერ გამოცემულ კრებულში იგი თავს დაესხა უილიამს, ჩეტლის შემდგომ ბოდიშის მოხდა მოუწია თავდასხმაში უნებლიე მონაწილეობისთვის. იმ პერიოდში გავრცელებული ეპიდემიის გამო, ლონდონის თეატრები დაიხურა, შექსპირმა ყურადღების კონცენტრირება მოახდინა მის პოეზიაზე. ამ დროს მას პატრონაჟს უწევდა მისი მეგობარი საუთჰემტონის გრაფი. როდესაც ეპიდემიამ ჩაიარა, შექსპირი შეუერთდა „ლორდ კამერჰერის მსახურების“ თეატრალურ დასს, სადაც იგი მსახიობიც იყო და დრამატურგიც. მომდევნო წლებში მან შექმნა უმეტესწილად, კომედიები და ისტორიული ჟანრის ნაწარმოებები. მისი ცნობილი ტრაგედია „რომეო და ჯულიეტა“ დღესაც არ კარგავს აქტუალობას. მისი შედევრები „ამაო გარჯა სიყვარულისას“ და „ზაფხულის ღამის სიზმარი“ გალექსილია ნათელ, ახალგაზრდულ სტილში და წარმოადგენს რითმული პოეზიის უდავო ნიმუშს. რაც შეეხება „ვენეციელ ვაჭარს“, იგი უფრო გვიან პერიოდშია შექმნილი და მეტად სევდიან კომედიას წარმოადგენს. ამავე პერიოდში შექსპირმა დაწერა „ჰენრი IV“-ის ორი პიესა. ამ პიესებმა ისე გააოცეს დედოფალი ელიზაბეთ პირველი, რომ მან შექსპირს შეუკვეთა კიდევ ერთი ფოლსტაფური პიესა, შემდგომში ცნობილი გახდა, როგორც „უინძორელი მხიარული ქალები“. უილიამ შექსპირის ყველაზე ცნობილი ტრაგედიებია „ჰამლეტი“, „ოტელო“, „მეფე ლირი“, „მაკბეტი“ და „ანტონიუსი და კლეოპატრა“. თავის უკვდავ ტრაგედიებში შექსპირმა მიაღწია ე.წ. „თეთრი ლექსის“ სტილის განუმეორებელ პოეტურ წარმატებას, ამასთანავე ნაწარმოებები სავსე იყო თავისუფლებით. შემდგომი პერიოდის შედევრებში „ზამთრის სიზმარი“ და „ქარიშხალი“ აშკარად ჩანდა გვიანი რენესანსის კრიზისის ნიშნები. გაჩნდა მწვავე კონფლიქტების მოგვარების კომპრომისული გზები. ამგვარ შემრიგებლურ ნოტაზე დასრულა უილიამ შექსპირმა თავისი ბრწყინვალე კარიერა. როდესაც „ლორდ კამერჰერის მსახურების“ თეატრალური დასი გადავიდა „გლობუსის“ ცნობილ თეატრში, შექსპირი თეატრის მეათედი აქციების მფლობელი გახდა. აქციონერობა მისთვის მეტად წარმატებული აღმოჩნდა, ვიდრე პიესების წერა. უილიამ შექსპირს თითოეულ პიესაში მხოლოდ 6 ფუნტს უხდიდნენ. როდესაც დედოფალი ელიზაბეთი გარდაიცვალა და ტახტზე ავიდა ჯეიმზ I, შექსპირის კომპანია გარდაიქმნა სამეფო დასად და ხშირად მართავდა სპექტაკლებს სამეფო კარზე. ამ დროისათვის უილიამი განთქმული და წარმატებული დრამატურგი გახდა და მშობლიურ ქალაქში უძრავი ქონების შეძენა დაიწყო. საბოლოოდ შექსპირი მშობლიურ სტრატფორდში დაბრუნდა და მომდევნო ორი-სამი წლის განმავლობაში კონტაქტობდა ლონდონის თეატრთან. სავარაუდოდ 52 წლის ასაკში შექსპირი გარდაიცვალა. მისმა მეგობრებმა ჯონ ჰემინგმა და ჰენრი კონდელმა შეადგინეს შექსპირის ნაწარმოებების პირველი სრული კრებული, გამოცემას დართული აქვს ბენ ჯონსონის ლექსი, რომელშიც უილიამი მოხსენიებულია, როგორც „ეივონის მშვენიერი გედი“, – აღნიშნავს რუსთაველის თეატრის წარმომადგენელი.

სოფო გელოვანმა და ნოდიკო ტატიშვილმა გერმანიაში იმღერეს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ლი. წელს ამას განსაკუთრებული დატვირთვა მიეცა, რადგან თელიასონერა ასევე არის კონკურსის მასპინძელი შვედეთში. ჯეოსელის ინიციატივით, 25 თებერვლიდან 4 აპრილის ჩათვლით ჯეოსელის აბონენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ მონაწილეობა მიეღოთ გათამაშებაში და მოეგოთ 5 ორკაციანი საგზური შვედეთში.

საქართველო ევროვიზიის კონკურსში უკვე მეექვსედ მონაწილეობს. სოფო ხალვაშის, სოფო ნიჟარაძის, დიანა ღურწკაიას, ელდრაინის, ანრი ჯოხაძის შემდეგ სოფო გელოვანი და ნოდიკო ტატიშვილი საქართველოს ევროვას წარუდგენენ. გამონაკლისი აღმოჩნდა, მხოლოდ სტეფანე და სამი გოგო, რომელთა სიმღერაც „პუტინ დისკო“ ევროვიზიის ორგანიზატორებმა პოლიტიკურად დატვირთულად ჩათვალეს და მონაწილეებს ტექსტის შეცვლა მოსთხოვეს. პროტესტის ნიშნად საქართველომ იმ წელს კონკურსში მონაწილეობა არ მიიღო. წელს საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა გამოიყენა თავისი უფლება და ყოველგვარი შიდაშესარჩევი კონკურსის გარეშე ევროვიზიის მონაწილეებს დაასახელა – სოფო გელოვანი და ნოდიკო ტატიშვილი.

წლევანდელ ევროვიზიას მაისის თვეში შვედეთის ქალაქი მალმო უმასპინძლებს. კონკურსში მონაწილე დელეგაციები შვედეთში მაისის თვეში გაემგზავრებიან, სადაც დაგეგმილია სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, პრესკონფერენციები, გაცნობითი ხასიათის საღამოები და მზადება კონკურსისთვის. ქართველი მომღერლები კონკურსზე თომას ჯეისონის სიმღერით „ვათერფულ“ წარდგებიან. ამ კომპოზიტორს ეკუთვნის შარშანდელი გამარჯვებული სიმღერა, რომელიც შვედმა ლორენმა შეასრულა და თავის ქვეყანას გამარჯვებაც მოუტანა. რიგით 58-ე ევროვიზიის სიმღერის კონკურსის ნახევარფინალებსა და ფინალს შვედეთის ქალაქი მალმე 14, 16 და 18 მაისს უმასპინძლებს. წელს კონკურსში 39 ქვეყანა მონაწილეობს. სოფო გელოვანი და ნოდიკო ტატიშვილი ევროპელი მაყურებლისთვის ევროფესტივალის მეორე ნახევარფინალურ საღამოზე 16 მაისს მე-15 ნომრად იმღერებენ. საქართველოდან ევროვიზიის კონკურსს თემო კვირკველია გაუძღვება, საქართველოს შედეგებს კი მთელ ევროპას ლიზა წიკლაური გააცნობს.

„მზიურში“ ქართული ბენდები დაუკრავენ

ეკა ირემაშვილი

ბავშვთა ქალაქ „მზიურში“ 22 აპრილს თანამედროვე ქართული ბენდები კონცერტს გამართავენ. კონცერტი დედამიწის დღის აღსანიშნავად ჩატარდება და მასში მონაწილეობას მიიღებენ „ბალუნ შუთერსი“, „ოიმაკტა“, „დაჩ ლავერი“ და ექსტრიმი-ჰაით პროჯექტი“.

თანამედროვე ქართული ბენდების კონცერტის დაწყებამდე არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს ახალგაზრდა მწვანეები“ დედამიწის დღის აღსანიშნავად რამდენიმე მასშტაბურ ღონისძიებებს ჩაატარებს. მოეწყობა საინფორმაციო აქცია-მსვლელობა ვაკის პარკის მიმდებარე ტერიტორიიდან ფილარმონიის მიმართულებით, რომელსაც შეუერთდებიან სხვადასხვა ახალგაზრდული ორგანიზაციების წარმომადგენლები, საქართველოს მოლაშქრეთა ფედერაცია და ველოსიპედისტები.

– ამ აქციის დროს დარიგდება ლიფლეტები და საინფორმაციო ბროშურები, რომლებშიც ხაზი იქნება გასმული ცხოვრების „მწვანე“ სტილის მნიშვნელობაზე. ამ მსვლელობის მთავარი მიზანია, საზოგადოების მაქსიმალურად დიდმა ნაწილმა მიიღოს ინფორმაცია არსებული გლობალური და ადგილობრივი ეკოლოგიური პრობლემებისა და მათ გადაჭრაში ადამიანების როლის შესახებ, – აცხადებს პროექტის კურატორი გიორგი მეგრელიშვილი.

ცეკვის საერთაშორისო დღეს საგანგებო გზავნილი გავრცელდება

ეკა ირემაშვილი

მოგესალმებით!

22 აპრილს „ლიგამუსში“ ცეკვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, მსოფლიოში გავრცელდება ცნობილი ქორეოგრაფების გზავნილი. ამასთან დაკავშირებით „ლიგამუსში“ მოეწყობა წლევანდელი გზავნილის ავტორის დადგმის ვიდეოჩვენება.

– თეატრის საერთაშორისო ინსტიტუტი არის მსოფლიო ორგანიზაცია საშემსრულებლო ხელოვნებაში, რომელიც ყოველი წლის 21 აპრილს ცეკვის საერთაშორისო დღეს აღნიშნავს. ცეკვის საერთაშორისო დღეს ვრცელდება გზავნილი, რომლის წლევანდელი ავტორიც ტაივანის „ქლაუდ გეიტის“ ცეკვის თეატრის დამაარსებელი და სამხატვრო ხელმძღვანელი ლინ ჰვაი-მინი გახლავთ. ამ დღესთან დაკავშირებით 22 აპრილს ილიაუნის წიგნის მაღაზია „ლიგამუსში“, ხელოვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი მოაწყობს ჩვენებას, რომლის ფარგლებშიც მაყურებელი გაეცნობა გზავნილის ქართულ ენაზე თარგმნილ ტექსტს და ნახავს მისი ავტორის – ლინ ჰვაი-მინის ნამუშევარს, რომლის ხანგრძლივობაა 60 წუთი, – განაცხადა ხელოვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წარმომადგენელმა თამარ კიკნაველიძემ.

ტაივანელი ქორეოგრაფის წარმოდგენაში გამოყენებულია ქართული ხალხური სიმღერების ცნობილი ნიმუშები ანსამბლ „რუსთავის შესრულებით“. ჩვენს ღონისძიებაზე დასწრება თავისუფალია და ნებისმიერ მსურველს შეუძლია.

თამარ კიკნაველიძე, ხელოვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის წარმომადგენელი:

– ცხოვრებისეული მიღწევებისთვის დაჯილდოებული ლინ ჰვაი-მინი, გერმანიის „მოვიმენტოს“ საერთშორისო ცეკვის კონკურსის ჟიურის წევრი, თავს „ცეკვის მოწინავე ნოვატორად“ თვლის. მას მიაჩნია, რომ „უტოლდება საუკუნის ისეთ არტისტებს, როგორებიცაა უილიამ ფორსაიტი, ჯორჯ ბალანჩინი, ბირგიტ კულბერგი“. 2013 წლის ივლისში ლინი მარტა გრეჰემის, მერს კანინგჰემის და პინა ბაუშის მსგავსად მიიღებს პრესტიჟულ „სემუელ სკრიპსის ამერიკული ცეკვის ფესტივალის“ ჯილდოს „ცხოვრებისეული მიღწევებისთვის“. ფესტივალის განცხადებაში წერია: „ხელოვნების ამ ფორმაში შეუპოვარმა, თავგამოდებულმა მოღვაწეობამ ბატონი ლინი აქცია დღევანდელობის ერთ-ერთ ყველაზე დინამიურ და ინოვაციურ ქორეოგრაფად. მისი ქორეოგრაფიული ბრწყინვალება სცილდება საზღვრებს და ახალ განსაზღვრებას აძლევს ხელოვნების ამ სფეროს“. ის იქნება ამ ჯილდოს პირველი ლაურეატი, რომელიც არ არის დაფუძნებული არც ევროპაში და არც ამერიკაში. საკუთარ სამშობლოში, ტაივანში, ლინ ჰვაი-მინი ცნობილი იყო როგორც წარმატებული მწერალი. 22 წლის ასაკში, ის უკვე 2 წიგნის ავტორი გახლდათ. იგი წავიდა სასწავლებლად ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც მიიღო სახვითი ხელოვნების მაგისტრის წოდება აიოვას უნივერსიტეტის ლიტერატურული ვორკშოპიდან. ის ასევე სწავლობდა თანამედროვე ცეკვას უნივერსიტეტში და ქალაქ ნიუ იორკში. ლინ ჰვაი-მინმა დაარსა „ქლაუდ გეითის ცეკვის თეატრი“ ტაივანში, ასევე ცეკვის დეპარტამენტი ტაიპეის ხელოვნების ნაციონალურ უნივერსიტეტში და ქლაუდგეითი იგი არის ამ ორივე საერთაშორისოდ აღიარებული საცეკვაო დასის სამხატვრო ხელმძღვანელი. დადგმული აქვს 86 სპექტაკლი, აქედან 18 სრულმასშტაბიანი დადგმა. ლინისთვის შთაგონების წყარო ხშირად ტრადიციული აზიური კულტურა და ესთეტიკაა. ის დგამს დიდი რეზონანსის მქონე თვითმყოფად სპექტაკლებს, რომლებსაც „ევროპული ცეკვა“ ასე ახასიათებს: „მსოფლიოს არც ერთი დასი არ ცეკვავს ისე, როგორც „ქლაუდ გეითი“. ის წარმოადგენს განსაკუთრებულ და მოწიფულ ჩინურ ქორეოგრაფიულ ენას. აზიური ცეკვის მსგავსი განვითარება არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე იყო „ფორსაიტის ფრანკფურტის ბალეტის“ გავლენა ევროპულ კლასიკურ ბალეტზე“. ლინ ჰვაი-მინს მიღებული აქვს ექვსი უნივერსიტეტის საპატიო დოქტორობა ტაივანსა და ჰონ კონგში, ტაივანის ნაციონალური ჯილდო ხელოვნებაში, რამონ მეგსეისეის ჯილდო, ჯონ როკფელერის მე-3 ჯილდო და „საუკეთესო ქორეოგრაფის“ ჯილდო ლიონის ცეკვის ფესტივალის ბიენალეზე. ასევე გახლავთ საფრანგეთის კულტურის სამინისტროს „ხელოვნებისა და ლიტერატურის“ საპატიო ორდენის კავალერი. „ტაიმსმა“ მას „აზიის ერთ-ერთი გმირი“ უწოდა. ლინ ჰვაი-მინი რამდენიმე სატელევიზიო დოკუმენტური ფილმის მთავარი გმირია. მათ შორისაა, „ტაივანის პორტრეტები“: ლინ ჰვაი-მინი, „ტივტივი ზედაპირზე“, „ლინ ჰვაი-მინი – ზედაპირი სამყაროებს შორის“. 2000 წლიდან იგი არის ტაიპეის, ნოველ ჰოლის საშემსრულებლო ხელოვნების „ახლებური ცეკვის სერიების“ სამხატვრო ხელმძღვანელი, რითაც მან ტაივანელ მაყურებელს თანამედროვე ცეკვა გააცნო. მასთან ერთად სერიებში მონაწილეობენ ეიკო და კომა, მერედიტ მონკი, სუზან ლინკე, აკრამ ხანი, ეა სოლა, სიდ ლარბი ჩერკაკი და ჯერომ ბელი. ამჟამად ლინ ჰვაი-მინი ხელმძღვანელობს ცეკვის ექსპერტების მიერ მთელი მსოფლიოდან არჩეულ ახალგაზრდა ქორეოგრაფებს „როლექს მენტორისა“ და „პროტეჟე ართს ინიშიათივს“ ფარგლებში.

განცხადებები

● უცხოეთში კვალიფიციური პროფესიონალი ექიმი გთავაზობთ სხეულის კორექციას ვაკუუმ მასაჟის მეთოდით, გამანჯასაღებელ, სარელაქსაციო, შოკოლადის მასაჟს. შეიძლება ბინაზე მომსახურებაც. 599 48 66 39; 558 57 68 06

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბანლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14, 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14, 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15, 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15, 218-14-90 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94, 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33, 218-46-08 ექიმი ქ-ნი ნინო.

● სიმაღლეში ზრდის ეფექტური, სწრაფი პროგრამა კურსით 3-5 სმ-ის მომატება 25 წლამდე, ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით + ვარჯიშებით, უნებლიე შარდვის მკურნალობა მოზარდებშიც, ასაკიანებშიც, ასევე გახდომა 5-20 კგ-მდე, გასუქება 2-5 კგ-მდე თვეში, უვნებლად. ორგანიზმის წესრიგდება სწორ კვებას, მადა რეგულირდება, პირიდან უსიამოვნო სუნი ქრება, ავტომატურად წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავის პრობლემები, ხდება სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან! იმუნიტეტის აღდგენა-გაძლიერება, კანის გაახალგაზრდავება. გვაქვს წარმატებული მუშაობის გამოცდილება. 234-02-38; 599-90-54-78 ქ-ნი ქეთევანი.

● ფირმის ოფისში გვაქვს რეალური ვაკანსიები, გვჭირდება უმაღლესგანათლებული, რუსულის მცოდნე თანამშრომლები. სამუშაო კონტრაქტითაა, მუშაობის უფლებით 98 ქვეყანაში. საუკეთესო მენეჯერებს ეძლევათ უფლება, უფასოდ იმოგზაურონ ტრენინგებისათვის. ანაზღაურება მაღალი, სტაბილური, მზარდი. გვაქვს 33-წლიანი წარმატებული მუშაობის გამოცდილება. 247-58-83, 577-29-37-41 დიმიტრი.

● ნანა ქიბრიწაშვილი. შპს „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მოგიხსნით ნეგატიური ზემოქმედებით გამოწვეულ პრობლემებს ფოტოსურათით: აგრესიას, აკვიატებას, ეჭვი-ანობას, თვითმკვლელობის სურვილს, უიმედობას, აფორიაქებას, დაძაბულობას, შებოჭილობას, აზარტულ თამაშებზე დამოკიდებულებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, სევდას, ნაღვლებს, მელანქოლიას. მის: წერეთლის 57, II სად, II სართული. ოფისი 7. მიღება 12-დან 15 სთ-მდე, გარდა შაბათ-კვირისა. ტელ: 599-498-423

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი: ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის პრობლემების მოგვარება, გასტრიტის, კოლიტი (მშრალი და სველი), დისბაქტერიოზი, ასევე იმპოტენციის, შარდის პრობლემების (შეკავება-შეუკავებლობა, ხშირი შარდვა), წვა, ქავილი, უშვილობა, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზე), უნებლიე შარდვა (ასაკოვანებშიც და ბავშვებშიც), გაჯანსაღება ხდება 100%-იანი მცენარეული პრეპარატებით, ანონიმურობით, უკუჩვენება ნულია. მიიღებიან ქალებიც. გამოცდილი სპეციალისტი ქალბატონი ქეთი. ტელ: 0570-90-63-45 (ზარი უფასოა), 577-29-37-41.

● ვასრულებ სამღებრო სამუშაოებს უმაღლესი ხარისხით შეღავათიან ფასებში. ტელ:. 598 24-40-90.

ვარსკვლავები ქუთაისში – ოლ სტარი შედგა

ადგილობრივები – ლეგიონერები 108:122

ადგილობრივები: ბაქრაძე, ბაბუნაშვილი, ფაცაცია, გ. ბარბაქაძე, მათიაშვილი, დვალიშვილი, ტომარაძე, რამიშვილი, კეშელავა, ჩიკვილაძე, კვეტენაძე, ბოქოლიშვილი

მწვრთნელი: გია კაზანჯიანი

ლეგიონერები: ბოუი, ვონი, კარტერი, ნელსონი, მილოშევიჩი, ოლუიჩი, პრევიტი, რეიმონდი, კარიმი, კლაიმენი, სტოიაკოვიჩი

მწვრთნელი: გეორგიოს კეცელიდისი

სუპერლიგის რიგით მე-11 ოლ სტარმა ჩვეულად საინტერესოდ ჩაიარა. ქუთაისის სპორტის სასახლეში გამართულ „ყველა ვარსკვლავის“ მატჩ-აქციას, ტრადიციულად, ბლომად გულშემატკივარი დაესწრო.

მაყურებელმა საკმაოდ სანახაობრივი მატჩი და კონკურსები იხილა. ლეგიონერთა გუნდმა 122:108 დაამარცხა ადგილობრივები, „შსს-აკადემიის“ ფორვარდი ბენჯამინ რეიმონდი კი მატჩის უძვირფასესი კალათბურთელი გახდა.

როგორც წესი, სანახაობრივი დატვირთვის მატჩებში დაცვა არ არსებობს და არც ამ „ოლ სტარში“ მონაწილე გუნდებს დაუტვირთავთ თავი მეტოქეთა შეტევების ჩაშლით. ორივე გუნდი ღაღად თამაშობდა, რადგან მეტოქე ამის საშუალებას იძლეოდა. შესაბამისად, მაყურებელმა არაერთი ლაზათიანი ეფექტური გდება თუ გამორჩეული მომენტი იხილა.

ლეგიონერთა უპირატესობა პირველივე წუთებიდან თვალშისაცემი იყო. უცხოელი მოთამაშეები შეტევების დაგვირგვინებისას უფრო ზუსტნი იყვნენ და ანგარიშიც ლეგიონერთა სასარგებლოდ იზრდებოდა. პირველი მეოთხედი უცხოელებმა 34:23 მოიგეს, ხოლო დიდი შესვენებისთვის გიორგის კეცელიდისის გუნდი 27 ქულით ლიდერობდა.

საბოლოოდ ლეგიონერებმა მატჩი იოლად მოიგეს, თუმცა ამაზე მნიშვნელოვანი ის ლამაზი მომენტები იყო, რომელიც გამარჯვებული გუნდის წევრებმა მაყურებლებს წარმოუდგინეს. 26 ქულით მატჩის ბომბარდირი და საუკეთესო მოთამაშე ბენჯამინ რეიმონდი გახდა, 16 ქულა და 9 პასი მიითვალა ნეით ბოუიმ, ხოლო მატჩის ერთადერთი ორმაგი დუბლი პირად ანგარიშზე კაილ ნელსონმა ჩაიწერა – 14 ქულა, 11 მოხსნა.

ადგილობრივთა გუნდის ბომბარდირი გიორგი ბარბაქაძე გახდა 24 ქულით, რიჩარდ მათიაშვილს 18 ქულა და 8 მოხსნა ჰქონდა, ხოლო დინამოელმა ბექა ჩიკვილაძემ შეხვედრა 16 ქულით დაასრულა.

სამქულიანების ჯონჯუხსი

სნაიპერთა კონკურსში 5 კალათბურთელი მონაწილეობდა. „არმიის“ 2 კალათბურთელი – ბესო ლეჟავა და ირაკლი საყვარელიძე ტრავმების გამო ქუთაისში ვერ ჩამოვიდნენ. პირველ ეტაპზე საუკეთესო შედეგი ოლიმპელმა კოკა ტომარაძემ დააფიქსირა. პერიმეტრის 5 წერტილიდან მონაწილეები 5-5 ბურთს ესროდნენ, ყოველი წერტილის ბოლო, მე-5 ბურთი 2 ქულად ფასობდა, დანარჩენები კი – 1 ქულად.

ტომარაძესთან (18 ქულა) ერთად ფინალში 17-17 ქულის მომგროვებელი გიორგი ბარბაქაძე და ბუბა კვიმსაძე გავიდნენ. შსს-აკადემიელმა ჩად პრევიტმა 16 დააგროვა, ხოლო ბათუმელმა ლაშა კეშელავამ – 15.

ფინალისა და, შესაბამისად, კონკურსის გამარჯვებული დავით ბარბაქაძე გახდა, რომელმაც გადამწყვეტ ფაზაში 19 ქულა მოაგროვა. ტომარაძე 17 ქულით მეორე იყო, ხოლო კვიმსაძე ამჯერად 14-ს დასჯერდა.

გიორგი ბარბაქაძე ქართული „ოლ სტარების“ ისტორიაში გახდა პირველი კალათბურთელი, რომელმაც ორივე კონკურსი მოიგო. ქუთაისელ ფორვარდს ჩატენვების კონკურსიც აქვს მოგებული, დღეს კი ის სამქულიანების გამარჯვებულიც გახდა.

ჩატენვების ჯონჯუხსი

ბურთის ეფექტურ გდებებში გამარჯვებული დებიუტანტი გახდა. ამ სეზონში საქართველოს 20-წლამდელთა ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე კახა ჯინჭარაძემ ფინალურ შერკინებაში „შსს-აკადემიის“ უკანახაზელი მერაბ ბოქოლიშვილი დაამარცხა.

გამარჯვებული დამატებით დაპირისპირებაში გამოვლინდა. ჯინჭარაძემ ბურთი ფარისკენ ტრაექტორიით გაგზავნა, რომელიც იატაკზე დაეცა და, როცა ზენიტს მიაღწია, დაიჭირა და კალათში მოხდენილად ჩატენა. ბოქოლიშვილმაც ლამაზი ილეთი შეასრულა – საკუთარ თანაგუნდელ დენოტა ვონს გადაახტა და ბურთიც კალათში ისე მოათავსა, თუმცა ჟიურიმ გამარჯვება კახა ჯინჭარაძეს მიანიჭა.

დაჯილდოება

სამივე ნომინაციის გამარჯვებულის დაჯილდოება მატჩის ბოლოს გაიმართა. „ოლ სტარის“ უძვირფასეს მოთამაშე ბენჯამინ რეიმონდს შესაბამისი პრიზი კალათბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა მერაბ რატიშვილმა გადასცა, ხოლო სნაიპერი გიორგი ბარბაქაძე ვეტერანთა დახმარების ფონდის პრეზიდენტმა ვალერი ლომაძემ დააჯილდოვა. ჩატენვების კონკურსის ტრიუმფატორი კახა ჯინჭარაძეს კი პრიზი ვეტერანმა ქუთაისელმა კალათბურთელმა გელა დარსაძემ გადასცა. სამივე გამარჯვებული „ყველა ვარსკვლავის“ პარტნიორ „ევროპა-ბეთისგან“ სამსუნგის პლანშეტური კომპიუტერით დაჯილდოვდა, რომელიც მოთამაშეებს სუპერლიგის დირექტორმა გიორგი ზაბახიძემ გადასცა.

ბენჯამინ რეიმონდი:

– მინდა, ყველას მადლობა გადავუხადო, ვისი დამსახურებითაც აქ მოვხვდი. ქართველი ბიჭები კარგად თამაშობდნენ და ბოლომდე იხარჯებოდნენ. დიდი მადლობა ჩემს თანაგუნდელებს, რომლებიც მაშინვე მაძლევდნენ პასს, როგორც თავისუფალ პოზიციაში მყოფს. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ დღეს მვპ გავხდი.

კახა ჯინჭარაძე:

– ძალიან საინტერესო „ოლ სტარი“ გამოვიდა. ძალიან გამიხარდა, რომ დამიძახეს, რადგან ეს ჩემთვის პირველი იყო. ორმაგად გამიხარდა მოგება. სანახაობა ნამდვილად შედგა. ჩემი აზრით, მაყურებელმაც ისიამოვნა.

გიორგი ბარბაქაძე:

– ქუთაისმა უკვე მესამედ უმასპინძლა „ოლ სტარს“ და, როგორც ხედავთ, სრული ანშლაგი იყო. მიხარია, რომ ჩემს პრიზს კიდევ ერთი შევმატე. ადრე ჩატენვების პრიზი მქონდა მოგებული, ახლა კი სამქულიანების პრიზიც მოვიგე. დიდი მადლობა ამ თამაშის ორგანიზატორებს.

დიდი ამბების ტური

ზუგდიდი – დინამო (თბ) 0:2

განმუხური. ცენტრალური

0:1 გველესიანი (60), 0:2 ხმალაძე (90)

ზუგდიდი: ძაგანია, აფაქიძე, რ.ონიანი (კობერიძე 90), კანკია (კუკავა 78), ქვარცხავა, აქუბარდია, ხუბუა (მალანია 87), სიხარულია, შ.ლომია, გაბედავა, ეხვაია

დინამო: ლორია, კვარაცხელია, სეთურიძე, ხმალაძე, მერრბაშვილი, ალვარო, გრაციარი, ჩისკო (დვალი 90), გლიშიჩი, შაშიაშვილი (გველესიანი 23), ძარია

„ზუგდიდი არ ყიდის, არც იყიდება“ – ასეთი წარწერით დახვდნენ ზუგდიდელები „დინამოს“ პრეზიდენტ რომან ფიფიას, რომელმაც რამდენიმე დღის წინ ინტერვიუში განაცხადა, რომ „ზუგდიდი“ ყველა გუნდთან იბრძვის, გარდა გორის „დილასი“, რადგან მათი გაჩემპიონება სურთო.

„დინამომ“ დაძაბულ ბრძოლაში მაინც შეძლო გამარჯვება და არსებული ოთხქულიანი სხვაობის შენარჩუნებაც. მატჩს თან ერთვოდა „დინამოს“ ესპანელი ლეგიონერის, ჩისკოს, არასპორტული საქციელი, რომელმაც ზუგდიდელ აფაქიძეს სახეში ხელი ჩაარტყა, მსაჯი კი მხოლოდ სიტყვიერი გაფრთხილებით შემოიფარგლა, რამაც ზუგდიდელი ქომაგის აღშფოთება გამოიწვია. ამ ფროს ანგარიში 0:0 იყო და არავინ იცის, ჩისკოს გაძევების შემდეგ მოვლენები როგორ განვითარდებოდა.

დედაქალაქელებმა ანგარიში დაპირისპირების მე-60 წუთზე გახსნეს, გოლი შეცვლაზე შემოსულმა გიორგი გველესიანმა გაიტანა. მატჩის 90-ე წუთზე საფინალო ანგარიში კი ლევან ხმალაძემ დააფიქსირა – 2:0.

მატჩის შემდეგ

დუშან უჭრინი:

– როგორც მოველოდით, რთული მატჩი გამოდგა. 90 წუთის მანძილზე მოედნის ყველა მონაკვეთზე დიდი ბრძოლა იყო, რომელშიც გამარჯვება და დამსახურებული 3 ქულა მოვიპოვეთ. მადლობა მინდა ვუთხრა ჩვენს ერთგულ ფანებს, რომლებმაც დინამოს მხარდასაჭერად დიდი გზა გამოიარეს და აქტიურად გვქომაგობდნენ.

„დინამოს“ ესპანელმა ლეგიონერმა ჩისკომ მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა.

ჩისკო:

– მთელი მატჩის მანძილზე ჩემ მიმართ მეტოქე გუნდის მცველების მხრიდან სხვადასხვა ფორმით ხორციელდებოდა მიზანმიმართული პროვოცირება. მორიგი უხეშობის შემდეგ, შეჯახებისას, ეპიზოდში, როდესაც მეურვის გზიდან ჩამოცილებას ვცდილობდი, მოხდა ინციდენტი, რომელიც არსებულ ვიდეოკადრებში ბევრად უფრო არასასიამოვნო სანახავია, ვიდრე რეალურად იყო. თუმცა, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ ამ ეპიზოდში არანაირი მიზანმიმართული განზრახვა არ მქონია. მიუხედავად ამისა, ვწუხვარ მომხდარის გამო.

ნიკოლოზ აფაქიძე:

– სათამაშო ეპიზოდში ჩისკოს ფეხი მოვარტყი და წაიქცა. როცა მოვბრუნდი, ჩემკენ მოემართებოდა, ჯერ შემაფურთხა და მერე დამარტყა.

მომხდართან დაკავშირებით დღეს სფფ-ის სადისციპლინო კომიტეტი საგანგებოდ შეიკრიბება. სხდომა „მიხეილ მესხის“ სტადიონის მედია-ცენტრში გაიმართება. ამის შესახებ სფფ-მ უკვე გააფრთხილა ორივე კლუბი.

სავარაუდოდ, ჩისკოს მკაცრი სანქცია ელის.

ზესტაფონი – დილა 0:3

ზესტაფონი. დავით აბაშიძე

0:1 მოდებაძე (43), 0:2, 0:3 ნათან ჟუნიორი (51, 79)

ზესტაფონი: რ.კვასხვაძე, თორნიკე გრიგალაშვილი, თედორე გრიგალაშვილი, იელიჩი, გაგოშიძე, პეტკოვი, ბაბუნაშვილი, გორგიაშვილი (აფციაური 46), კუტალია (რაჟამაშვილი 78), ენდელაძე (კვერნაძე 57), დემეღი

დილა: შეყრილაძე, ალადაშვილი (ბეჭვაია 83), კვახაძე, თომაშვილი, კვირკველია, გვალია, ი.მაისურაძე (კახელიშვილი 84), გოგუა, მოდებაძე (არზიანი 78), რამოსი, ჟუნიორი

„კაჭარავა წადი“, „დაგვიბრუნეთ ფეხბურთი“... მეორე გაშვებული გოლის შემდეგ ზესტაფონელი ქომაგი შეძახილებით ახმაურდა. შეიძლება, ამ მატჩში ფავორიტად ბევრი „დილას“ მიიჩნევდა, მაგრამ ამხელა სხვაობით ჩემპიონის მარცხს, ალბათ, არავინ მოელოდა.

გორელი ფეხბურთელები, რომლებიც კვლავაც განაგრძობენ საჩემპიონო „რბოლას“, იმერეთს შემართებით ესტუმრნენ და აბსოლუტურად დამსახურებულად, თანაც ძალიან ლამაზ სტილში დაამარცხეს მეტოქე. ანგარიში ტაიმის მიწურულს გაიხსნა – 43-ე წუთზე სტუმართა შეტევის მარჯვენა ფლანგიდან კახა ალადაშვილის კარგი გარღვევისა და საჯარიმოში ჩაწოდების შემდეგ ზესტაფონელთა კარის ბადეში ზუსტი თავური დარტყმით ბურთი ირაკლი მოდებაძემ გადაგზავნა.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

შედეგები

ფეხბურთი

ინგლისი. ჩემპიონიობა

ვესტ ბრომვიჩი-ნიუკასლი 1:1
ვესტ ჰემი-უიგანი 2:0
ქარ-სტოკი 0:2
ნორვიჩი-რედინგი 2:1
სანდერლენდი-ევერტონი 1:0
სუონსი-საუთჰემპტონი 0:0
ფულემი-არსენალი 0:1

სატურნირო ცხრილი:

1.მანჩესტერი	33	26	3	4	75:35	81
2.სიტი	32	20	8	4	58:27	68
3.არსენალი	34	18	9	7	65:35	63
4.ჩელსი	32	18	7	7	64:33	61
5.ტოტენჰემი	32	17	7	8	55:40	58
6.ევერტონი	34	14	14	6	51:38	56
7.ლივერპული	33	13	11	9	59:40	50
8.ვესტ ბრომვიჩი	33	13	6	14	43:44	45
9.სუონსი	33	10	12	11	43:42	42
10.ვესტ ჰემი	34	11	9	14	40:47	42
11.ფულემი	34	10	10	14	44:52	40
12.საუთჰემპტონი	34	9	12	13	47:54	39
13.ნორვიჩი	34	8	14	12	33:53	38
14.სანდერლენდი	34	9	10	15	38:45	37
15.სტოკი	34	8	13	13	30:41	37
16.ნიუკასლი	34	10	7	17	43:60	37
17.ასტონ ვილა	33	8	10	15	36:60	34
18.უიგანი	33	8	7	18	37:60	31
19.ქარ	34	4	12	18	27:56	24
20.რედინგი	34	5	9	20	37:65	24

ინგლისი. ჩემპიონიობა

ჰადერსფილდი-მილუოლი 3:0
ბარნლი-კარდიფი 1:1
ბირმინგემი-ლიდსი 1:0
ბოლტონი-მიდლსბრო 2:1
ბრაიტონი-ბლექპული 6:1
დერბი-პიტერბრო 3:1
კრ.პალასი-ლესტერი 2:2
ნოტინგემი-ბარნსლი 0:0
უოტფორდი-ბლექბერნი 4:0
ჩარლტონი-ვულვზი 2:1
უენსდი-იფსვიჩი 1:1

ესპანეთი. პრიმეხა დივიზიონი

გრანადა-ვალიადოლიდი 1:1
რეალი-ბეტისი 3:1
ბარსელონა-ლევანტე 1:0
ვალენსია-მალაგა 5:1
ხეტაფე-ესპანიოლი 0:2

სატურნირო ცხრილი:

1.ბარსელონა	32	27	3	2	99:33	84
2.რეალი	32	22	5	5	83:30	71
3.ატლეტიკო	31	20	5	6	56:25	65
4.სოსიედადი	31	15	9	7	57:39	54
5.ვალენსია	32	15	8	9	52:46	53
6.მალაგა	32	14	8	10	45:37	50
7.ბეტისი	32	14	6	12	48:49	48
8.რაიო	32	14	3	15	41:52	45
9.ხეტაფე	32	12	8	12	39:48	44
10.ესპანიოლი	32	11	10	11	42:42	43
11.სევილია	31	12	6	13	48:45	42
12.ლევანტე	32	11	7	14	35:51	40
13.ვალიადოლიდი	32	10	9	13	41:45	39
14.ბილბაო	31	10	5	16	34:56	35
15.ოსასუნა	31	8	7	16	26:36	31
16.დეპორტივო	31	7	8	16	42:64	29
17.გრანადა	32	7	8	17	29:51	29
18.მალიორკა	32	7	7	18	34:64	28
19.სარაგოსა	31	7	6	18	28:49	27
20.სელტა	31	6	6	19	29:46	24

ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი

ხირონა-ლუგო 4:0
პონფერადინა-ხიხონი 1:0
ხერესი-ლას პალმასი 1:2
გვადალახარა-უესკა 1:0

იტალია. სერია ა

ჯენოა-ატალანტა 1:1
უდინეზე-ლაციო 1:0

სატურნირო ცხრილი:

1.იუვენტუსი	32	23	5	4	63:20	74
2.ნაპოლი	32	18	9	5	58:30	63
3.მილანი	32	17	8	7	56:35	59
4.ფიორენტინა	32	16	7	9	58:39	55
5.რომა	32	15	6	11	63:53	51
6.უდინეზე	33	13	12	8	45:39	51
7.ლაციო	33	15	6	12	40:40	51
8.ინტერი	32	15	5	12	50:45	50
9.კატანია	32	13	8	11	40:37	47
10.კალიარი	32	11	9	12	39:49	42
11.პარმა	32	10	9	13	39:42	39
12.ბოლონია	32	10	8	14	42:41	38
13.ატალანტა	33	11	7	15	35:48	38
14.სამპდორია	32	10	8	14	37:39	37
15.ტორინო	32	8	13	11	40:43	36
16.კიევო	32	10	6	16	32:48	36
17.სიენა	32	9	9	14	34:44	30
18.ჯენოა	33	6	11	16	33:51	29
19.პალერმო	32	5	13	14	29:45	28
20.პესკარა	32	6	3	22	24:66	21

შენიშვნა:

სამპდორიას დაკლებული აქვს 1 ქულა
ტორინოს დაკლებული აქვს 1 ქულა
ატალანტას დაკლებული აქვს 2 ქულა
სიენას დაკლებული აქვს 6 ქულა

იტალია. სერია ბ

ვიჩენცა-პრო ვერჩელი 3:1
გროსეტო-ლივორნო 0:3
კროტონე-რეჯინა 2:2
ნოვარა-მოდენა 0:1
სასუოლო-ბარი 2:1
სპეცია-ემპოლი 3:0
ტერნანა-ვარეზე 0:1
ჩეზენა-ლანჩანო 1:1
ჩიტადელა-იუვე სტაბია 1:0

გერმანია. ბუნდესლიგა

ჰამბურგი-ფორტუნა 2:1
დორტმუნდი-მაინცი 2:0
ლევერკუზენი-ჰოფენჰაიმი 5:0
აინტრახტი-შალკე 1:0
ჰანოვერი-ბაიერნი 1:6
ვერდერი-ვოლფსბურგი 0:3

სატურნირო ცხრილი:

1.ბაიერნი	30	26	3	1	89:14	81
2.დორტმუნდი	30	18	7	5	74:35	61
3.ლევერკუზენი	30	15	8	7	58:38	53
4.შალკე	30	13	7	10	50:46	46
5.ფრაიბურგი	29	12	9	8	39:34	45
6.აინტრახტი	30	13	6	11	43:42	45
7.გლადბახი	30	11	11	8	37:39	44
8.ჰამბურგი	30	13	5	12	36:46	44
9.მაინცი	30	10	9	11	36:36	39
10.ჰანოვერი	30	11	5	14	51:55	38
11.ნიურნბერგი	29	9	11	9	33:39	38
12.ვოლფსბურგი	30	9	10	11	38:45	37
13.შტუტგარტი	29	10	6	13	31:46	36
14.ვერდერი	30	8	8	14	45:59	32
15.ფორტუნა	30	7	9	14	36:47	30
16.აუგსბურგი	30	6	9	15	27:45	27
17.ჰოფენჰაიმი	30	6	6	18	35:59	24
18.ფიურტი	29	2	9	18	19:52	15

გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

კაიზერი-პადერბორნი 3:0
მიუნხენ 1860-ფრანკფურტი 1:2

საფრანგეთი. ლიგის თასი

ფინალი

სენტ ეტიენი-რენი 1:0

საფრანგეთი. 1 ლიგა

მარსელი-ბრესტი 1:0

სატურნირო ცხრილი:

1.პსჟ	32	20	7	5	57:20	67
2.მარსელი	33	18	7	8	37:32	61
3.ლიონი	33	17	8	8	54:35	59
4.სენტ ეტიენი	32	14	12	6	51:25	54
5.ნიცა	32	15	9	8	48:37	54
6.ლილი	32	14	11	7	48:31	53
7.მონპელიე	33	14	6	13	50:43	48
8.ლორიენი	32	12	11	9	52:51	47
9.ბორდო	32	11	13	8	33:28	46
10.რენი	32	12	6	14	43:47	42
11.ტულუზა	32	10	11	11	40:41	41
12.ბასტია	32	11	6	15	43:60	39
13.რეიმსი	32	9	10	13	31:37	37
14.ვალანსიენი	32	9	10	13	41:48	37
15.აიაჩო	32	8	13	11	33:41	35
16.ევიანი	32	8	10	14	38:46	34
17.სოშო	32	8	8	16	32:50	32
18.ნანსი	32	7	10	15	30:48	31
19.ბრესტი	33	8	5	20	29:51	29
20.ტრუა	32	4	13	15	36:55	25

შენიშვნა:

აიაჩოს დაკლებული აქვს 2 ქულა

საფრანგეთი. მე-2 ლიგა

ლანსი-ნიმი 1:2
ნანტი-ოსერი 1:1

ჰოლანდია. ეროვნული დივიზიონი

გრონინგემი-დენ ჰააგი 2:1
ტილბურგი-როდა 2:1
ერაკლესი-ვალვაიკი 4:0
ალკმაარი-პსვ 1:3

პორტუგალია. ა ლიგა

ფერეირა-რიუ ავე 2:1
მორეირენსე-პორტუ 0:3

ხუსეთი. პრემიერლიგა

ყუბანი-ლოკომოტივი 0:0
მორდოვია-ვოლგა 1:2
კრ.სოვეტოვი-ალანია 2:1

შოტლანდია. პრემიერლიგა

კილმანროკი-ჰარტსი 0:1
სტ.მირენი-დანდი 1:2

შვეიცარია. სუპერლიგა

ლოზანა-სტ.გალენი 1:3
ციურიხი-სერვეტი 4:0

ავსტრია. ბუნდესლიგა

ზალცბურგი-ვოლფსბერგერი 6:2
ნოიშტადი-ადმირა 3:0
ინსბრუკი-რიდი 2:0
შტურმი-მატერსბურგი 2:2

ბელგია. პროლიგა

ლოკერენი-სტანდარდი 4:1
ბევერენი-შარლეროა 0:0
გენტი-ლიერსი 3:0
მეხელენი-ლეუვენი 1:5
მონსი-კორტრაიკი 2:1
სერკლი-ბეერსხოტი 2:1

თურქეთი. სუპერლიგა

ორდუ-ქაშიმფაშა 0:2
ქარაბუქი-მერსინი 1:0
აკჰისარი-ბეშიქთაში 4:1

ჩეხეთი. გამბრინუსლიგა

ლიბერეეცი-ბრნო 2:0
ბანიკი-სპარტა 0:1

ბოლონეთი. ექსტრაკლასი

ლეგია-პოგონი 3:1

ლეგიას მეორე გოლი
ვლადიმერ დვალიშვილმა გაიტანა

იაგელონია-ვისლა 2:2
პოდბესკიუე-ბელხატუვი 1:1

უკრაინა. პრემიერლიგა

მეტალურგი(ზ)-კრივბასი 2:0
მეტალურგი(დ)-ჰოვერლა 2:1
ზორია-დინამო 0:5

დანია. სუპერლიგა

ორხუსი-ჰორსენსი 0:0

ნორვეგია. ტიპელიგა

ოდ გრელანდი-მიოლდე 1:1
ბრანი-ვიკინგი 2:0

ფინეთი. ვეიკაუსლიგა

ტპს-ვაასა 0:1

აშშ. მლს

ტორონტო-ჰიუსტონი 1:1
კოლორადო-სიეტლი 0:1
ნიუ იორკი-ნიუ ენგლანდი 4:1
დალასი-ვანკუვერი 2:0
ჩიკაგო-კოლამბუსი 1:0
სოლტ ლეიკი-ჩივასი 1:0
ლოს ანჯელესი-კანზასი 2:0

აჩგენტინა. პრიმეხა დივიზიონი

ოლ ბოისი-სან მარტინი 1:1
ქილმესი-ესტუდიანტესი 1:0

კალათბურთი

ნბა. პლეი ოფი

დენვერი-გოლდენ სტეიტი 97:95
ბრუკლინი-ჩიკაგო 106:89
კლიპერსი-მემფისი 112:91

ჩოგბურთი

ატპ. მონტე კარლო

ნადალი-ცონგა 6:3;7:6
ჯოკოვიჩი-ფონინი 6:2;6:1

ჭოკი

ნჰლ. ჩეგ�კიული სეზონი

კარლინა-ფილადელფია 3:5
მონრეალი-ვაშინგტონი 1:5
ოტავა-ტორონტო 1:4
ჩიკაგო-ფინიქსი ..... 2:3(ოტ)
ვანკუვერი-დეტროიტი ..... 1:1(1:0ბ)

მოამზადა მიხეილ ყორაყოლიანმა

ისტორიის მუზეუმში საიუბილეო გამოფენაა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

რცეში წარმოდგენილი ნამუშევრები დაათვალიეროს.

საქართველოს მხატვართა კავშირი არასამთავრობო საზოგადოებრივი ორგანიზაციაა. იგი მემკვიდრეა 1916 წელს დიმიტრი შევარდნაძის მიერ დაარსებული ქართველ ხელოვანთა საზოგადოებისა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა საქართველოში სამუზეუმო საქმისა და სამხატვრო ცხოვრების განვითარებას. საქართველოს მხატვართა კავშირის მიზანია ეროვნული ტრადიციების შენარჩუნება და დაცვა. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების, ხელოვნებათმცოდნეობის განვითარების ხელშეწყობა, ქართული ხელოვნების პოპულარიზაცია საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ. მხატვართა შემოქმედების, რეწვისა და ხალხურ ოსტატთა მხარდაჭერა. ზრუნვა კავშირის წევრთა სოციალური და მატერიალური პირობების გაუმჯობესებისათვის, ხელშეწყობა პროფესიული საავტორო უფლებების დაცვისათვის. საქართველოს მხატვართა კავშირში ჩამოყალიბებულია რეგიონალური განყოფილებები, მათ შორის, აჭარის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკების, ქუთაისის, თელავის, ფოთის, ზუგდიდის და შემოქმედებითი სექციები – ფერწერის, გრაფიკის, გამოყენებითი ხელოვნების, ქანდაკების, მონუმენტური ხელოვნების, კრიტიკისა და ხელოვნებათმცოდნეობის, კინოსა და თეატრალურ-დეკორატიული, კომისიები – ხალხური ოსტატების, ბავშვთა ესთეტიკური აღზრდის. კავშირი ხელმძღვანელობს საწარმოო საქმიანობას, აწყობს სამეცნიერო-შემოქმედებით კონფერენციებს, სიმპოზიუმებს, პლენერებს, რესპუბლიკურ და საერთაშორისო გამოფენებს, მონაწილეობს რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონკურსებში, ეწევა საგამომცემლო საქმიანობას, აწესებს პრემიებს, წარადგენს მხატვართა კავშირის წევრებს სახელმწიფო ჯილდოებზე.

80 წლის განმავლობაში მხატვართა კავშირმა არაერთი საერთაშორისო მნიშვნელობის გამოფენა მოაწყო, ამჯერად კი კავშირის წევრთა საუკეთესო ნამუშევრები გააერთიანა.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის თბილისის ისტორიის მუზეუმში ასევე გამოფენილია პოლონელი ბერის, სოფრონ ვილენტას ნამუშევრების გამოფენა სახელწოდებით ,,მართლმადიდებლობა – ობსკურას კამერით გადაღებული ფოტოები“.

– ბერი, რომელიც ფოტოგრაფიის ერთგული მიმდევარია, მართლმადიდებლურ სინამდვილეს და მის ისტორიას ,,ობსკურას კამერით“ აფიქსირებს. რეალობა, რომელსაც ბერი სოფრონი ხედავს, აღსავსეა გრძნობებითა და ემოციებით. კარგად შერჩეული განათება და შუქ-ჩრდილები ავტორის ნამუშევრებს დამატებით ხიბლს მატებს. ,,ობსკურას კამერა“ კი ავტორის მიერ აღქმულ ყველა საინტერესო შტრიხსა და დეტალს უცვლელად აცოცხლებს ფოტოებზე, – აღნიშნავს ეროვნული მუზეუმის წარმომადგენელი ანა ვერულაშვილი.

მისივე თქმით, პროექტის მიზანია წარმოადგინოს საინტერესო ფოტონამუშევრები, რომელა საერთო განწყობა და მხატვრული თავისებურებანი მართლმადიდებლობის სინამდვილის ინტერპრეტაციას გვთავაზობს. პროექტის ორგანიზატორები არიან პოლონეთის რესპუბლიკის საელჩო, ვარშავის მართლმადიდებლური მეტროპოლიის მუზეუმი და ხატწერის მუზეუმი. პოლონელი ბერის სოფრონ ვილენტას ნამუშევრების გამოფენა თბილისის ისტორიის მუზეუმში 28 აპრილამდე გაგრძელდება.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორიაში უკვე გაიმართა მკვლევართა სკანდინავიური კლუბის ერთ-ერთი წევრის ფრედ გოლდბერგის ლექცია სახელწოდებით: ,,შეცვალეს თუ არა ადამიანებმა კლიმატი?!“

– ფრედ გოლდერბეგი 1990 წლიდან მკვლევართა სკანდინავიური კლუბის წევრია. პოლარულმა მკვლევარმა და ისტორიკოსმა, რომელიც ერთთვიანი ექსპედიციის შემდეგ, ახლახანს დაბრუნდა ანტარქტიკიდან, საშუალება მისცა ქართულ აუდიტორიას დასწრებოდა მის ლექციას და მიეღო ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ზეგავლენის მოხდენა შუეძლია ადამიანებს კლიმატზე. ბატონი გოლდბერგი ლაზერული ფიზიკოსიც გახლავთ, ასევე მინიჭებული აქვს დოქტორის ხარისხი მეტალურგიაში. ოჯახური ტრაგედიის შემდეგ, მან გამოიგონა ახალი, ელექტრონული მართვის მოწმობა, რომელიც უკრძალავს მძღოლებს საჭის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვას. 1995 წელს ევროპულმა კომისიამ ამ ნოვატორული იდეის გამო მას სპეციალური პრიზი გადასცა. ფრედ გოლდბერგი შვედეთის მეფისგან მოგზაურთა კლუბის ვერცხლის მედლითაც არის დაჯილდოვებული. თავისი საინტერესო კვლევებისა და ანალიზების წყალობით, იგი პირველი საერთაშორისო კლიმატის სკეპტიკოსთა კონფერენციის ერთ-ერთი ორგანიზატორიც გახდა. საქართველოს ეროვნულმა მუზეუმმა საშუალება მისცა დაინტერესებულ პირებს დასწრებოდნენ ფრედ გოლდბერგის საჯარო ლექციას და მიეღოთ საინტერესო ინფორმაცია მსოფლიოში აღიარებული მკვლევარისგან, – აღნიშნა ანა ვერულაშვილმა.

მისივე თქმით, საქართველოს ეროვნული მუზეუმის თბილისის ისტორიის მუზეუმმა ისრაელის საელჩომ საქართველოში, ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს საზოგადოებრივი დიპლომატიის დეპარტამენტის ინიციატივით წარმოადგინა ფოტოგამოფენა „იერუსალიმის წარსული და აწმყო“.

– იერუსალიმი უნიკალურად კონტრასტული ქალაქია, რომელიც ეროვნებათა და კულტურათათა მრავალფეროვნებით, სიძველისა და სიახლის სინთეზით გამოირჩევა. ნახევარ მილიონიან ქალაქში მშვიდობიანად თანაარსებობენ სხვადასხვა სარწმუნოების წარმომადგენლები – ქრისტიანები, მუსულმანები და ებრაელები. ისრაელი თავისი უძველესი კულტურული ტრადიციებით, მთელი მსოფლიოსათვის მისაბაძ მაგალითს წარმოადგენს, ამიტომ ეს გამოფენაც არანაკლებად მნიშვნელოვანია, – აღნიშნა ეროვნული მუზეუმის წარმომადგენელმა.

ეროვნული მუზეუმის ინფორმაციით, ხელოვნებით დაინტერესებულ ზრდასრულ აუდიტორიას საქართველოს ეროვნული მუზეუმი სთავაზობს ლექციათა ციკლს „ნიუიორკული სკოლიდან პოპარტამდე“.

– თანამედროვე ხელოვნების ისტორია არ არის უბრალოდ ჰერმეტიკულ სტილთა განვითარება, ის ხელოვნების შექმნაში ინტელექტუალური, სოციალური და ისტორიული ფაქტორების შეტანილი წვლილის კომპლექსური მატრიცაა. სწორედ ამ მიდგომას ეფუძნება ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის ნინო გედევანიშვილის ლექციების კურსი, რომელიც მოიცავს XX საუკუნის ხელოვნების ორ მხატვრულ

მიმდინარეობას – ამერიკულ ექსპრესიონიზმს და პოპ არტს. რატომ იყო აბსტრაქტული ექსპრესიონიზმი წმინდა ამერიკული ფენომენი? რა იყო ამ მიმდინარეობის ძირითადი იდეა და როგორ ინტერპრეტირდა ის პოლოკის, როტკოს, დე კუნინგის და სხვა მხატვრების შემოქმედებაში? რა კავშირი ჰქონდა პოპ არტს 1960-იანი წლების ე.წ. კულტურულ რევოლუციასთან? როგორ განვითარდა მოვლენები და რა კავშირი ჰქონდა ამ პერიოდის ხელოვნებას პოლიტიკასთან – ლექციებზე ეს საკითხები ინტერაქტიულ ფორმატში განიხილება მრავალფეროვან ვიზუალური ინფორმაციის თანხლებით, – განმარტა ანა ვერულაშვილმა.

ლექციები 23 მარტს დაიწყო და 27 აპრილს დასრულდება. ლექციების განრიგი კი ასეთია: მოდერნიზმის ბოლო გაბრწყინება, რევოლუცია მხატვრობაში; მოქმედების ფერწერა – ჯექსონ პოლოკი და მისი მეტაფიზიკა; ფერის მინდვრების მხატვრობა – რეაციის პროცესიდან რელიგიურ გამოცდილებამდე, მარკ როტკო და ბარნეტ ნიუმანი; ყოველდღიური მოხმარების საგნების ტრანსფორმირება, პოპ-არტის დაბადება; ხელოვნება და პოლიტიკა; პოპ-არტი და მისი მემკვიდრეობა. როგორც ანა ვერაღლუშვილმა განაცხადა, ლექციაზე დასწრება შესაძლებელია წინასწარი რეგისტრაციის საფუძველზე, ლექციაზე დასწრების ღირებულება 2 ლარს შეადგენს.

23 აპრილიდან კი საქართველოს ეროვნული მუზეუმი ახალ აქციას იწყებს. ეროვნული მუზეუმის გაერთიანებაში შემავალ მუზეუმებში მოსულ ყველა სკოლის მოსწავლეს გადაეცემა უფასო ბილეთი განმეორებითი ვიზიტისათვის.

– აღნიშნული ბილეთით მოსწავლეს საშუალება ეძლევა ხელმეორედ ესტუმროს მუზეუმს და მისი წარდგენისას უფასოდ დაათვალიეროს მიმდინარე გამოფენები. საქართველოს ეროვნული მუზეუმის ამოცანაა, აღნიშნული აქციით, სკოლის მოსწავლეებს მიეცეთ სტიმული უფრო ხშირად ეწვიონ ჩვენს ექსპოზიციებს. ბილეთი ერთჯერადად იმოქმედებს 2013 წლის 1 ივნისიდან 1 ოქტომბრამდე საქართველოს ეროვნული მუზეუმის გაერთიანებაში შემავალ მუზეუმებში: სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს მუზეუმში, ეროვნული გალერეაში, გიორგი ჩიტაიას სახელობის ეთნოგრაფიული მუზეუმში ღიაცის ქვეშ და ელენე ახვლედიანის სახლ-მუზეუმში.

დიდი ამბების ჭური

დასაწყისი მე-9 გვერდზე

მეორე ნახევარში კი თავი შიდაქართლელთა ბრაზილიელმა ლეგიონერმა ნათან ჟუნიორმა გამოიჩინა, რომელმაც 55-ე და 78-ე წუთებზე ორჯერ დალაშქრა როინ კვასხვაძის კარი და დუბლი შეასრულა. სტუმართა გამარჯვება დიდი ანგარიშით 3:0.

მატჩის შემდეგ:

ვალდას ივანაუსკასი:

– ჩემპიონატს ინტრიგა რომ შეენარჩუნებინა, ეს თამაში აუცილებლად უნდა მოგვეგო და, საბედნიეროდ, მნიშვნელოვანი სამი ქულა მოვიპოვეთ. მოგებაცაა და მოგებაც, ჩემმა ფეხბურთელებმა შესანიშნავი თამაში აჩვენეს და მეტოქეს ლამაზ სტილში აჯობეს.

კახა კაჭარავა:

– მეტოქემ გვაჯობა და დამსახურებულად გაიმარჯვა... გულშემატკივართა უკმაყოფილება გასაგებია, მაგრამ ჩვენი მდგომარეობაც უნდა გაითვალისწინონ, როცა გუნდში 12 ახალი ფეხბურთელია, მათი შეთამაშება დროს მოითხოვს. წლეულს ჩვენი მიზანი ზედა ექვსეულში მოხვედრა იყო და ეს შევძელით, გუნდის შენება რთული პროცესია და ასეთ ჩავარდნებს ველოდით კიდეც. სამომავლოდ, გუნდში ბევრი რამ შეიცვლება.

ჩიხურა – ტორპედო 1:1

ივანწმინდა. ცენტრალური

0:1 ბერიაშვილი (65), 1:1 კვასხვაძე (73)

ჩიხურა: სომხიშვილი, კირკიტაძე (რ.გოცირიძე 68), ნ.კვასხვაძე, დიღმელაშვილი, ლომაშვილი (ქიმაძე 89), გ.რეხვიაშვილი, ჩიკვაიძე (დ.ბოლქვაძე 71), შ.კაშია, ოდიკაძე, დეკანოიძე საჯაია

ტორპედო: მიგინეიშვილი, ზ.ჭელიძე, გ.გურული, რიგვავა, ტაბატაძე, გიგაური, გ.დათუნაიშვილი, გ.დოლიძე (საბანაძე 54), ტუღუში (კუხიანიძე 69), ე.გრიგალაშვილი (ფანცულაია 80), ბერიაშვილი

ცხრილში მეზობლად მყოფი იმერლების შერკინება ფრედ დასრულდა. ანგარიშის გახსნა გეგუჩაძის შეგირდებმა შეძლეს, მაგრამ ათიოდე წუთში ნიკო კვასხვაძემ შეძლო გათანაბრება. „ჩიხურას“ 51 ქულა აქვს და მეოთხე ადგილზეა, უშუალო კონკურენტ „ტორპედოს“ ისევ 4 ქულით ჩამორჩება.

სატურნირო ცხრილი

1-6 ადგილებისთვის:

1.დინამო (თბ)	28	20	6	2	73:20	66
2.დილა	28	20	2	6	50:19	62
3.ტორპედო	28	16	7	5	47:21	55
4.ჩიხურა	28	15	6	7	41:28	51
5.ზესტაფონი	28	11	6	11	31:27	39
6.ზუგდიდი	28	10	6	12	28:42	36

დინამო (თბ) – მერანი 6:0

ქობულეთი. ჩელე არენა

1:0 კოშკაძე (12), 2:0 გურული (14), 3:0, 4:0 ჩიმაკაძე (30, 65), 5:0 ქორიძე (72), 6:0 მუჯირი (89)

დინამო: პიცანი, ფარტენაძე, ჟვანია, ლობჟანიძე, გაბუნია (ქორიძე 71), კიკნაველიძე, კოშკაძე, მუჯირი, მახარაძე, გურული (ბერიძე 77), ჩიმაკაძე (აბუსერიძე 77)

მერანი: შეროზია, გეგეჭკორი, იობაშვილი, ღონღაძე, მელიავა (ზაქრაძე 26), დიდავა, ბუკია, ფონიავა, ხუბუა, კუჭუხიძე (ტორონჯაძე 55), ს.ლომია

ერთ-ერთი ყველაზე მოულოდნელი შედეგი უმაღლეს ლიგაში „ჩელე არენაზე“ დაფიქსირდა. ბათუმმა ქვედა ექვსეულის მეორეადგილოსან „მერანს“ უმასპინძლა და დიდი ანგარიშით 6:0 დაამარცხა.

ამ მოგებით ბათუმელებმა ცხრილში მესამე ადგილზე აინაცვლეს და უშუალო კონკურენტ „მერანთან“ მხოლოდ ერთქულიანი ჩამორჩენა აქვთ.

სიონი – ვიტ ჯორჯია 0:3

თბილისი. ტექნიკური ცენტრი ბასა

0:1 ჯავაშვილი (7), 0:2 ადამაძე (45), 0:3 ვასაძე (45)

სიონი: ბობღიაშვილი, ქემოკლიძე, სვანიძე, უგრეხელიძე, ელიავა, ორბელაძე (ბიბილეიშვილი 74), საპირი, ჩივაძე (ცხადაია 61), კლიმიაშვილი (ლექვთაძე 24), მიკუჩაძე, ახალაია

ვიტ ჯორჯია: დაუშვილი, კასრაძე, ადამაძე, მჭედლიშვილი, უბილავა, ჯანელიძე (დავლაშელიძე 84), ვასაძე, გურეშიძე, კორიფაძე, ჯავაშვილი (სოფრომაძე 75), კუხალეიშვილი (ლობჯანიძე 71)

„ვიტ ჯორჯიამ“ ნავსი გატეხა და მეორე წრეში წაგებების სერია შეწყვიტა. ვიტელებმა უმაღლეს ლიგაში დარჩენის ერთ-ერთ რეალურ კანდიდატს „ბასაზე“ დიდი ანგარიშით სძლიეს. სტუმრებმა საქმე პირველივე ნახევარში მოამთავრეს, მეშვიდე წუთზე ჯავაშვილმა შეძლო სტუმრების დაწინაურება, ხოლო პირველი ტაიმის მიწურულს ერთმანეთის მიყოლებით კიდევ ორი გოლი გაიტანეს და თამაშის შედეგიც დაფიქსირდა 0:3.

კოლხეთი – მეტალურგი 0:0

ფოთი. ცენტრალური

ეს მატჩი სატურნირო თვალსაზრისით არაფერს წყვეტდა, „კოლხეთი“ უკვე შეგუებულია უმაღლესი ლიგის დატოვებას, „მეტალურგი“ კი პირველ ადგილზეა და უმაღლეს ლიგაში დარჩენა გარანტირებული აქვს.

ფოთელებმა დაარსებიდან საუკუნე კი შეასრულეს უმაღლეს ლიგაში, მაგრამ ამ საიუბილეო თარიღზე უმაღლეს ლიგასთან დამშვიდობება უწევთ.

სატურნირო ცხრილი

7-12 ადგილებისთვის:

7.მეტალურგი	28	12	7	9	27:29	43
8.მერანი	28	8	3	17	27:48	27
9.დინამო (ბთ)	28	7	5	16	33:49	26
10.ვიტ ჯორჯია	28	6	8	14	20:38	26
11.სიონი	28	6	7	15	20:45	25
12.კოლხეთი	28	2	7	19	15:46	13

ბომბარდირები: ჩისკო (დინამო თბ) – 21 ბურთი; ჯაბა დვალი (დინამო თბ) – 17; საბა ლომია (მერანი) – 16.

სჯანვოხდი



1. ნაბიჯი ბალეტში; 2. კარელია-ფინეთის ეპოსი; 3. ... მიკკეკიჩი; 4. სპილენძის, ნიკელის და თუთიის შენადნობი; 5. ჭამის სურვილი; 6. შინაური ცხოველი; 7. ... ტაილერი; 8. საფლობი ტალახი; 9. ... ესაკია; 10. ქალთა ქართული ცეკვა; 11. ... კაპონე; 12. თხელი ბადურა ქსოვილი; 13. ერთგვარი პატარა ჩიტი; 14. ჩინელთა ბელადი; 15. ფრანგული საწებლიანი საჭმელი; 16. წონის ერთეული; 17. ცხენების ჯოგი; 18. ფირნიში; 19. ყაზახეთის ფული; 20. ... სტრიპი; 21. პიტ ...; 22. გაოცების გამომხატველი შეძახილი; 23. ქიმიური ელემენტი; 24. იტალიის პრეზიდენტის სასახლე; 25. ტყის მსხალი; 26. იაპონური პოეზიის ჟანრი; 27. მდინარე სამხრეთ კავკასიაში; 28. გერმანელი მწერალი (მე-18 ს.ს); 29. გასეირნება ბავშვის ენაზე; 30. ბერძნული ანბანის ასო; 31. აზერბაიჯანის დედაქალაქი; 32. გრამატიკის ნაწილი; 33. ქალის ან ბავშვის დაბალი ხმა; 34. „თეთრი ...“ კ/ფ; 35. კათოლიკური წირვა; 36. სამელექტროდიანი ელექტრონმილაკი.

წინა ნომერში გამოქვეყნებული ჯოსვოხდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ავტობუსი; 2. მონარქი; 3. სვანი; 4. ბარცინო; 5. კაქტუსი; 10. სენსაცია; 11. სოციოლოგია; 12. ესენცია; 15. მარგალიტი; 16. ბრიუგე; 17. ვეროკიო; 20. მაცნე.

თარაზულად: 6. ღვინობისთვე; 7. ფარვანა; 8. ეპილოგი; 9. მუთაქა; 13. კინო; 14. ბონუსი; 18. ინტერნეტი; 19. ქერჩი; 21. გადია; 22. ბელგია; 23. ბობოყვათი; 24. კლიასერი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ბაიკერი; 2. დეფიციტი; 3. ყაყაჩო; 4. წინდა; 5. რენეგატი; 8. მონიუშკო; 12. მუზა; 13. სინაგოგა; 14. ოკენცე; 16. მელიავა; 18. სარმა; 20. ტახო.

თარაზულად: 6. შანსონიე; 7. ახალციხე; 8. მარინა; 9. ზესხო; 10. დიაგნოზი; 11. პლომბირი; 15. პინაკოთეკა; 17. საირმე; 19. ცურტაველი; 21. ბოკვერი; 22. ჩატურანგა; 23. ჰოოპუნა.

ჩინეთში მიწისძვრის შედეგად გარდაცვლილთა რაოდენობა 200-მდე გაიზარდა

ჩინეთის სამხრეთ-დასავლეთით, სიჩუანის პროვინციაში მომხდარი ძლიერი მიწისძვრის შედეგად გარდაცვლილთა რაოდენობა 200-მდე გაიზარდა. ამის შესახებ უცხოური მედია წერს.

მათივე ინფორმაციით, დაშავებულია 11 ათასი ადამიანი, ხოლო 24 ამ დრომდე დაკარგულად ითვლება. ძლიერმა მიწისძვრამ, საბოლოო ჯამში, 1,5 მილიონი ადამიანი დააზარალა.

სტიქიური უბედურების ზონაში მაშველებისა და სამედიცინო დახმარების ბრიგადების რაოდენობა იზრდება, ზოგიერთ დასახლებულ პუნქტთან კი მიახლოება ჯერ კიდევ ვერ ხერხდება.

პირველი მიწისქვეშა ბიძგი სიჩუანის პროვინციაში გუშინ, დილის საათებში დაფიქსირდა და ბიძგების სიმძლავრემ 7 ბალი შეადგინა. ამას რამდენიმე ათეული ავთერშოკი მოჰყვა.

სამაშველო სამუშაოებში 10 000-მდე მაშველი, სამხედრო და ექიმია ჩართული. მაშველებმა დედა-შვილიც გადაარჩინეს. მათ ნანგრევებში ათ საათზე მეტი ხანი დაჰყვეს.

ჩვილი ამჟამად ექიმების ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება.

მიწისძვრის რაიონში ქვეყნის პრემიერი ლი კეციანი გაეგზავრა. სიჩუანის პროვინცია სეისმურად აქტიურია. 2008 წელს მომხდარმა მიწისძვრამ აქ დაახლოებით 87 ათასი ადამიანი შეიწირა.

4,2 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა რუმინეთში. სტიქიის ეპიცენტრი ვრანჩის რაიონში, 119 კილომეტრის სიღრმეზე დაფიქსირდა. დაშავებულთა შესახებ ინფორმაცია ჯერჯერობით არ ვრცელდება. მიწისქვეშა ბიძგები ქალაქ გალაცში, ფოკშანსა და ბუზუშიც იგრძნობოდა.

ვრანჩის მთიანი მასივი სეისმურად აქტიურ ზონად ითვლება. აქ სხვადასხვა სიმძლავრის მიწისძვრა პერიოდულად ფიქსირდება.

ყველაზე ძლიერი მიწისძვრა რუმინეთში 1977 წლის 4 მარტს მოხდა, როდესაც მიწისქვეშა ბიძგების სიმძლავრემ 7 მაგნიტუდას გადააჭარბა.

6,1 მაგნიტუდის სიმძლავრის მიწისძვრა მოხდა ასევე წყნარ ოკეანეში, ტოკიოს სამხრეთით, 640 კილომეტრის დაშორებით.

მიწისქვეშა ბიძგების ეპიცენტრი იძუს კუნძულებთან ახლოს დაფიქსირდა. დაღუპულთა და დაშავებულთა შესახებ ინფორმაცია ჯერჯერობით უცნობია.

ამერიკელი და იაპონელი სეისმოლოგების განცხადებით, მიწისძვრის გამო ცუნამის საშიშროება არ დგას.

საფრანგეთის პრეზიდენტი მოსახლეობაში რეიტინგს კარგავს

საფრანგეთის პრეზიდენტ ფრანსუა ოლანდის პოპულარობა რეკორდულ მაჩვენებლამდე დაეცა. უცხოური მედიასაშუალებების ცნობით, საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრის ინსტიტუტმა გამოკითხვების შედეგები გამოაქვეყნა.

საზოგადოებრივი აზრის თანახმად, ფრანსუა ოლანდის მოღვაწეობით ქვეყნის მოსახლეობის მხოლოდ 25 პროცენტია კმაყოფილი, მაშინ როდესაც გამოკითხულთა 74 პროცენტმა განაცხადა, რომ უკმაყოფილოა ან ძალიან უკმაყოფილოა მოქმედი პრეზიდენტით.

ფრანსუა ოლანდი 2012 წლის 6 მაისის საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის შედეგების საფუძველზე ქვეყნის პრეზიდენტია. სოციალისტური პარტიის პირველი მდივანი 1997-2008 წლებში. საფრანგეთის ეროვნული ასამბლეის დეპუტატი (1988-1993 და 1997 წლიდან), ქალაქ ტიულის მერი (2001 – 2008 წლებში). კორეზის დეპარტამენტის გენერალური საბჭოს პრეზიდენტი 2008 წლიდან.

საფრანგეთის 2012 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პირველ ტურში ოლანდმა ხმების 28,6% მიიღო, მოქმედმა პრეზიდენტმა ნიკოლა სარკოზიმ კი – 27,1%. 6 მაისს გამართულ მეორე ტურში კი დაამარცხა საფრანგეთის მოქმედი პრეზიდენტი.

გამოძიება ბოსტონის ტერაქტში ეჭვმიტანილი ძმების დოკუ უმაროვთან შესაძლო კავშირს ამოწმებს



ამერიკელი გამომძიებლები ბოსტონის მარათონის ტერაქტში ეჭვმიტანილი ძმების ცარნაევების „კავკასიის ემირ“ დოკუ უმაროვთან შესაძლო კავშირს ამოწმებენ. როგორც რუსული მედია წერს, აშშ-ის ძალოვანი სტრუქტურების წარმომადგენლების შეფასებით, დოკუ უმაროვი მსოფლიოს 10 ყველაზე საშიში კრიმინალური დაჯგუფების მეთაურების სიაში შედის.

ამერიკული გამოძიების მონაცემებით, ბოსტონის ტერაქტში ეჭვმიტანილი უფროსი ძმა, ტამერლან ცარნაევი, 2012 წელს გაემგზავრა რუსეთში და ამ პერიოდში რამდენიმე დღით გაჩერდა დაღესტანსა და ჩეჩნეთში.

გარდა ამისა, იუთუბზე, ტამერლან ცარნაევის გვერდზე, აღმოაჩინეს რამდენიმე ვიდეორგოლი, სადაც დაღესტანი „ვილაეთად“ არის მოხსენიებული. სწორედ ასე მოიხსენიებენ „კავკასიის ემირატის“ წევრები ჩრდილოკავკასიურ რესპუბლიკებს.

ბოსტონის პოლიციის ინფორმაციით, ჩეჩენი წარმოშობის ძმები ბოსტონის მარათონის საფინიშო ხაზზე მომხდარი ტერაქტის განხორციელებაში არიან ეჭვმიტანილნი.

15 აპრილს მომხდარი ტერაქტის დროს 3 ადამიანი დაიღუპა, 176 კი დაშავდა. პოლიციამ 15-საათიანი მასშტაბური ოპერაცია ჩაატარა, რომლის დროსაც ლიკვიდირებულია უფროსი ძმა, ტამერლან ცარნაევი. მოგვიანებით მისი უმცროსი ძმა, 19 წლის ჯოხარ ცარნაევი დააკავეს. პოლიციამ ის უოთერთაუნში, ერთერთ ეზოში ნავში დამალული სახლის პატრონმა აღმოაჩინა, რომელმაც პოლიცია გამოიძახა. ჯოხარ ცარნაევმა პოლიციას ცეცხლი გაუხსნა, თუმცა მისი დაკავება მაინც მოხერხდა. დაკავების შემდეგ ის, მრავლობითი ჭრილობებით, საავადმყოფოში მოათავსეს.

ჯოხარ ცარნაევს ყელის არეში სერიოზული ჭრილობა აქვს მიყენებული. ამის შესახებ ინფორმაციას სი-ენ-ენი ავრცელებს.

ტელეკომპანიის ინფორმაციით, შესაძლოა, ცარნაევმა ლაპარაკი ვერც კი შეძლოს.

პოლიციას ამ დრომდე არ გაუკეთებია კომენტარი ეჭვმიტანილის ჯანმრთელობის მდგომარეობის სიმძიმის შესახებ.

„მისი მდგომარეობა სერიოზული, მაგრამ სტაბილურია“, – განაცხადა მასაჩუსეტსის შტატის გუბერნატორმა დივალ პატრიკმა.

მისივე თქმით, ცარნაევს ამ დრომდე არ შეუძლია ურთიერთობა სპეცსამსახურების წარმომადგენლებთან.

„ვიმედოვნებ, რომ ეჭვმიტანილი გადარჩება, რადგანაც ჩვენ მასთან უამრავი კითხვა გვაქვს, რომლებიც პასუხებს მოითხოვს“, – განაცხადა გუბერნატორმა.

აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ აფეთქებების შემდეგ განაცხადა, რომ გამოძიებამ უნდა დაადგინოს, თუ რამ აიძულა ძმები ცარნაევები, რომლებიც აშშ-ში გაიზარდნენ, ძალადობის გზას დასდგომოდნენ და ჰყავდათ თუ არა მათ თანამზრახველები.

აშშ-ის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურმა უკვე აღიარა, რომ 2011 წელს მისმა აგენტებმა უკვე დაკითხეს ცარნაევი დაუსახელებელი სახელმწიფოს თხოვნით. „ბი-ბი-სი“ ვარაუდობს, რომ ეს სახელმწიფო რუსეთი იყო.

ცარნაევები აშშ-ში უკვე 10 წელია ცხოვრობენ.

ფედერალური უსაფრთხოების სამსახურმა ეჭვმიტანილის ელექტრონული ფოსტა „გახსნა“, თუმცა იქ ვერაფერი საეჭვო ვერ აღმოაჩინეს, რაც ჯოხარის ექსტრემისტებთან კავშირს დაადასტურებდა.

ბარაკ ობამასა და ვლადიმერ პუტინს შორის გამართული სატელეფონო საუბრის დროს აღინიშნა, რომ ბოსტონის აფეთქებების საქმეში აშშ-სა და რუსეთის სპეცსამსახურების თანამშრომლობა მნიშვნელოვანია.

სერბეთმა და კოსოვომ შეთანხმებას მიაღწიეს

სერბეთმა და კოსოვომ ევროკავშირის შუამავლობით ურთიერთობების ნორმალიზების შესახებ შეთანხმებას მიაღწიეს.

კოსოვომ დამოუკიდებლობა 2008 წელს ცალმხრივად გამოაცხადა. მრავალმა ქვეყანამ აღიარა კიდეც მისი დამოუკიდებლობა, მაგრამ სერბეთი დღემდე ამის აღიარებაზე უარს აცხადებს. სერბეთის ევროკავშირში გაწევრიანების პირობა კი ის იყო, რომ ბელგრადმა ბალკანეთის ყველა ქვეყანასთან ნორმალური ურთიერთობა უნდა დაამყაროს.

ამის სანაცვლოდ, კოსოვოს ხელისუფლებამ შესაძლოა აღიაროს სერბული მოსახლეობის ავტონომია კოსოვო-მიტროვიცკის ოლქში. ახლანდელი შეთანხმება დაძაბული მოლაპარაკებების შედეგად იქნა მიღწეული, რომელიც ბოლო თვეების განმავლობაში სერბეთის პრემიერ-მინისტრ ივიცა დაკიჩსა და კოსოვოს პრემიერ-მინისტრ ხაშიმ ტაჩის შორის ბრიუსელში მიმდინარეობდა.

დამკვირვებლები აღნიშნავენ, რომ სერბეთი, ალბათ, თანხმობას განაცხადებს პრიშტინას უფლებაზე კოსოვოს ჩრდილოეთ ნაწილის მმართველობაზე, სადაც სერბები მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ. ამის სანაცვლოდ კოსოვომ თანხმობა განაცხადა სერბებისათვის ავტონომიის მინიჭებაზე. ეს შეთანხმება გზას უხსნის მოლაპარაკებების დაწყებას სერბეთის ევროკავშირში გაწევრიანების შესახებ. „მოლაპარაკებები დასრულებულია. შეთანხმების ტექსტი ვიზირებულია ორივე პრემიერ-მინისტრის მიერ“, – განაცხადა ევროკავშირის უმაღლესმა წარმომადგენელმა ქეტრინ ეშტონმა, რომელიც მოლაპარაკებებზე შუამავლის როლს ასრულებდა. ცნობისთვის, 1990 წლის დასაწყისში დაიწყო ე.წ. იუგოსლავიური ომები, რაც საბოლოოდ მისი დაშლით დასრულდა. სოციალისტების სერბეთის ხელისუფლების სათავეში ყოფნის ხანგრძლივი პერიოდი დასრულდა, 1999 წელს ნატო-ს მიერ სერბული ქალაქების დაბომბვისა და გაეროს სამშვიდობო ძალების კოსოვოში შესვლის შემდეგ. 2006 წელს ჩატარებული რეფერენდუმის შედეგად, არსებობა შეწყვიტა სერბეთისა და ჩერნოგორიის სახელმწიფოების კავშირმა და სერბეთმა დაკარგა ზღვაში გასასვლელი.

აშშ სირიის ოპოზიციას დახმარებას უორმაგებს, ამბოხებულები სამხედრო ჩარევას ითხოვენ

აშშ სირიის ოპოზიციას დახმარებას უორმაგებს, ამბოხებულები კი სამხედრო დახმარებასა და ბაშარ ასადის ჯარების ობიექტების დაბომბვას ითხოვენ.

აშშ-ის სახელმწიფო მდივან ჯონ კერის განცხადებით, აშშ-ის ხელისუფლება სირიელ ამბოხებულებს 123 მილიონი დოლარით დაეხმარება. შესაბამისად, აშშ-ის დახმარება ბაშარ ასადის რეჟიმის მოწინააღმდეგეთათვის ორჯერ გაიზრდება. ამის შესახებ ჯონ კერიმ სტამბოლში სირიის მეგობართა ჯგუფის შეხვედრის ფარგლებში განაცხადა.

სირიის ოპოზიციურმა კოალიციამ და რევოლუციურმა ძალებმა სირიის მეგობართა ჯგუფს მოუწოდეს, იერიში მიიტანონ იმ ობიექტებზე, სადაც სამთავრობო შეიარაღებული ძალები არიან გამაგრებულნი, რომლებიც პრეზიდენტ ბაშარ ასადს ერთგულებას უცხადებენ.

გავრცელებულ განცხადებაში ისინი მოუწოდებენ მეგობართა ჯგუფს, მიიღონ კონკრეტული გადაწყვეტილებები, რათა ასადმა ვერ შეძლოს ქიმიური იარაღის გამოყენება. ასევე საუბარია ბალისტიკური რაკეტებით დარტყმის მიყენებისა და უპილოტო მფრინავი საშუალებების გამოყენების საფრთხის შემცირებაზე.

სირიის ოპოზიცია ასევე მოითხოვს სირიის სამთავრობო თვითმფრინავებისთვის დახურული საფრენო ზონის შექმნას ჩრდილოეთ და სამხრეთ საზღვრებზე.

შეგახსენებთ, რომ გაერო სირიის კონფლიქტს ჰუმანიტარულ კატასტროფად აფასებს.

სირიელი ოჯახები საკუთარ სახლებში იწვიან, ბავშვებს აწამებენ და ხოცავენ, სირიაში ორი წლის განმავლობაში მიმდინარე კონფლიქტი ჰუმანიტარული კატასტროფის მიზეზი გახდა. აღნიშნულის შესახებ გაერომ განაცხადა.

22-მილიონიანი მოსახლეობის მეოთხედი ქვეყნის შიგნით გადაადგილდა, 1,3 მილიონმა კაცმა კი ქვეყნის ფარგლები დატოვა. ლტოლვილთა საქმეებში გაეროს უმაღლესმა კომისარმა ანტონიო გუტერესმა და გაეროს გენერალური მდივნის მოადგილემ ჰუმანიტარულ საკითხებში ვალერი ამოსმა აღნიშნულის შესახებ გაეროს უშიშროების საბჭოს მოახსენეს.

„სირიაში არსებული ვითარება ჰუმანიტარული კატასტროფაა. მე პასუხი ვერ გავეცი იმ სირიელების კითხვას, რომლებმაც მკითხეს, რატომ მიატოვა მსოფლიომ ისინი“, – აღნიშნა ამოსმა.

შეგახსენებთ, რომ გაეროს უშიშროების საბჭოში ასადის მთავრობის წინააღმდეგ რეზოლუციის მიღებას რუსეთი და ჩინეთი ეწინააღმდეგებიან.

დედოფალი ელისაბედ მეორე 87 წლის გახდა

21 აპრილს დედოფალი ელისაბედ მეორე უინძორი 87 წლის გახდა. ელისაბედ მეორე 1926 წლის 21 აპრილს დაიბადა.

იგი დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებული სამეფოს ტახტზე 1952 წლის 6 თებერვალს ავიდა, ხოლო გვირგვინი 1953 წლის 2 ივნისს დაიდგა.

ელისაბედი, რომელმაც მამამისი, ჯორჯ მეოთხე შეცვალა ტახტზე, ბრიტანეთის ისტორიაში ყველაზე დიდხანს არის ტახტზე დედოფალ ვიქტორიას შემდეგ, რომელმაც 63 წელს იმეფა. ელისაბედ მეორის მმართველობის პერიოდში 12 პრემიერ-მინისტრი და კენტერბერის 6 არქიეპისკოპოსი შეიცვალა. მას მხოლოდ დიდ ბრიტანეთში 25 500 ოფიციალურ ღონისძიებაში აქვს მონაწილეობა მიღებული, არის 400 000 ჯილდოს მფლობელი და 3,5 მლნ წერილის ადრესატი.

მისი სამეფო უდიდებულესობა დედოფალი ელისაბედ მეორე უინძორი ასევე თანამეგობრობის 15 სახელმწიფოს მეთაური (ავსტრალია, ანტიგუა და ბარბუდა, ბაჰამები, ბარბადოსი, ბელიზი, გრენადა, კანადა, ახალი ზელანდია, პაპუა-ახალი გვინეა, სენტ-ვინსენტი და გრენადინები, სენტ-კიტსი და ნევისი, სენტ-ლუსია, სოლომონის კუნძულები, ტუვალუ, იამაიკა), ანგლიკანური ეკლესიის მეთაური, შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი და კუნძულ მენის ლორდია.

იტალიის პრეზიდენტი, ჯორჯო ნაპოლიტანო, მეორე ვადით აირჩიეს

იტალიის პრეზიდენტი, ჯორჯო ნაპოლიტანო, მეორე ვადით აირჩიეს. მცირე ხნით ადრე ის არჩევნებში მონაწილეობას იმის გამო დათანხმდა, რომ პარლამენტმა, ხუთი მცდელობის მიუხედავად, მისი მემკვიდრის არჩევა ვერ შეძლო. ამის შემდეგ იტალიის ძირითადი პოლიტიკური ძალების წარმომადგენლები პრეზიდენტთან თხოვნით მივიდნენ, რომ კვლავ დაეკავებინა თანამდებობა, რათა ქვეყანაში პოლიტიკური კრიზისი არ შექმნილიყო. ამას გარდა, იტალიელი მემარცხენეების ლიდერმა პიერ ლუიჯი ბერსანიმ განაცხადა, რომ დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარის პოსტიდან მაშინვე წავა, როგორც კი პარლამენტი ახალ პრეზიდენტს აირჩევს. ბარსანიმ, რომელიც პრემიერის პოსტზე წარსულში ყველაზე რეალურ კანდიდატად განიხილებოდა, ასეთი განცხადება მას მერე გააკეთა, რაც პარლამენტმა მისი კანდიდატურა პრეზიდენტის პოსტზე ორჯერ უარყო.

აღსანიშნავია, რომ ნაპოლიტანოს მეორედ არჩევა იტალიის ისტორიაში უპრეცედენტოა. ეს პირველი შემთხვევაა ქვეყანაში, როცა პრეზიდენტი მეორე ვადით აირჩიეს.

ჯორჯო ნაპოლიტანო (დ. 29 ივნისი, 1925, ნეაპოლი, იტალია) 2006 წლის 15 მაისიდან იტალიის პრეზიდენტია. იგი იტალიის კომუნისტური პარტიის ყოფილი წევრია.

მოამზადა გერა მამულაშვილმა

TV პროგრამა

ოთხშაბათი
22 აპრილი

06.30 დ/ფ „მცენარეთა საიდუმლოებანი“ 07.30 „ჩვენი დილა“(პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.30 „მოამბე“ 11.00 „სამოთხის ვაშლები“(პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი“— მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე“(პ/ე) 15.00 დ/ფ „როსელა“ 17.00 დ/ფ „ამერიკის საიდუმლო“ 18.00 „პეპე და მეგობრები“ 19.05 ტ/სერ „დაჭერწინდეთ“21.00 ტ/სერ „როსელა“22.00 „დიალოგი დავით პაიჭაძესთან“23.00 „კომენტატორი“ 00.00 „საფარი“ 00.30 მხ/ფ „ოპოლი“(ტიტ.)

08.00 დ/ფ „მსოფლიოს ქალაქები“ — „ბუდაპეშტი“ 09.00 მხ/ფ „მეხისმტყორცნელი და ვინეტუ“ 10.35 მხ/ფ „ბანრისხეებული ფანტომასი“ 12.15 მხ/ფ „ფანტომასი სკოტლანდ იარდის წინააღმდეგ“14.00 დ/ფ „ჯინსი-პლანეტა ლურჯ ფერებში“ 15.00, 17.00, 20.00 „ბრიფინგის დრო“16.00 დ/ფ „უხილავი სამყარო“ 2 ნაწ. 19.00 ტ/სერ. „საიდუმლო გამოძიებანი“ 00.00 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ“

09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „დაუვიწყარი“ 9 სერ. 11.20 სერ. „მაფიის ძვრივი“ 13.00 ოტელო – ვარიაციები ოტელოს თემაზე 14.40 ფულთან თამაში (გ/ჩ) 16.00 სერ. „დამალული სიმართლე“ 17.50 სერ. „თიღისმა“ 18.50 სერ. „აკრძალული სიყვარული“ 21.00 სერ. „მარტოსული“ 22.00 მხ/ფ „სიყვარული და სხვა უგდურებები“ (ო. ბლუმი) 00.15 არტარეა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია“ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი“ 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე“ 15.30 ყველაზე ჭკვიანი 17.00 სერ. „ვნების უფსკრული“ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი“20.05 სერ „ერთგულების ძალა“22.00 „საქართველოს ვარსკვლავი“ 00.00 შიშის ფაქტორი 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05 საეკლესიო კალენდარი 06.10 ჩვენ ვუკრავთ კლასიკას 06.30 დოკ/ფ „ველური ბუნება“ 06.55 მხ/ფ „შანანასკნელი ჯვაროსნები“ 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი“ 10.00, 18.05, 21.15 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.05, 18.55, 21.55, 23.50, 00.30 ისტორიის დღიური 10.10 პატრიარქის ქადაგება 10.35 ლექსით ქებათა ქება 10.40 ეთნოგრაფია 10.55 კვირიაკე 12.10 მხ/ფ „ქალაქი ანარა“ 13.30 კონცერტი -ანს. „შავნაბადა“ 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმი 15.05 განთიადის სტუმრები 15.30 სპექტაკლი „ჰაპი აძბა“ 16.55 დოკ/ფ „ველური ბუნება“ 17.20 დოკ/ფ „ტაო-კლარჯეთი“ I ნაწ. 17.40 საწინასწარმეტყველო საკითხავის განმარტება (გ. გვასალია) 18.10 დიდ ხარ შენ,უფალო 18.30 ქრისტიანული სწავლება 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.10, 02.30 სიახლენი 19.20 მხ/ფ „გაზაფხული გადის“ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.20 საღვთისმეტყველო საუბრები 22.25 საუბრები ლიტერატურაზე 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საღვთისმსახურო წელიწადი 23.35 მოკ/ფ „მუსიპოსები“ 00.30 ისტორიის დღიური 00.35 განთიადის სტუმრები 01.00 მხ/ფ „ადამიანთა სევდა“

მაესტრო 7.00, 22.30, 23.00, 23.30, 1.00, 2.00, 3.00, 3.55, 5.00, 6.00 ახალი ამბები (კოლაჟი) 7.35, 8.10, 8.30, 9.15, 9.30, 10.15, 10.30, 11.28, 13.15, 13.35, 14.15, 14.35, 16.15, 16.35, 17.10, 17.35, 18.45, 19.35, 20.35, 22.05, 22.47, 23.17, 23.47, 0.35, 1.35, 2.35, 3.30, 4.30, 5.35, 6.35 უცხოეთის ამბები 7.57, 8.27, 8.57, 9.27, 9.57, 10.27, 10.57, 11.25, 11.57, 12.52, 13.27, 13.57, 14.27, 14.57, 15.52, 16.27, 16.57, 17.27, 17.57, 18.57, 19.25, 19.55, 20.25 უკომენტაროდ სამინდი 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 20.00 ახალი ამბები 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.30, 14.30, 16.30, 17.30, 19.30, 20.30 ამბები მოკლედ 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05 ახალი ამბები (დღის თემა) 20.05 ახალი ამბები (დღის თემა) 20.55, 22.00, 22.28, 22.55, 23.25, 23.55, 0.30, 0.55, 1.55, 2.55, 3.50, 4.55, 5.55, 6.55 უკომენტაროდ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 0.00 ახალი ამბები 24 საათზე

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

22 აპრილი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი	1,6567
ევრო	2,1676
ინგლისური გირვანქა სტერლინგი	2,5420
100 რუსული რუბლი	5,2660

ამინდის პროგნოზი 22 აპრილისთვის

25 აპრილიდან

„ახალ თაობასთან“ ერთად

მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

ტომი 2

ჩეხური ზღაპრები

11 აპრილიდან!

„ახალ თაობასთან“ ერთად

„რჩეული ქართული ზღაპრები“

თითოეული ტომის ფასი გაზეთთან ერთად 3 ლარი

ასტროპროგნოზი 22 აპრილისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!
წარმატებული დღეა

ვერძი – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** – ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **ტყუპები** – არავის ენდოთ, საკუთარი თავის გარდა. **კირჩხიბი** – ის საქმე დაიწყეთ, რაც ნამდვილად თქვენია. **ლომი** – სახლში დიდი სიხარული გელით. **ქალწული** – ახალი პროექტი გაამართლებს, მთავარია იაქტიუროთ. **სასწორი** – შემოქმედებითი დღეა, თავს საუკეთესო კუთხით წარმოაჩენთ. **ღრიანკალი** – ბევრს ფიქრობთ, გამოსავალს ადვილად იპოვით. **მშვილდოსანი** – შეიცვალეთ იმიჯი, ნუ გეშინიათ. **თხის რქა** – ცხოვრება გეცვლებათ, გახარებული ხართ. **მერწყული** – გზიდან ფულსა და საჩუქარს მიიღებთ. **თევზები** – მოწყენილი ხართ, გუნება მალე გამოგიკეთდებათ.

გისუსვებთ ბედნიერ დღეს!

საქართველო დანიასთან ოლბორგში ითამაშებს

როგორც დანიურმა მხარემ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას აცნობა, 5 ივნისს დანიისა და საქართველოს ეროვნულ ნაკრებებს შორის გასამართი ამხანაგური შეხვედრა ქალაქ ოლბორგში, „ნორდისკ არენაზე“ გაიმართება, რომელიც 13.800 მაყურებელს იტევს.

საქართველოს ეროვნული ნაკრები 29 მაისს დუბლინში გაემგზავრება, სადაც 2 ივნისს „ავივას“ სტადიონზე ამხანაგურ მატჩს გამართავს ირლანდიის ეროვნულ გუნდთან.

ამის შემდეგ, 3 ივნისს, თემურ ქეცბაიას გუნდი დანიაში ჩავა და 5 ივნისს უკვე დანიის ეროვნულ ნაკრებთან ითამაშებს. მატჩი თბილისის დროით 22:15 წუთზე დაიწყება.

სექტემბრის შესარჩევ მატჩებამდე „ჯვაროსნები“ აგვისტოში კიდევ ერთ ამხანაგურ შეხვედრას გამართავენ.

მ. ჟ.

ჯოსვოხდი ა

თარაზულად: 1. ორი ერთიმეორის ზევითა ფრთის მქონე თვითმფრინავი; 3. დროის ათდღიანი მონაკვეთი; 8. წყლის რწყილი; 9. „ვის უხმობს...“; 14. ერთუჯრედიანი ცხოველი; 15. ქეთოს მამა (ქეთო და კოტე); 17. ფრანგული ავტომარკა; 20. საფრენი აპარატი; 22. აზროვნების ორგანო; 23. ფულის მისაღები თამასუქი; 25. მემამულე თურქეთში; 26. ამოთხრილი ადგილი მიწაში; 27. მეფე „აბესალომ და ეთერი“-დან; 28. მწვანე კონტინენტი.

შვეულად: 1. მთავარი საწყობი; 2. ბუნებრივი საღებავი; 3. ხალხის (ეთნიკური ერთობის) საკმაო ნაწილის ყოფნა სხვა ქვეყანაში; 4. რძის პროდუქტი; 5. კუჭის ლორწოვანი გარსის ანთება; 6. საწინააღმდეგოს აღმნიშვნელი წინსართი; 7. ჩუქჩების ქოხი; 10. ცხენების ჯოგი; 11. ძველინდური სამწერლო ენა; 12. ერთგვარი კანფეტი; 13. საქონლის შესაფუთი მასალა; 16. უდაბნოს ძაღლი; 18. ძველებური საკრავი (სპილენძის თეფშები); 19. სისხლის შენადედი; 21. პორტი მალაიზიაში; 24. მტაცებელი ფრინველი.

შეადგინა ოლივერ კოხიამ



სოფო გელოვანმა და ნოდიკო ტატიშვილმა გერმანიაში იმღერეს

ეკა ირემაშვილი

2013 წლის ევროვიზიის ქართველმა მონაწილეებმა სოფო გელოვანმა და ნოდიკო ტატიშვილმა გერმანიაში მცხოვრები ქართული სათვისტომოს წარმომადგენლებისთვის კონცერტის ჩატარება ბარში „რესტო ლაუნჯ თბილისი“ გადაწყვიტეს. საღამოზე იმ გერმანელების დასწრებაც დაიგეგმა, ვისაც საქართველოსთან საქმიანი და კულტურული ურთიერთობები აკავშირებთ.

გერმანიაში ყოფნის პერიოდში დაიგეგმა პიარაქციებიც, სხვადასხვა ტელევიზიაში სტუმრობა, შეხვედრები ქალაქის მერთან, უცხოეთში მცხოვრებ ქართველებთან, ჟურნალისტებთან. ნოდიკომ და სოფომ გამართეს ქართული საღამო გერმანიაში მცხოვრები ქართველებისთვის. ეს პროგრამა გერმანული არტ. ტრანსფერის კომპანია ლაშა ონიანის, თინა ებიაშვილის და ირაკლი რუხაძის ორგანიზებით განხორციელდა.

სოფო და ნოდიკო ზაარბრუკენის კულტურის სამმართველოს უფროსს სილვა კემერ-ემდენს შეხვდნენ და თბილისსა და ზაარბრუკენს შორის 40-წლიანი ურთიერთობის გაღრმავების შესახებ ისაუბრეს. ევროვიზიის ქართველი კონკურსანტები გერმანიასა და საფრანგეთში ვიზიტი რეჟისორ ლაშა ონიანის და გერმანული არტ ტრანსფერის კომპანიის მიწვევით განხორციელდა.

წლევანდელი ევროვიზიის ქართველი მონაწილეები რეპეტიციებს საფრანგეთში განაგრძობენ. ქართველი კონკურსანტებით ფრანგული პრესა დაინტერესდა. სოფომ და ნოდიკომ ფრანგ ჟურნალისტს ვრცელი ინტერვიუ მისცეს.

სოფო გელოვანი და ნოდიკო ტატიშვილი გერმანიის ქალაქ ზაარბრუკენში იმყოფებიან და ევროვიზიის საკონკურსო ნომრის სრულყოფის მიზნით, რეჟისორ ლაშა ონიანთან რეპეტიციას გადიან. გერმანიაში დაგეგმილია შეხვედრა ჟურნალისტებთან. გერმანიის საზოგადოებრივი მაუწყებელი ქართული დუეტის შესახებ სპეციალურ სიუჟეტს ამზადებს. ქართველი მომღერლები მონაწილეობას მიიღებენ ერთ-ერთ ყველაზე რეიტინგულ სატელევიზიო შოუში. სოფო და ნოდიკო გერმანიაში ამსტერდამიდან ჩავიდნენ, სადაც მათ 23 ქვეყნის წარმომადგენლებთან ერთად ევროვიზიისადმი მიძღვნილ კონცერტზე იმღერეს. გერმანიის საზოგადოებრივმა მაუწყებელმა სოფოს და ნოდის შესახებ სპეციალური რეპორტაჟიც მოამზადეს. მათთან ინტერვიუ ამსტერდამის ტელევიზიამაც ჩაწერა.

2013 წლის ევროფესტივალზე საქართველოს წარმომადგენლებმა სოფო გელოვანმა და ნოდიკო ტატიშვილმა ამსტერდამში ევროფესტივალისადმი მიძღვნილ კონცერტზე სიმღერა „ვათერფოლ“ შეასრულეს. ამსტერდამში ევროფესტივალის მონაწილე 39-დან 23 ქვეყნის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ. ამსტერდამში ევროვიზიის კონკურსის მონაწილეებთან პირველი გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გაიმართა.

ნოდიკოს და სოფოს საქართველოდან გამგზავრებამდე საქართველოს უნივერსიტეტის სტუდენტებმა ევროვიზიის სიმღერის კონკურსთან დაკავშირებით ფლეშმობი გამართეს. უკვე მესამე წელია, ახალგაზრდები ორიგინალური გზით გამოხატავენ მხარდაჭერას ევროვიზიის ქართველი კონკურსანტების მიმართ. ფლეშმობის თემა ევროვიზიის კონკურსზე გამარჯვებული სიმღერები შეირჩა, კულმინაცია კი 2013 წლის ქართველი შემსრულებლების კომპოზიცია „ვათურფულ“ აღმოჩნდა. ორიგინალური აქციის შემდეგ, 2013 წლის ევროვიზიის ქართველი კონკურსანტები სოფო და ნოდიკო გულშემატკივარს შეხვდნენ და მათ თავიანთი გეგმები გააცნეს.

ევროვიზიის სიმღერის კონკურსთან დაკავშირებით, ჯეოსელმა კონკურსზე დასასწრები საგზურები გაათამაშა. ევროვიზიის სიმღერის კონკურსის ქართველმა მონაწილეებმა სოფო გელოვანმა და ნოდიკო ტატიშვილმა დოლურა დაატრიალეს და გათამაშების 5 იღბლიანი მონაწილე გამოავლინეს. ხუთივე გამარჯვებულმა შვედეთში ევროვიზიის სიმღერის კონკურსზე დასასწრები ორკაციანი საგზური მოიგო. საგზურში შედის ავიაბილეთი, ვიზა, სასტუმრო და ევროვიზიის კონკურსზე დასასწრები ბილეთები.

ევროვიზიის კონკურსს საქართველოში უკვე მეორე წელია წარმოადგენენ ფინურ-შვედური თელიასონერა და ჯეოსე-

გაგრძელება მე-8 გვერდზე

ისტორიის მუზეუმში საიუბილეო გამოფენაა

ეკა ირემაშვილი

წელს საქართველოს მხატვართა კავშირი დაარსებიდან 80 წლის იუბილეს აღნიშნავს. ამ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით საქართველოს ეროვნული მუზეუმის თბილისის ისტორიის მუზეუმი საქართველოს მხატვართა კავშირთან ერთად წარმოადგენს საქართველოს მხატვართა კავშირის 80 წლის საიუბილეო გამოფენას. საიუბილეო გამოფენის ორგანიზატორები არიან საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვისა სამინისტრო და თბილისის მერია.

საქართველოს მხატვართა კავშირი 1933 წელს ცნობილი მხატვრის, დიმიტრი შევარდნაძის ინიციატივით დაფუძნდა. მას შემდეგ შეიქმნა კავშირები საქართველოს სხვა რეგიონებში, მათ შორის აფხაზეთსა და აჭარაში.

საზოგადოებას, სხვადასხვა პერიოდში, ქართული მხატვრობის არაერთი ცნობილი წარმომადგენლები ხელმძღვანელობდნენ. დღეს ის 1700-ზე მეტ მხატვარს და ხელოვნებათმცოდნეს აერთიანებს.

თბილისის ისტორიის მუზეუმი საიუბილეო თარიღს დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ექსპოზიციას უძღვნის. გამოფენაზე წარმოდგენილი ნამუშევრები სტილის სხვადასხვაობითა და მრავალფეროვნებით გამოირჩევა, რაც ნათლად ასახავს ქართულ მხატვრობაში არსებულ შემოქმედებით პროცესებს.

საიუბილეო გამოფენაზე წარმოდგენილია 200-მდე მხატვრის შემოქმედება. „ქარვასლაში“ გამოფენილია ნამუშევრები შესრულებული გამოყენებითი ხელოვნების ყველა დარგში – თექაში, ბატიკაში, მინანქარში, გობელენში. ექსპოზიციაზე წარმოდგენილია 20-მდე ქართველი გარდაცვლილი მხატვრისა და 180-მდე თანამედროვე მხატვრის ნამუშევარი. მათ შორის, ნანო ჩოტკოველის (კერამიკა), გოგი ქართველიშვილის (კერამიკა), მედეა ჩიხლაძის (ბატიკა), გია იაშვილის (კერამიკა), რაისა ეკალაძის (კერამიკა), გულიკო ჭუმბაძის (დეკორატიული მინა), ეკატერინე აბესაძის (მინანქარი) ნამუშევრები.

საქართველოს მხატვართა კავშირის 80 წლის იუბილესთან დაკავშირებული ღონისძიებები სახვითი ხელოვნების ნამუშევართა გამოფენების ციკლით გაგრძელდება და მთელი წლის განმავლობაში ნებისმიერ მსურველს შეეძლება სხვადასხვა საგამოფენო სივ-

გაგრძელება მე-10 გვერდზე